ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 1 ივლისი, №6-7 (6552)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 80 თეთრი

## გაზეთი „ყვარელი“ 90 წლის იუბილარია



## ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მჯერა ყველაფერი კარგად იქნება!



26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მისალოცად ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, საფრანგეთის ქ. კონფოლანის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატს, (რომელიც გაიმართა 1970 წელს და ანსამბლ რუსთავს სახელი და დიდება მოუტანა,) ლოტბარს, ქ. ყვარლის საპატიო მოქალაქეს ირაკლი მათიკაშვილს და მის მეუღლეს ქალბატონ მარინას ვესტუმრეთ. „სურთ მოყვარეს გულის კარი გაუღონ, სახლის კარი ღია არის მუდამ“ პოეტის ეს სიტყვები გამახსენდა ჭიშკარს რომ გავუსწორდი. ამ ოჯახის გულითადი სტუმართმოყვარეობა დიდი ხანია ყვარლის მასშტაბებს გასცდა. ვიდრე დიასახლისი ტრადიციულად სუფრის გასაშლელად აფუსფუსდა, ბატონმა ირაკლიმ ფანჩატურში მოგვათავსა და ჩვეული ომახიანობით, იუმორშეპარებული მონოლოგით საკუთარი ეზოს დეკორატ-მებაღეობაზე იხუმრა. დღის ამბების ანალიზმა საუბრით საკმაოდ შორს წაგვიყვანა. არაოფიციალურ ფორმატში შეხვედრისას მასპინძელი გაცილებით გახსნილი აღმოჩნდა და გადავწყვიტე ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი მეთხოვა. ბატონი ირაკლი რესპოდენტობაზე დავითანხმე და დიქტოფონი ჩავრთე:

გაგრძელება მე-6 გვ.-ზე

## ჩვენთვის უმთავრესი მიზანია, შევარჩიოთ ისეთი პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე იქნება მაქსიმალურად მორგებული...

*ცხრა თვე გავიდა მას შემდგომ, რაც მოსახლეობის უმრავლესობამ ნდობის მანდატი ჩააბარა და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე აირჩია გივი ზაუტაშვილი. ობიექტურად თუ შევაფასებთ მის საქმიანობას, ამ მეტად მოკლე პერიოდში, მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული და მრავალი საჭირბოროტო პრობლემა მოგვარდა მოსახლეობის საკეთილდღეოდ.*

*საზოგადოებისთვის ცნობილი რომ გახდეს რას საქმიანობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, რა პრობლემები მოაგვარეს და მომავალში მოსახლეობისთვის სასიკეთოდ რა სახის გეგმების განხორციელებას აპირებენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს ვესაუბრე.*

**— უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულად გაუმჯობესდა ქ. ყვარლისა და მუნიციპალიტეტის სოფლების იერ-სახე, რაც ტურიზმის განვითარების და ამ სფეროში შემოსავლების ზრდას, საბოლოოდ კი ბიუჯეტის შევსებას შეუწყობს ხელს.**

**ბატონო გივი, მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მოსახლეობის ყოფითი და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობაა, რა კეთდება ამ მიმართულებით?**

— ჩვენთვის უმთავრესი მიზანია შევარჩიოთ ისეთი პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე იქნება მაქსიმალურად მორგებული და გააუმჯობესებს მათი ყოველდღიური ცხოვრებისა და დასვენების პირობებს.

თვითმმართველობის ორანოების არჩევნების შემდგომ, სასიკეთო ცვლილებები მოხდა ყვარლის მუნიციპალიტეტში, სახეზეა გარემონტებული და კეთილმოწყობილი სკოლები და საბავშვო ბაღები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემებს სოფლებში, შავი საფარით დაიფარა და მოიხრეშა სოფლებში მისასვლელი გზები და ქუჩები, მოეწყო ღვარგამშვები არხები, ღამის განათებით უზრუნველყოფილია ყველა სოფელი. თუმცა პრობლემებს რა გამოლევს, ამიტომ ხშირად ვაწყობთ მოსახლეობასთან შეხვედრებს და ვსაუბრობთ ამ თემებზე, რათა დავსახოთ მომავლისთვის სამოქმედო ღონისძიებები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მიზნად აქვს დასახული კეთილმოაწყოს და გაალამაზოს ქ. ყვარელი და მუნიციპალიტეტის სოფლები, რათა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ვიზიტორებისათვის, რაც მეტ შემოსავალს მოუტანს ბიუჯეტსაც და მოსახლეობასაც.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



## ჩვენი ცხოვრების სარკე



სულით და გულით ვულოცავ ჩვენს მშობლიურ გაზეთ „ყვარელს“ დაბადების 90 წლის თავს. თუ რამდენად კარგად გაართვა მან თავი თავის ძნელ და რთულ საქმეს, ეს დრომ გვიჩვენა. ამ ხნის მანძილზე ჩვენმა გაზეთმა სულ უფრო მეტი პოპულარობა და ნდობა მოიპოვა ხალხში.

„ჟურნალ-გაზეთობა არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, — ბრძანა წმიდა ილია მართალმა, — მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“.

ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთიც დროულად იტყობდა ხოლმე ჩვენი რაიონის ცხოვრების მაჯისცემას და რეალურად ასახავდა მის შუქ-ჩრდილებს, ყოველ საზოგადო მოვლენას, ჩვენს საერთო ტკივილს თუ სიხარულს, ავს თუ კარგს, დიდსა თუ მცირეს, ჯეროვან ყურადღებას აქცევდა. ყურადღების მიღმა არ რჩებოდა, აგრეთვე, სულიერ-ზნეობრივი, მხატვრულ-ესთეტიკური, მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლა-განათლების, ღვაწლმოსილ ადამიანთა წარმოჩენისა და პატივისცემის, ახალი წიგნების მკითხველისათვის წარდგენისა და მათი პირუთვნელი შეფასების საკითხები და ა.შ. და, რაც მთავარია, თითოეულ ჩვენთაგანამდე მოჰქონდა ის მართალი სიტყვა, რომელიც ასე გვჭირდებოდა მის ჭეშმარიტ მკითხველთ.

როგორც მოგეხსენებათ, გაზეთს ამშვენებს და სახელს უხვეჭავს ხოლმე ისეთ თანამშრომელთა კრებული, რომლებიც ემსახურებიან საზოგადო სიმართლეს, ჭეშმარიტებასა და ქვეყნის სასიკეთო საქმეს. ამ მხრივ გაზეთ „ყვარელსაც“ გაუმართლა, რადგან მას, წლების მანძილზე, ემსახურებოდნენ სამშობლოს დიდი გულ-

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## სექტემბრიდან თითოეულ ბაღში კვლავ გაგრძელდება ეზოებში ფუნქციური სივრცეების განახლება



*საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია World vision in Georgia – ს კახეთის განვითარების ცენტრის, ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღების ეზოებში დაიწყო ფუნქციური სივრცეების მოწყობის პროცესი. ფუნქციური სივრცეები წარმოადგენს ბავშვზე ორიენტირებულ გარემოს, რასაც ბავშვების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.*

*ამჟამად, ეტაპობრივად მიმდინარეობს უკვე მოწყობილი ფუნქციური სივრცეების შემოწმება. როგორც ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ნონა დავითაშვილი ამბობს: მუნიციპალიტეტის უმეტეს ბაღებში ეს პროცესი უკვე დასრულებულია....*

**— ქალბატონო ნონა, პირველ რიგში ფუნქციური სივრცეების დანიშნულების შესახებ გვესაუბრეთ.**

— ეზოს გარემო მნიშვნელოვანია ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის. ეზოს ფიზიკური გარემო ისევე უნდა იძლეოდეს აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახი, ეზოს ფიზიკური გარემო ასევე უნდა სთავაზობდეს ბავშვს უსაფრთხო რისკის შესაძლებლობებს (რისკიანი თამაშები), რათა ხელი შეუწყოს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას.ფუნქციურ სივრცეებში ბავშვები ივითარებენ მოტორულ უნარებს, ისინი დარბიან, დაძვრებიან ლაბირინთებში, ახტებიან წინაღობებს, თამაშობენ ქვიშით, ამზადებენ ტალახს სამზარეულოში. აქ მათ საშუალება აქვთ, დააკვირდნენ „ნამდვილ“ ბუნებას – ფოთლებს, ღრუბლებს, ბალახს, მწერებს. ბევრი უნარი, რომლის შესაძენად შენობაში გარემოს ხელოვნურად მოწყობაა საჭირო, ეზოში თავისთავად ბუნებრივად ვითარდება.



გაგრძელება მე-11 გვ.-ზე

# ჩვენთვის უმთავრესი მიზანია, შევარჩიოთ ისეთი პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე იქნება მაქსიმალურად მორგებული...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**– ისტორიას თუ გადავხედავთ, ასეთი მასშტაბური მოცულობის ინფრასტრუქტურული პროექტები დიდი ხანია არ განხორციელებულა ყვარლის მუნიციპალიტეტში, ვგულისხმობ ქ. ყვარლის წყალ-კანალის სისტემების რეაბილიტაციას და ახალი მაგისტრალების მშენებლობას. მოსახლეობას აინტერესებს კონკრეტულად რა გაკეთდება და რა მოცულობის ფინანსებით.**

**პროექტით ქალაქის რომელ ქუჩებზეა გათვალისწინებული სასმელი წყლის სისტემების განახლება და კანალიზაციის მოწყობა?**

– ქ. ყვარლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო მიმდინარე წელს და გაგრძელდება სამი წლის განმავლობაში. პროექტის ბიუჯეტია 39 მილიონი ლარი.

მისი განხორციელების შედეგად მოხდება არსებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და მოეწყობა სასმელი წყლის ქსელი ქ. ყვარლის იმ უბნებში, სადაც აქამდე არ არსებობდა. მოხდება სასმელი წყლის 2000, 200 და 300 ტონიანი რეზერვუარების რემონტი.

ანალოგიურად მოხდება უკვე არსებული კანალიზაციის ქსელის ჩანაცვლება და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე მოეწყობა კანალიზაციის ახალი ქსელი.

პროექტით როგორც სასმელი წყლის, ასევე კანალიზაციის ქსელის მოწყობა გათვალისწინებულია ქალაქის ყველა ქუჩაზე, შესახვევში, ჩიხში.

**– გათვალისწინებული თუ არის ქუჩების მოასფალტება?**

– ამ ეტაპზე პროექტი ითვალიწინებს მხოლოდ იმ ქუჩების მოასფალტებას, სადაც უკვე არსებობს ასფალტის საფარი და იმ ნაწილის აღდგენას, სადაც მოხდება საფარის დაზიანება.

**– საცხოვრებელი სახლები გზასთან შედარებით 1,0 – 1,5 მეტრით დაბალ დონეზეა განლაგებული და როგორ მოხდება კანალიზაციის სისტემაში ჩართვა?**

– საკანალიზაციო ჭების მოწყობა ერთმანეთისაგან 30-50 მეტრის დაშორებით მოხდება და მათი სიღრმე ისეა პროექტით შერჩეული, რომ გათვალისწინებულია არსებული სახლების განლაგება გზასთან მიმართებაში. ეს კი საშუალებას იძლევა ყველა ინდივიდუალური თუ მრავალბინიანი სახლი დაერთებული იქნას კანალიზაციის ქსელზე.

**– უსახური შენობები და ღობეები იერ-სახეს უკარგავს მდიდარ ბუნებრივ ლანდშაპტში ჩასმულ და ისტორიული ძეგლებით დამშვენებულ ყვარელს, რაც უარყოფით განწყობას უქმნის საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ვიზიტორებს, რა უნდა გაკეთდეს მეტად რთული პრობლემის გადასაწყვეტად?**

– რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების და ღობეების იერსახეს – წელს ურბანული განახლების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. ყვარელში ილია ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოხდება სწორედ იერსახის გაუმჯობესება.

**– მისასალმებელია, რომ „ილიას გორაზე" რეკრეაციული სივრცის მოწყობაა დაგეგმილი, როდის დაიწყება სამუშაოები?**

– „ილიას გორაზე" რეკრეაციული სივრცის მოწყობის სამუშაოების ტენდერი უკვე ჩატარებულია. მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცესი და ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ უახლოეს ხანში დაიწყება სამუშაოები. პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილია 1700 000 ლარი.

**– სოფელ ზინობიანში რა ხდება?**

– სოფელ ზინობიანში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტის ფარგლებში იგეგმება სოფლის ცენტრალური ქუჩის მოასფალტება, არსებული სკვერის და კლუბის შენობის რეაბილიტაცია. ყოფილი კლუბის რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდება უდიური კულტურის ეთნომუზეუმი. პროექტის ღირებულებაა 1784 900 ლარი

**– UEFA-ს მეორე კატეგორიის სტადიონის მშენებლობაზე რას გვეტყვით?**

– რაც შეეხება UEFA–ს მეორე კატეგორიის სტადიონის მშენებლობას – პროექტი უკვე შესყიდულია, ღირებულებით 14 000 000 ლარი. აქტიურად მიმდინარეობს თანხების მოძიება პროექტის სამუშაოების განსახორციელებლად.

**– ხელოვნურ საფარიანი სპორტული მინიმოედნების მოწყობა სად არის დაგეგმილი?**

– ამ დროისათვის სოფელ გავაზში მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 136 782 ლარი.

**– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რა სახის სამუშაოები დაიწყება?**

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მთისძირში, ზინობიანში, შილდაში, წიწკანაანთსერში და თივში კეთილმოეწყობა სკვერები, სანავარდოს, კუჭატნის, გავაზის და ენისლის საბავშვო ბაღების ეზოებში ჩატარდება რეაბილიტაციის სამუშაოები, ბალღოჯიანის და ჭიკაანის საბავშვო ბაღების შენობებში გათვალისწინებულია ცენტრალური გათბობის სისტემების მონტაჟი, სოფლებთან მისასვლელი და შიდა გზები მოიხრეშება გრძელჭალაში, თხილისწყაროში და ჩანტლისყურეში, ახალსოფელში გარე განათების მოწყობაა გათვალისწინებული.

**– მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა სოციალურად გაჭირვებულია და მოქალაქეთა მიღების დღეებში გაკითხავენ დახმარებისათვის, რამდენ ადამიანს მოუგვარეთ პრობლემა?**

– მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიას დახმარების მიზნით მომართა 1800-მა ბენეფიციარმა. აქედან დაკმაყოფილდა და სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება მიიღო 1320-მა მოქალაქემ.

**– საქართველოს პრემიერ მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მუნიციპალიტეტებს დაევალა სოციალურად გაჭირვებული ოჯახების შრომისუნარიანი პირების სამუშაოზე მოწყობა, ამჟამად რამდენი პიროვნებაა დასაქმებული და მათ სოციალური დახმარება ხომ არ შეუწყდებათ?**

– სოციალურად გაჭირვებული ოჯახებიდან ამ ეტაპზე დასაქმებულია 180 ბენეფიციარი. მათ ოჯახებს აქვთ ოთხწლიანი ჯავშანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მათი გადამოწმება და შესაბამისად დახმარების შეწყვეტაც გამორიცხულია. მიხარია, რომ ამ პროცესს კარგი რეზონანსი მოჰყვა მოქალაქეების მხრიდან და აქტიურდება მათი ჩართულობა.

**– გმადლობთ ბატონო გივი, საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.**

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# ჩვენი ცხოვრების სარკე


ყვარელი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

შემატკივარნი და ქართული სიტყვის ისეთი უბადლო ოსტატნი, როგორებიც იყვნენ, აწ განსვენებულნი, ბატონები: გიორგი კევლიშვილი, რაფიელ შავგულიძე, დავით ლაფაჩიშვილი, ილო ბეროშვილი, ავთანდილ გაფრინდაშვილი, გურამ გურასპიშვილი, ბაკური ბეროშვილი, გივი ყოჩიშვილი, ქალბატონი – მერი ჩიხიაშვილი და კიდევ ბევრი სხვანი და სხვანი.

არსებობის 90 წლის მანძილზე, გაზეთ „ყვარლის" რედაქციაში დაფრთიანდა ჟურნალისტთა არაერთი თაობა, რომელიც დღეს წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას ქართულ მედიასივრცეში.

მე ბედნიერი ვარ, რომ მათ წერილებზე, მათ ნაფიქრალ-ნააზრევზე აღვიზარდე და ჩამოვყალიბდი შემდეგში, როგორც ამავე გაზეთის ერთ-ერთი შტატგარეშე მუშაკი და, აგერ უკვე 32 წელია, რაც ვთანამშრომლობ და შეძლებისდაგვარად ვაქვეყნებ ხოლმე წერილებს მის ფურცლებზე.

ალბათ ესეც უფლის ნება იყო, რომ ყვარლის მოძღვარი გავმხდარიყავი და მეც ჩემი სათქმელი მეთქვა და თანამოქალაქეებამდე მიმეტანა ის საჭირო სულიერი მუხტი, რომელიც მათ ასე ძლიერ აკლდათ სარწმუნოების დაკნინების 70-წლიან პერიოდში.

გაზეთი „ყვარელი" იყო და არის სულთა ის უდიდესი სამჭედლო, რომელმაც ცხრაათეული წლის მანძილზე სულიერად აღზარდა მთელი რიგი ჩვენი თაობები და ჩაუნერგა მათ აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება, მამულისა და ადგილის დედის სიყვარული. იყო რა მუდმივ მზადყოფნაში და სიფხიზლეში, ის აძლევდა თავის ერთგულ მკითხველთ დიდ სულიერ საზრდოს, იღვწოდა და ზრუნავდა ახალგაზრდობისა და საერთოდ, ადამიანებისადმი ღვთივმომადლებული უნარისა და ნიჭის გამოვლინებისათვის.

გაზეთ „ყვარელმა" თავისი არსებობის მანძილზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესში. ჩვენი გაზეთი არაერთხელ მდგარა ფინანსური პრობლემების წინაშე, თუმცა დამოუკიდებლობა და სიტყვის თავისუფლება არასოდეს გაუცვლია სხვა ფასეულობებზე. მას არასოდეს შეუწყვეტია აქტიური საქმიანობა და დღესაც, ძველებური შემართებით, განაგრძობს მკითხველთან ურთიერთობას.

მადლობას ვუხდი თითოეულ მკითხველს, ვინც ყოველთვის მოუთმენლად მოელის გაზეთ „ყვარელთან" შეხვედრას, მადლობა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომელსაც მიაჩნია, რომ „ყვარელი" ერთ-ერთი საუკეთესო გაზეთია და მადლობა თითოეულ ჟურნალისტს, რომელსაც, სხვადასხვა დროს, პროფესიული კეთილსინდისიერებით უღვაწია ჩვენი გაზეთის რედაქციაში და, ბოლოს ულრმესი მადლობა გაზეთ „ყვარლის" დღევანდელ მუშაკებსაც, რომელბიც თავს არ ზოგავენ, არაერთი სიძნელის მიუხედავად და გაზეთის ფურცლებზე ყოველთვის სიახლეს, ანალიტიკას და, ხშირად, მახვილ და განჭვრეტილ სიტყვას სთავაზობს მკითხველს.

ღმერთმა დალოცოს გაზეთი „ყვარელი", თავის ჟურნალისტთა კორპუსით, რამეთუ როგორც წმინდა ილია მართალი იტყოდა: „გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვაა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც არის ქვეყნისთვისო".

ვუსურვებდი ჩვენს გაზეთს ფინანსურ სიძლიერეს, რათა დღევანდელი მაღალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეპოქაში, შეძლოს ღირსეული კონკურენცია გაუწიოს სხვა მედიასაშუალებებს.

90 წლიანი გაზეთის არსებობა უკვე მეტყველებს მის წარმატებულობასა და ხალხის განუყოფელ ნაწილად ქცევაზე. იმედი მაქვს, რომ კიდევ მრავალი წელი იქნება ყვარლელების განუყოფელი მეგობარი და არაერთი საინტერესო სიახლეებით გაგვანებივრებს.

რაც შეეხება გაზეთ „ყვარლის" დღევანდელ სულისჩამდგმელებს, მიყვრხართ თითოეული თგვენთაგანი, პატივს ვცემ თქვენს ყოველდღიურ შრომას, სისპეტაკეს, ძიებას. ეცადეთ არ გაგიტაცოთ მარტო კრიტიკამ, სიკეთესაც დანახვა სჭირდება, წახალისება და სამაგალითოდ ქცევა.

იხარეთ, აღმავლობის გზით გევლოთ! გისურვებთ გამძლეობას და მკითხველთა დიდ არმიას!

მაშ, მრავალჟამიერ ჩვენი ცხოვრების სარკეს – გაზეთ „ყვარელს" და ყოველთვის რეალურად აესახოს ყვარლის მუნიციპალიტეტის ცხოვრების შუქ-ჩრდილები.

და ბოლოს, მე მინდა ჩემს სულიერ აღმზრდელს, გაზეთ „ყვარელს" საკუთარი ლექსითაც მივულოცო 90 წლის იუბილე:

გაზეთო, ჩვენო „ყვარელო",  
სულის ნაჟური მოგანდე.  
იცოცხლე დაუზარელო,  
უფლის მეორედ ხმობამდე!  
შენით ამაყობს ყვარელი,  
რომ მატეანე ხარ მისი.  
ხარ მრავალთ გამომზრდელი  
და ქება-დიდების ღირსი.  
მართალი სიტყვის მსახურო,  
იყავი მუდამ ჩვენთანა  
გრძნობავ და აზრო კახურო,  
წილნაყარი ხარ ღმერთთანა!

ქ. ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი:  
**დეკანოზი ბენიამინი (ჩიხორლიშვილი)**

# ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგაკლოთ მამაზეციერმა. ამინ!

მოგესალმებით და გეფერებით ჩემო ძვირფასო „ყვარლელებო!" გილოცავთ 90 წლოვან იუბილეს.

ღმერთმა ინება და გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჩვენი ოჯახის ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა რაიონულ გაზეთ „ყვარელს".

ადრეული ბავშვობიდან დღემდე მომყვება და მუდამ ჩემთანაა იმ ლამაზი დღეების ხიბლი.

ერთ ოჯახად შეკრული ყველა თაობის არაჩვეულებრივი თანამშრომელი თავდაუზოგავად ემსახურებოდა ხალხს, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მათ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

გაზეთ „ყვარელის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა ღირსეულმა ადამიანებმა, როგორებიც იყვნენ დავით ლაფაჩიშვილი, რაფიელ შავგულიძე, გურამ გურასპიშვილი, მერი-ფაცია ჩიხიაშვილი, ბერდი იმერლიშვილი და მერი ლომიძე, ბადრი კანანაძე, გოგი და ტურფა ბეჟანიშვილები, თამაზ სააკიშვილი, მარადი ანასაშვილი, ავთანდილ გაფრინდაშვილი, იური ლომიძე, ეთერ ღონიაშვილი, ნაზო ავაზაშვილი, ბეჟან ჩოხელი, სმილვა შეფიაშვილი, გივი ყოჩიშვილი, შალვა ხომალდიშვილი და სხვა მრავალი. ღმერთმა აცხონოს მათი სულები.

მახსენდება ერთი შემთხვევა: ვიქნებოდი დაახლოებით 4 წლის. ვთამაშობდი მეგობრებთან ერთად უბანში. იმ ხანად ვცხოვრობდით ძველი რედაქციის მახლობლად, ჭავჭავაძის ქუჩაზე. ამ დროს ჩვენთან მოვიდა თამაზ სააკიშვილი, რომელიც სტამბის გამგედ მუშაობდა. გვერდზე გაიხმო ჩემი საშუალო ძმა – ალიკა, რაღაც უთხრა და გადასცა ბარათი. ამის შემდეგ ალიკამ შემომთავაზა ოთხთვალა ეტლით „ბოგირზე" გასეირნება, სადაც ცხოვრობდნენ დედის მშობლები, რათქმა უნდა ძალიან გამიხარდა და გავყევი.

რედაქციამდე ვიწრო ჩიხში ცხოვრობდა ლიანა გიგიაშვილი, მშვენიერი ახალგაზრდა, რომელზეც უზომოდ იყო შეყვარებული თამაზი. ალიკამ დაუძახა ლიანას, გადასცა ბარათი და გააბეს საუბარი ისე, რომ მე სულ დავავავიწყდი. ამ დროს დაგორდა ეტლი და ქუჩის არხში გადავვარდი ეტლიანად. ძალიან გავბრაზდი, დავუშინე ქვები ორივეს, დავუწყე ლანძღვა (ლაპარაკთან ერთად მასწავლეს ჩემმა ბიძაშვილებმა ბესო და მარინე შავგულიძეებმა).

იყო ასეთი შემთხვევაც: ერთხელ



მამას ვთხოვე, ეჩვენებინა ჩემთვის გაზეთის ბეჭდვის პროცესი, რაც შემისრულა კიდეც. იური ლომიძემ მიმიყვანა საბეჭდ მანქანასთან, გაოცებული ვუყურებდი და გამოვთქვი აზრი, რომ გაზეთთან ერთად კარგი იქნება თუ ფულსაც დაბეჭდავთ მეთქი. იურიმ გაზეთებს შორის ჩადო ფული და მითხრა, ხომ ხედავ, ესეც შეგვიძლიაო.

ამის შემდეგ რამდენჯერაც შევხვდებოდით ერთმანეთს, ყოველთვის მახსენებდა ამ ამბავს და ვხალისობდით.

როგორც გვახსოვს ათეისტურ ეპოქაში ჩვენი დედა-ეკლესია მუდმივად განიცდიდა შევიწროებას, ხოლო სპეცსამსახურებს კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი მორწმუნე საზოგადოება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხში მაინც არ ქრებოდა სიყვარული და შიში ღმერთისადმი, პატივისცემა და მოკრძალება ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება რამდენიმე ეპიზოდი: მრავალჯერ ვყოფილვარ რედაქციის თანამშომლებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად. ერთ-ერთი პირველი ექსკურსიის დროს თანამშრომელმა ქალბატონებმა თავსაბურავი მოიხვიეს და ასე შევიდნენ ტაძარში. მე გამიკვირდა და მამას ვკითხე, თუ რა საჭირო იყო ეს. მან ამიხსნა, რომ ტრადიციულად ქალი ეკლესიაში ასე უნდა იმყოფებოდეს, რაც უფლისადმი მოკრძალებისა და სიყვარულის გამოხატულებააო. მოგვიანებით მივხვდი, რომ ექსკურსია მიზეზი იყო, თორემ ეს ღონისძიებები ატარებდა წმინდა ადგილების მოლოცვის შინაარსსა და სურვილს.

იყო ასეთი შემთხვევაც, 1970 წლის შემოდგომაზე ჩვენს ოჯახში სტუმრად ჩამოვიდნენ მამას უნივერსიტეტელი მეგობრები დურმიშხან ცინცაძე, მირიან ხუციშვილი, ანზორ ჩაფიძე და სხვა.

ახლაც და წარსულშიც ყოველწლიურად იბეჭდებოდა საქართველოს ეკლესიის კალენდარი-წიგნი. ძალიან შეწუხებულები იყვნენ იმით, რომ ვერ ხერხდებოდა 1971 წლის საეკლესიო წიგნი-კალენდარის გამოცემა ფინანსების არ ქონის გამო. მამას სთხოვეს, თუ შეძლებდა საბეჭდი ქაღალდით დახმარებოდა საპატრიარქოს.

მამა მათ დაპირდა დახმარებას, თუმცა განუმარტა, რომ რაიონის ხელმძღვანელობასთან არაოფიციალურად დააყენებდა ამ საკითხს. ასეც მოხდა, რაიონის მაშინდელმა თავკაცმა, ცხონებულმა გივი ზაუტაშვილმა (რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი მამულიშვილური საქმე), არათუ წინააღმდეგობა გაუწია ამ აზრს, პირიქით გაუხარდა, შეაქო ამ ინიციატივის ავტორები და მოთხოვნილზე მეტი საბეჭდი მასალა გაუგზავნა სტამბას კალენდარის გამოსაცემად. ასეთი მამულიშვილების მხრებზე იდგა მაშინ ჩვენი სამშობლო. სამარადისო ხსოვნა მათ სულებს.

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

# ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგაკლოთ მამაზეციერმა. ამინ!

დასაწყისი 2-ელ გვ.-ზე

გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში აიდგეს ფეხი ჩვენმა საამაყო ადამიანებმა მარადი ანასაშვილმა, გალინა ხარებაშვილმა, დალი დვალმა, ზეინაბ ჭიჭიკოშვილმა, ნინო იშხანიძემ, თამილა პატაშურმა, ბადრი კანანაძემ, ოთარ გურასპიშვილმა, ავთო გაფრინდაშვილმა, მარინე ზაალიშვილმა, ბაკურ ბეროშვილმა, ვაჟა გურაბანიძემ, გრიზელდი ქართველიშვილმა და სხვა.

მოუშუშებელი იარა დაგვიტოვა ავთო გაფრინდაშვილმა, რომელსაც მეტსახელად „მეგობარს“ ვეძახდით. მახსოვს მისი მუშაობის დაწყების პირველი დღე რედაქციაში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მამამ ჩვენთან უმასპინძლა. რომ შეზარხოშდნენ, მამამ ჰკითხა ავთოს, აბა, მითხარი, რა არის „სოციალიზმიო“. ავთო ცოტა შეცბა და განმარტება დაიწყო. ორივეს ელიმებათ, მამამ შეაჩერა და უთხრა: ჩემო ავთო, „სოციალიზმი“ ჩვენი შეურაცხყოფა და შიმშილიაო. აღნიშნული შემთხვევა შემდგომში არაერთხელ გაუხსენებია ავთოს ჩემთვის.

ავთოსთან დაკავშირებით მახსენდება კიდევ ერთი ეპიზოდი: თუ არ მეშლება, 1984 წელს ცნობილმა თამაზ ტყემალაძემ ჩაწერა მეტად საინტერესო გადაცემა ავთანდილ გაფრინდაშვილზე ილია ჭავჭავაძის მემორიალურ მუზეუმში. ფაქტიურად ქვეყნის ფართო საზოგადოებამ საქართველოს ტელევიზიის ამ გადაცემით გაიცნო იგი, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი.

ძალიან ამაყი ვიყავი იმით, როცა ჩემი სტუდენტობის მეგობრები აღტაცებით საუბრობდნენ ავთოს ხალას ნიჭსა და ერუდიციაზე.

ხშირად გვქონდა ბედნიერება, შევხვედროდით მის უნივერსიტეტელ მეგობრებს: თამაზ ტყემალაძეს, ლაშა გახარიას, ვალერი ასათიანს როგორც ავთოს სიცოცხლეში, ასევე მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგაც.

ავთოსავით მრავალმა ღირსეულმა ადამიანმა დაგვწყვიტა გული ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლით. ჩვენი მარადი ანასაშვილი, უნიჭიერესი, პროფესიონალი ჟურნალისტი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, რომელსაც მუდამ თან სდევდა ხალხის დიდი პატივისცემა და სიყვარული.

თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში დაგვიტოვა პუბლიცისტური ნაწარმოებების შედევრები: „არ დაიდარდო დედაო“, „ჰაიდარ აბაშიძე“, „რეზო ბურჯანაძე“, „იოსებ ხარატიშვილი“ და სხვა. წლების მანძილზე რედაქტორობდა გაზეთებს „მშვიდობა ყოველთა“, „ფესვები“, რომლებიც გაჯერებული იყო სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით და მკითხველში მუდამ აძლიერებდა ქართულ სულს.

არ შემიძლია არ გავიხსენო უნიჭერესი და უსათნოესი ქალბატონი, ყველასათვის საყვარელი მერი-ფაცია ჩიხიაშვილი, რომელმაც (თუ არ ვცდები) 1981 წელს, გაზაფხულზე გაზეთ „ყვარლის“ ერთ-ერთ ნომერში გადმოგვცა ერთი მეტად საინტერესო და სევდიანი ისტორია.

უფროსი და ჩემი თაობის ყვარლელებს ემახსოვრებათ „ფერისცვალების“ ეკლესიის ეზოს კუთხესთან, „მოლაანთ უბნის“ დასაწყისში მდგარი უზარმაზარი ვერხვის ხე, რომლის ფოთლების შრიალიც საამურად ეფინებოდა ხოლმე არემარეს, თითქოს ამღერებდა გალაკტიონის ცნობილი ლექსის „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“ სტრიქონებს (ამ სიმღერას ულამაზესად, მთელი გულით მღეროდა უდროოდ გარდაცვლილი ლალი ბუჯიაშვილი). სწორედ 1981 წლის გაზაფხულზე ძლიერი ქარიშხლისას ეს ვერხვის ხე ძირში მთლიანად გადატყდა, დაცარიელდა არემარე. აქვე ახლოს ცხოვრობდა ჭერაშვილების ცნობილი ოჯახი, სალომე, თამარ, ანიკო და მართა. ისინი ყოფილან „ფერისცვალების“ ტაძრის წინამძღვრის შთამომავლები. გასული საუკუნის 30-იან წლებში ათეისტ ბოლშევიკ-აქტივისტებს ყვარლის სასაფლაოდან გამოუტანიათ საფლავის ჯვრიანი ქვები, რომლებიც გამოყენებული იქნა სანიაღვრე არხების კედლებად.

სულ რამდენიმე წლის წინ, როდესაც განხორციელდა ილია ჭავჭავაძის ქუჩის არხების რეაბილიტაცია, ჩვენი თხოვნით სამშენებლო კომპანიამ „სერ-პანტინი“, მთლიანად ამოიღო ეს ქვები და გადაიტანა სასაფლაოზე წმიდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა მათ ამისათვის, პერსონალურად ბატონ ზურაბ ფეიქრიშვილს.

მამაო ბენიამინმა კი მათი სულების საოხად აღავლინა პანაშვიდი.

ეს ვანდალური ქმედება მაშინ გავრცელდა ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის წინაპრების საფლავებზეც. ყოველივე ამის გამო აღშფოთება არ დაუმალავს ახალგაზრდა მშვენიერ გოგონა მართას, რაც ქცეულა მის ბედისწერად, 1937 წელს იგი გადაუსახლებიათ და ამის შემდეგ მისი კვალი სამუდამოდ დაკარგულა.

სწორედ ამ შესანიშნავი გოგონას დარგული ყოფილა ის ვერხვის ხე. მისი დაკარგვა მტკივნეულად განიცადა ხალხმა. მერი ჩიხიაშვილის იდეა იყო იმავე ადგილზე დარგულიყო ახალი ვერხვი; სურვილი უმალ შესრულდა და დღეს სწორედ იქ ამაყად შრიალებენ ვერხვის ფოთლები და გვახსენებს ამ სევდიან ამბავს.

ასევე მინდა მოვეფერო ყველასათვის საყვარელი, უნიჭიერესი და იუმორის მქონე ბაკურ ბეროშვილის სულს. მისი მისალმება თემო პატატიშვილის (მეტსახელად „რადიო“) მეგობრის მიმართ: „მოგესალმებით პატივცემულო რადიომსმენელებო“ დაგვრჩა მის მოსაგონებლად.

მინდა ასევე გავიხსენო ერთი ღირსეული ყვარლელი კაცი, თავმდაბალი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ცნობილი ფოსტალიონი მირიან ცუკილაშვილი, ყველა ჩვენგანის ოჯახების ჭირისა და ლხინის თანაზიარი, არაჩვეულებრივი ქართული ფილმის „დღე – პირველი, დღე – უკანასკნელი“ყურებისას ყოველთვის თვალწინ მიდგას სახემწითური, ტანდაბალი ძია – მირიანი.

ერთხელ ბავშვობაში გაზეთების მორიგი ჩამოტარებისას შეწუხებულმა შემომჩივლა: შვილო, თქვენით ძალიან დატანჯული ვარო. ყველას ახსოვს ალაყაფის კარებზე, ეზოს მხრიდან მიმაგრებული „ფოსტის ყუთი“, რომელიც ქუჩასთან ჭრილით იყო დაკავშირებული. ძია მირიანმა მითხრა, გადაეცი მამაშენს, ან გამოწერილი გაზეთების რაოდენობა შეამციროს, ან კიდევ ეს ოხერი ჭრილი გაადიდოსო. (ვერ ტევდა მასში გაზეთებს და ძალიან წვალობდა). მამას გადავეცი მისი დანაბარები და ეს პრობლემაც იმავე დღეს მოგვარდა ჭრილის გადიდების ხარჯზე.

ზოგადად ფოსტის ყუთში წარსულში გამოჩენილი გაზეთებისა და წერილების მიმართ ხშირად სევდა შემიპყრობს ხოლმე, რადგან ინტერნეტიზაციამ ჩაანაცვლა სიხარულის ეს განცდა. გული მწყდება და მგონია, რომ იგი აღარასოდეს განმეორდება.

ერთი კურიოზიც მინდა გავიხსენო: ერთ-ერთ საახალწლო ნომერს ვანილის სუნი ასდიოდა. გაგვიკვირდა, მალევე გაირკვა, რომ გაზეთის ბეჭდვისას სტამბის თანამშრომელ ვიტალი მირიანაშვილს საღებავში ვანილი შეურევია იმ მოტივით, რომ ახალ წელს ყველა ყვარლელის ოჯახში სასიამოვნო სურნელი დატრიალდებაო.

შეუძლებელია არ მოვეფერო არაჩვეულებრივ ადამიანს, უგანათლებულესა კაცს ვალერი ზურაშვილს, რომელმაც უზომოდ შეიყვარა ყვარელი და ყვარლელები. იგი განვლილი წლების მანძილზე თავკაცობდა გაზეთ „ყვარელს“, ამასთან ერთად მკითხველს აჩუქა ისეთი შედევრები, როგორიცაა „თქვენი ვარ შვილი“, „კახეთი“ და სხვა მრავალი. მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და სიხარული შესანიშნავ ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

ჩემო ვალერი, იცოცხლე დიდხანს ჩვენდა საიმედოდ და გასახარად.

ჩემო ძვირფასო „ყვარლელებო“, თქვენი გაზეთის ყოველი ნომრის გაცნობისთანავე ჩემში ცოცხლდება ის უბედნიერესი წლები, ვიხსენებ ყველას, ვინც დღემდე შემორჩენია ჩემს ცნობიერებას.

მუდამ მახსოვხართ თქვენ ჩემო ალიკა, დალი, ნუგზარ, ია, ოთარ, მარინა. ბარაქალა თქვენ და უდიდესი მადლობა პროფესიონალიზმის, ტრადიციების ერთგულებისა და უანგარო თანადგომისათვის.

მადლობა კიდევ იმისათვის, რომ პოეტის მსგავსად თქვენც ახერხებთ მართალი სიტყვა მიიტანოთ მკითხველამდე. სწორედ თქვენი უდიდესი ძალისხმევის შედეგია, რომ დღესაც სუნთქავს და ცოცხლობს გაზეთი „ყვარელი“. დაე, ასე ყოფილიყოს მუდამ!

კიდევ ბევრი დამრჩა სათქმელი, ერთ წერილად ვერ შევძელი მისი გადმოცემა, გპირდებით, რომ მასზე მომავალში აუცილებლად ვისაუბრებ.

ძალიან მიყვარხართ, გეფერებით. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგაკლოთ მამაზეციერმა. ამინ!

**გოჩა შავგულიძე**

# ილიას მშობლიურ ყვარელში გაზეთი უნდა ფუნქციონირებდეს, რაც მხოლოდ თქვენი მხარში დგომით და თანამშრომლობით არის შესაძლებელი

1932 წელს, კომუნისტური რეპრესიების დაწყების წინა პერიოდში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე გადაწყდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით რაიონებში შექმნილიყო ადგილობრივი გაზეთების რედაქციები, რომლებიც გააშუქებდნენ მიმდინარე პროცესებს და ხელს შეუწყობდნენ დასახული მიზნების განხორციელებას, ადამიანების სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მას შემდეგ 90 წელი გავიდა, კომუნისტური ფორმაციაც შეიცვალა, საბჭოთა კავშირიც დაიშალა, მაგრამ გაზეთ „ყვარლის“ გამოშვება არ შეჩერებულა და რედაქციის ჟურნალისტები შემოქმედებით მუშაობას აგრძელებენ, რათა მოკრძალებული წვლილი შეიტანონ ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და აღმშენებლობის საშვილიშვილო საქმეში.

90 წელიწადი სათქმელად ადვილია, მაგრამ ეს თითქმის საუკუნოვანი ისტორიაა, რომელიც ეპოქალური მნიშვნელობის გარდაქმნებსა და პროცესებს მოიცავს.

ამაზე მეტყველებს თუნდაც ერთი მაგალითი, რომ 58 წლის განმავლობაში პრესისა და ტელევიზიების რედაქციები, კონკრეტულად ჟურნალისტები შეზღუდული იყვნენ საბჭოთა ცენზურის მიერ და თავისუფალი სიტყვის თქმის და წერის უფლება არ გააჩნდათ. რათქმა უნდა, გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის ჟურნალისტები ემორჩილებოდნენ ცენზურის მოთხოვნებს და მათი საქმიანობა განისაზღვრებოდა პარტიის რაიკომისგან მიღებული დავალებებით, კომპარტიის მიერ შემუშავებული იდეოლოგიური კურსით. თუმცა, გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის თანამშრომლები მუდამჟამს ცდილობდნენ გაზეთის თითოეულ ნომერში დაბეჭდილიყო ისეთი სტატიები, რომლებიც შრომაში სამაგალითო ადამიანების საქმიანობას ასახავდა და ადამიანების ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად არსებულ პრობლემებს წარმოაჩენდა.

კომუნისტური რეჟიმის ერთადერთი დადებითი მხარე ის იყო, რომ გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილს რაიკომის ბიუროზე იხილავდნენ და დამნაშავე პიროვნებებს მკაცრად სჯიდნენ, ამიტომაც ჰქონდათ მაშინდელ ჟურნალისტებს ავტორიტეტი და მათ საზოგადოებაში პატივს სცემდნენ.

ამ ეპოქაში და ასეთ ვითარებაში მომიწია გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში მუშაობის დაწყება, რაც ჩემთვის მართლაც მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საგზურით გამომაგზავნა ყვარლის რაიონში სამუშაოს დაწყების მიზნით. პარტიის რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ავთანდილ დავითაშვილმა მისამართი შემიცვალა და გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეობა შემომთავაზა, რაზეც უარი ვერ შევბედე და დავთანხმდი. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ახლობელსა და მეგობარს ალიმან ლაფაჩიშვილს, რომელიც იმხანად პარტიის რაიკომის ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების უფროსად მუშაობდა და წინასწარ, როგორც იტყვიან, კარგად დამამუშავა.

რაიკომის პირველმა მდივანმა, ბატონმა ავთანდილმა ჩემგან დადებითი პასუხის შემდგომ მირჩია – „უღრან ტყეში თუ დაიკარგე და გზას ვერ პოულობ „ნაშარობი“ უნდა მოძებნო, თუ მას გაჰყვები და არსად გადაუხვევ, სამშვიდობოს გაგიყვანსო“.

ამ დარიგების შემდგომ ვცდილობდი და დღესაც ასე ვარ არ გადავუხვიო იმ „ნაშარობიდან“, რომელიც ცხოვრების ნათელ გზაზე, მშვიდობიანად გამიყვანს, ბოროტებას და ცდუნებას მოვერევი და საზოგადოებაში ავტორიტეტს არ დამაკარგვინებს. მადლობა უფალს, რომ დღემდე ასეთი გზით მოვედი და უკადრებელი გადაცდომა ჩემი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს ჩამიდენია.

გაზეთის მაშინდელ რედაქტორს გურამ გურასპიშვილს რაიკომში გამოუძახეს და ჩემი თავი ჩააბარეს. პირველად გამიჭირდა ახალ გარემოცვასთან შეგუება, მაგრამ ხომ მოგისმენიათ – „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“ – მეც ყოველნაირად ვცდილობდი რედაქციაში მომუშავე ჟურნალისტებისთვის მიმებაძა და მათ საქმიანობაში არ ჩამოვრჩენოდი. განსაკუთრებით დავუმეგობრდი ავთანდილ გაფრინდაშვილს, რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს, ჩვენ მუშაობის ახალი დამწყებები ვიყავით და ერთნაირ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება. კვირაში სამი დღე უნდა გაგვეთია სტამბაში, რადგანაც გაზეთის დასაბეჭდად მომზადება, „ლინოტიპებზე“ აკრეფილი ტექსტების ჩასწორება შუა ღამისას მთავრდებოდა. შემდეგ ვიტალი მირინაშვილი სანამ საბეჭდ მანქანაზე გაასწორებდა გვერდებს, ორი საათი მაინც იყო საჭირო, ველოდებოდით როდის გადმოიყრებოდა დახარვეზებული გაზეთები, რომ „ლეიბ-საბნად“ გამოგვეყენებინა სტამბის გამგის გოგია ბეჟანიშვილის კაბინეტში დასაძინებლად. მიზერული ხელფასების გამო მე და ავთოს არ გვქონდა საშუალება ყვარლის სასტუმროში დაგვეძინა, 3 მანეთიანი ნომერი აგვეღო და ნორმალურად დაგვესვენა. თუ კარგ ხასიათზე იყო სტამბის გამგე გოგია ბეჟანიშვილი (გამოცვლის სახელს „ჯარელას“ ეძახდნენ) ხშირად პურმარილს გაგვიმართავდა და საბეჭდი მანქანის საამქროში ვიტალისთან ერთად გვაქეიფებდა.

რედაქციაში მუშაობისას ისეთი წრთობა მივიღე, რომ ცხოვრების მანძილზე არ გამჭირვებია ნებისმიერი დავალების შესრულება. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად გივი ძულიაშვილი აირჩიეს, კაცი რომელიც ჟურნალ გაზეთების მუშაობას ცენტრალური კომიტეტიდან უწევდა კურირებას და ამ საქმიანობაში კარგად ერკვეოდა. გაზეთის რედაქტორი ვალერი ზურაშვილი პარტიის რაიკომის მესამე მდივნად გადაიყვანეს და რამდენიმე თვის მანძილზე მე მომიწია რედაქციის ხელმძღვანელობა. გაზეთი კვირაში სამჯერ უნდა გამოგვეშვა და ორი დღის მანძილზე რაიონში მიმდინარე საქმიანობის გაშუქება გვევალებოდა, უნდა დავსწრებოდით ხალხთან რაიკომის ხელმძღვანელობის მუშაობის პროცესში შეხვედრებს და ინფორმაციები მისულიყო მკითხველთან. სირთულეს წარმოადგენდა სურათების გაზეთში განსათავსებლად „კლიშეების“ ჩამოსხმა, რომელიც მხოლოდ გურჯაანის სტამბას შეეძლო და იქ გვიხდებოდა ჩასვლა, დალოდება, რაც მეტად უსიამოვნო პროცედურა იყო.

ჟურნალისტური წრთობა დიდად დამეხმარა პარტიის რაიკომში მუშაობისას, სადაც მუშაობა ინსტრუქტორის თანამდებობით დავიწყე, ვიყავი რაიკომის ოთხი განყოფილების გამგე და მეორე მდივნის რანგში დავამთავრე. ჩემს ცხოვრებაში იყო ექვსწლიანი უმუშევრობის პერიოდი, როცა ეკონომიურად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ გავუძელი.

თურმე ადამიანი ცხოვრებაში ყველაფრისთვის უნდა იყო მზად, ვერ წარმოვიდგენდი თუ ოცდახუთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ რედაქციაში მომიხდებიდა დაბრუნება. ჩემი უახლოესი და დაუვიწყარი მეგობრების ყვარლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ მოლაშვილის და რაიონის გამგებლის მოადგილის ავთანდილ გაფრინდაშვილის დაჟინებული თხოვნით 1997 წელს გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორად დანიშვნაზე თანხმობა განვაცხადე და რაიონის გამგებელმა დავით ლაფაჩიშვილმა გზა დამილოცა.

მეოცე საუკუნის ბოლო წლები ეს იყო სინამდვილეში „უძრაობის ხანად“ აღიარებული ბრეჟნევის დროინდელ დროსთან შედარებით ჯოჯოხეთური ყოფის პერიოდი. პირველ რიგში იმით, რომ სტამბის ტექნიკური აღჭურვილობა ისე მოძველდა, ერთი კვირა ვუნდებოდით გაზეთის მასალების აწყობა-დაკაბადონებას და ჩასწორებას, არ არსებობდა განსხვავებული შრიფტების გამოყენების, სურათების ბეჭდვის საშუალება. რაც მთავარია, ხელფასები ძალზე მიზერული 15-20 ლარის ფარგლებში და იმასაც ვერ ვიღებდით თვის განმავლობაში, ვმუშაობდით ენთუზიაზმით, მომავლის რწმენითა და იმედით. სამწუხაროდ არც შევარდნაძის და ვარდების რევოლუციით მოსულ მთავრობებს დაუფასებიათ ჟურნალისტების რთული და საპატიო საქმიანობა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი იყო, როცა ჩვენგან განსხვავებით ერთკაციან სამსახურს ბიუჯეტიდან ჩვენზე მეტი თანხა ჰქონდათ ჩასმული მთელი რიგი წლების განმავლობაში.

2012 წლის შემდგომ სიტუაცია დიამეტრულად შეიცვალა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება შეძლებისდაგვარად უწყობს ხელს რეედაქციის საქმიანობას. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა გივი ზაუტაშვილმა გაითვალისწინა რედაქციის თანამშრომლების მიზერული ხელფასები და მიმდინარე წელს 20 პროცენტით გაგვიზარდა.



მიუხედავად ტელემაუწყებლობის არხების სიმრავლისა, რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროს ადგილობრივი გაზეთი „ყვარელი“ წარმოადგენს, რომელიც მოწოდებულია ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესებზე ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

რედაქციის კოლექტივის ძალისხმევა მომართულია აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად და ობიექტურად აშუქებს ყვარლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებსა და ჩატარებულ ღონისძიებებს. ვცდილობთ თითოეულ ნომერში დაიბეჭდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიის მასალები, ინტერვიუები, მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გივი ზაუტაშვილის ინტერვიუები, მერიის ინფორმაციები აქტუალურ საყოფაცხოვრებო და სოციალურ პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პრობლემატურ საკითხებს. ინტენსიურად ვაქვეყნებთ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ინფორმაციებს, სპორტულ ასპარეზობათა შედეგებს, მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან დაკავშირებულ თემებს და მედიცინის სფეროში არსებულ სიახლეებს.

ოთხმოცდაათი წელი, ამ ხნის განმავლობაში რამდენი თაობა შეიცვალა გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში. დარწმუნებული ვარ ყველა გამსჭვალული იყო სამშობლოს, ყვარლის სიყვარულით, ცდილობდნენ მცირედი წვლილი მაინც შეეტანათ საქართველოს აღმშენებლობისათვის გამართულ მარათონში, რომელმაც ჭეშმარიტად უკეთესი ცხოვრება მოგვიტანა და კიდევ უფრო მეტ სიკეთეს ველით მომავალში.

დიდი მოწიწებით პატივს მივაგებ ნიჭიერი და უდიდესი ავტორიტეტის მქონე რედაქტორების – სიკო ხუტილაშვილის, გიორგი კევლიშვილის, დავით ლაფაჩიშვილის, რაფიელ შავგულიძის, გურამ გურასპიშვილის, გივი ყოჩიშვილის, ავთანდილ გაფრინდაშვილის, რედაქციის ჟურნალისტების – მერი ჩიხიაშვილის, იური ლომიძის, ბადრი კანანაძის, ფოტოკორესპონდენტ შალვა ხომალდიშვილის, მძღოლის ზურაბ სეფაშვილის, სტამბის გამგის გოგი ბეჟანიშვილის ხსოვნას.

გულწრფელად მინდა მივულოცო 90 წლის იუბილე პირველ რიგში რედაქციის შემოქმედებით კოლექტივს, ყოფილ თანამშრომლებს, ჩვენს რესპონდენტებს, ხელმომწერებს, ყველას, ვისაც გაზეთი „ყვარელი“ უყვარს და რუდუნებით ელოდება ყოველი ნომრის გამოსვლას.

უდიდეს მადლობას ვუხდით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ილია მზექალაშვილს გაზეთზე მზრუნველობისა და მხარში დგომისთვის.

ილიას მშობლიურ ყვარელში გაზეთი აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს, რაც მხოლოდ თქვენი მხარში დგომითა და თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

იმედი გვაქვს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გაზეთის მკითხველის თანადგომით შევძლებთ ამ საპატიო ამოცანის შესრულებას, ვითანამშრომლოთ, რათა შთამბეჭდავად წარმოვაჩინოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად საჭირო საკითხები და პრობლემები.

**პატივისცემით**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# გმადლობ იმისათვის, რომ თქვენი დიდი ძალისხმევისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სიცოცხლე შეუნარჩუნეთ გაზეთს

ჩემო ძვირფასო „ყვარლელებო“, გილოცავთ დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

უფალმა ბრძანა: „ითხოვდეთ და მოგეცემათო“. მეც შევსთხოვ არსთა გამრიგეს: მოგმადლოთ ჯანის სიმრთელე, ბედნიერება, ცხოვრება მშვიდობიან, ეკონომიკურად ძლიერსა და ტერიტორიულად გამთლიანებულ საქართველოში.

მე თქვენი გაზეთის ყოფილი თანამშრომელი და ამჟამად ერთგული მკითხველი ვარ.

დიდი ხანია, რაც საქართველოს მთელ რიგ რეგიონში აღარ გამოდის გაზეთი, აღნიშნული კომპიუტერმა ჩაანაცვლა.

მადლობთ იმისათვის, რომ თქვენი დიდი ძალისხმევისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სიცოცხლე შეუნარჩუნეთ გაზეთს.

გასახსენებელი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ ამჟამად ყურადღებას შევაჩერებ გაზეთ „ყვარლის“ აწ განსვენებულ რედაქტორზე, ბატონ რაფიელ შავგულიძეზე.

23 წლის გავხდი ყვარლელების რძალი და მუშაობა დავიწყე გაზეთ „ყვარელში“ ლიტერატურულ მუშაკად. არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ ეს იყო მცოდნე, ენთუზიაზმით სავსე ერთ მუშტად შეკრული თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა უნიჭიერესი და ჭეშმარიტი ადამიანობის ეტალონი, ბატონი რაფიელ შავგულიძე.

არასოდეს დამავიწყდება რედაქციაში გატარებული წლები. მიხაროდა მანდ მოსვლა, სადაც მელოდნენ ისეთი ნიჭიერი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: მერი ჩიხიაშვილი, გურამ გურასპიშვილი, ბადრი კანანაძე, ნინო იშხანიძე, თამაზ სააკიშვილი და სხვები.

უფალმა დიდხანს და ჯანმრთელად აცოცხლოს ნინო იშხანიძე, დანარჩენებისთვის კი ძალიან ადრე გაჩერდა დროის მატარებელი.

დღეს, 77 წლის ასაკში, დროის სარკმელი ხშირად მახედებს წარსულისაკენ. თვალწინ მიდგას დინჯი ნაბიჯებით მომავალი ბატონი რაფიელი, რომელიც ოთახში შემოსვლისთანავე ღიმილით იტყოდა ხოლმე: „მოასწარით ყავის დალევა?“ შემდეგ კი დასძენდა: „მაშ ასე, შევუდგეთ მუშაობას“.

იმ დროს, როცა დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა თითქმის აკრძალული იყო, რედაქტორი გვაძლევდა უფლებას, ჩვენი დამოკიდებულება გაბედულად გამოგვეხატა. სწორედ ამიტომ შეიყვარა მკითხველმა გაზეთი „ყვარელი“.

ბატონმა რაფიელმა საფუძვლიანად იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობა. გამორჩევით უყვარდა ილია და ვაჟა. თავადაც წააგავდა ვაჟა-ფშაველას პოემების პერსონაჟებს – კაი ყმებს. მათსავით ძლიერი, ნიჭიერი, სამართლიანი და ტრადიციების დამცველი იყო. ჯოყოლასავით უყვარდა ნადირობა და ხელმოცარულთათვის ნანადირევის გაყოფა. მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე, ბატონი რეზო ჭიჭინაძე, რომელთანაც შავგულიძეებს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ, რაფიელ შავგულიძის შესახებ იხსენებდა: ერთხელ, მყვირალობისას, სანადიროდ წასულ ყვარლელებს, მთაში გაუშლიათ სუფრა. მყვირალობა ის პერიოდია, როდესაც მდედრი ირმის დაუფლებისათვის ხარირმებს შორის იმართება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. შუა ნადირობის დროს, რომელსაც ბატონი რაფიელი უძღვებოდა, თავს წამოსდგომიათ ბრძოლისგან ოფლში გახვითქული დამარცხებული ხარიირემი. ახალგაზრდა მონადირეებს უმალ მოუმართავთ იარაღი, მაგრამ ამ დროს, მისთვის დამახასიათებელი დინჯი კილოთი შეუჩერებია ისინი, „არ ესროლოთ ბალღებო, ეგ სიყვარულისთვის ბრძოლაში დამარცხებული ხარირემია და მაგას თავისი გაჭირვებაც ეყოფაო“. დაბნეულ ირემს კიდევ კარგა ხანს უყურებია მათთვის,შემდეგ კი უფსკრულში გადაშვებულა. მისი ცოდნა და დამოუკიდებლობის უნარი ყოველთვის იგრძნობოდა მის მიერ დაწერილ საგაზეთო სტატიებში. იგი მისაბაძი იყო არა მარტო როგორც რედაქტორი, არამედ, როგორც მეუღლე და მზრუნველი მამა. მისთვის ოჯახი ძალიან ბევრს ნიშნავდა, დღეს ილიას ნააკვნარში ღირსეულად დაიარება მისი შთამომავლობა.

გაზეთის რედაქციაში ჩემი მუშაობა ხანმოკლე იყო, მაგრამ მაინც ვიცი რა შრომატევადი და რა საპასუხისმგებლოა გაზეთის თანამშრომლობა, ამიტომაც გაზეთ „ყვარელის“ დღევანდელ თანამშრომლებს გისურვებთ, მოგეცეთ ძალა და ენერგია, რათა ღირსეულად გაართვათ თავი ამ საპასუხისმგებლო საქმეს.

ყველაფერი რაც წარსულში იყო, მარადიული დროის საკუთრებაა, რომელიც ჩემთვის მოგონებებად იქცა, დღეს მისი გახსენება ყველაფერს მირჩევნია, ვინაიდან იგი მეხმარება, რათა დღევანდელი ცხოვრების ქაოსში, სადაც დემოკრატია ფუჭ სიტყვად იქცა, ვიპოვნო საკუთარი თავი, სული მოვითქვა და შევემზადო „ახალი სიცოცხლისათვის“.

მიყვარხართ, უფალი იყოს თქვენი მფარველი.

**პატივისცემით**
**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი**

# ...მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ბატონ რაფიელს და ყველას, ვისაც გაზეთ „ყვარელი“-სთვის სული ჩაუბერია და უღვაწია

იდგა 1968 წლის მშვენიერი დეკემბერი. 22 წლის ვიყავი და ქართულს ვასწავლიდი ყვარლის N1 საშუალო სკოლაში.დირექტორმა დამიბარა, მივედი. მითხრა: „შემოთავაზება გაქვს „ყვარელის“ რედაქციაში და შენ უნდა გადაწყვიტო, როგორ გინდაო. ჩემი დირექტორი იმ დროს ელიკო ზაუტაშვილია – ძლიერი,სამართლიანი,კეთილი (თავისი საათები დამითმო და ისე დამნიშნა მასწავლებლად) პიროვნებაა და ხმაში ფოლადი ურევია. ე. ი. უკვე მიწყრება. იმ დღეს ხმა არ ამომიღია. შემდეგ გაზეთის რედაქტორი დამელაპარაკა: – ქართული ენის კარგი მცოდნე სჭირდება რედაქციას და აბა, რას გადაწყვეტავო, მკითხა.

სიახლე ყველას ხიბლავს, ჯამაგირიც ხელსაყრელი იყო – ოთხი იმდენი, რაც სკოლაში მქონდა და, რაც მთავარია, ბატონი რაფიელი მივიჩნიე ჩემი უნივერსიტეტელი ლექტორების მსგავს ადამიანად. მისი საუბრის დინჯი ტონი, განათლება და კეთილშობილება თვალში საცემი იყო. დავტოვე სკოლა და ეს წლები 1968-დან 1975-მდე რედაქციაში ვიმუშავე.

დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზე წავაო“. ალბათ ღვთის მადლი ჰქონდა ჩასახული ბატონ რაფიელს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით ჟურნალისტი არ იყო, ჰქონდა გონებრივი წვდომის ბუნებრივი უნარი, შრომისმოყვარეობა, საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის ღრმად ცოდნა, უანგარობა და გულწრფელობა. იცოდა, რომ სხვისი ნიჭის აღიარება მის ეპოლეტებს ვერაფერს დააკლებდა და შემოიკრიბა გარშემო პოეტები: ბადრი კანანაძე, თამილა პატაშური, დალი დვალი, ისტორიკოსი გომარ ნერსეზაშვილი, ეკონომიკური საკითხების კარგი მცოდნე – ნანი სეფაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული ფილოლოგი – ზეინაბ ჭიჭიკოშვილი და მე. რედაქციაში დაგვხვდნენ: პოეტი – მერი ჩიხიაშვილი, რედაქტორის მოადგილე, გამოცდილი მუშაკი, ცოცხალი გაზეთი – გურამ გურასპიშვილი და ფოტოკორესპონდენტები, ბუნების ღვიძლი შვილები: ბეჟან ჩოხელი და შალვა ხომალდიშვილი.

გაზეთი ყვარელი ახალი სისხლით შეივსო, ფერი იცვალა. დროც მშვიდი იყო, კვირაში სამ ნომერს ვუშვებდით. ქალბატონებს პატივს გვცემდნენ და სტამბაში მორიგეებად სულ მამაკაცები იდგნენ თითო ღამის გამოშვებით. საინტერესო გახდა მუშაობა, ყველა ხელს გვიწყობდა. სტამბის დირექტორად ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ საუკეთესო პიროვნება-თამაზ სააკიშვილი დანიშნეს (სამწუხაროდ ადრე გამოემშვიდობა წუთისოფელს), ხოლო მისი მუშაკები – ჩხებიანი ეთერი, სმილვა და ელიკო დაკაბადონებულ გვერდსაც კი დაშლიდნენ უმნიშვნელო ლაფსუსის ჩასასწორებლად.

დრო გადიოდა. სადაც შრომობენ, იქ შეცდომებიცაა მოსალოდნელი და ხანდახან გაზეთში შეცდომაც გაიპარებოდა ხოლმე. მბეჭდავი მუშა ამოვარდნილ სტრიქონებს არასწორად ჩასვამდა და იყო მერე ნერვიულობა...

დილით საკუთარ კაბინეტებში გამოკეტილები ვუცდიდით რას იტყოდა ბატონი რაფიელი. მივიდოდა კითხვაში შეცდომამდე და დაიქუხდება: „ნანი!“. მეჩვენებოდა, რომ ცა დედამიწას დაეცა, ან ოთახის კედლები ერთმანეთს შეასკდა. ნანი სეფაშვილი, გაზეთის კორექტორი ენაჩავარდნილი შევიდოდა მის კაბინეტში. ცოტა ხნის შემდეგ მამაშვილური ტონით შეთამამებული ნანი სწრაფად გამოვიდოდა და გვეტყოდა: „წამოდით, თათბირია!“ და მთელი კოლექტივი ერთად ვსახავდით როგორ გაგვესწორებინა დაშვებული შეცდომა.

დიდ შრომასთან ერთად ხანდახან დიდი სიხარულიც გვეწვეოდა ხოლმე. პარტიის რაიკომი,ან თბილისიდან რევიზიაზე ჩამოსული სტუმრები კარგი მუშაობისათვის ჯილდოებს არ იშურებდნენ ჩვენთვის. მაშინ კი, მაშინ ბატონი რაფიელი მეტყოდა: „ნინო გაუძეხ სარქალივით სტუმრებს და შენს საყმოს ჩემს ოჯახში, შაოაანთ ქალი გველოდებაო“და იყო რაფიელ შავგულიძისა და ეთერ შაოშვილის სტუმართმოყვარე კერაზე ლექსი და სიმღერა,ორიგინალური სადღეგრძელოები და მოგონებები...

მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ სარქალი მხოლოდ უფროს მწყემსს, ჩობანს კი არ ნიშნავდა, არამედ პატრონს, მზრუნველს, კარგ სიტყვა-პასუხის მქონე და გონიერ ადამიანს. ამისთვის დაგვიანებულ მადლობას ვწირავ უფალს და მუხლმოყრილი ვევედრები მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ბატონ რაფიელს და ყველას ვისაც გაზეთ „ყვარელი“-სთვის სული ჩაუბერია და უღვაწია.

**ნინო იშხანიძე-კანანაძე,**
**გაზეთ ყვარელის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი**



# თბილად მოსაგონარი

ბედნიერებაა, იყო თუნდაც წვეთი ან მისი მეასედი ისეთი დიდი ზღვისა, გაზეთ „ყვარლის“ ოთხმოცდაათწლიანი ისტორია რომ ჰქვია. – ასეთი შეგრძნებით ვწერ ამ სიტყვებს, რადგან მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ამ ლამაზი კოლექტივის წევრი, არავინ დამძრახავს, თუ ვიტყვი, ყველაზე საინტერესო და შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, თანაც ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე გაზეთის არსებობისა, მით უმეტეს„თავიდანვე აღვნიშნავ, ერთი უიშვიათესად ნიჭიერი, კეთილშობილი, დიდბუნებოვანი ადამიანის, თამამად ვიტყვი, ყვარლის კოლორიტის, ავთანდილ გაფრინდაშვილის, რედაქტორობით. სწორედ ამ დიდებულ ადამიანთან ასოცირდება ჩემთვის გაზეთი „ყვარელი“ და რამდენად სამწუხაროა მასზე წარსულში ლაპარაკი. მასთან ერთად და მაყვარებდა; „ვიღაც“ თავის ხვაშიადს მანდობდა და მაგრძნობინებდა, რომ მეც ვიღაცისთვის საჭირო ადამიანი ვიყავი; გამიჭირდებოდა რამე და ჩემს კოლეგებთან მივრბოდი, რომელი არ გამოგიწვდიდა დახმარების ხელს ან რომელი არ გაიზიარებდა შენს სიხარულს?... მერე ამ განცდებით დატვირთული ჩემს ნაგრძნობ-ნააზრევს, სიყვარულს, სითბოს გაზეთის ფურცლებს ვანდობდი და ვდარაჯობდი გაზეთის მკითხველების რეაქციას, შთაბეჭდილებებს, აზრებს. რა დიდებული განცდაა ჟურნალისტისთვის!.. ასე ნელ-ნელა ვკახელდებოდი, ვშინაურდებოდი და თითქოს ჩემს ადგილს ვიმკვიდრებდი. ეს ძნელი პროცესი დაიწყო სწორედ ჩემს საყვარელ გაზეთთან ურთიერთობით და, ჩემდა საბედნიეროდ, გრძელდება ახალსოფლის პირველი სა-



როგორ დამავიწყდება წყნარი, მშვიდად მომზირალი, თბილი ბუნების გურამ გურასპიშვილი და მუდამ ქოთქოთა, სახელიმილიანი მერი ჩიხიაშვილი, მათგან ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე. სხვებთან ერთად მეც ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე.

ბუნებრივია, როგორც ყველა, მეც ფიქრში ხშირად „ვმოგზაურობ“ წარსულში და ყოველთვის სახეზე ღიმილითა და გულის ფორიაქით მივადგები იმ ლამაზ წლებს, პირველი ნაბიჯები რომ გადავდგი იმდროისთვის ჩემთვის უცხო ყვარელში. ეს ნაბიჯები მყარი და ჩემთვის ბედნიერების მომტანი რომ აღმოჩნდა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის გაზეთ „ყვარლის“ კოლექტივს. ყვარლელებს, რამდენადაც დავაბიჯებდი უცხო ქალაქის ქუჩებში, ვითავისებდი ჩემთვის ახალს და ვგრძნობდი რაღაც საოცარ სითბოს – ახლობლურს, სულში ჩამწვდომს, ათეულმა წლებმაც რომ ვერ გააქრო. შევდიოდი ფოსტაში (იმდროისთვის ჩემს მონატრებულ წარსულთან დამაკავშირებელ ერთადერთ ადგილას!) და მესმოდა „ჩემთვის ვიღაც“ ანოს თუ თამროს, მაროსა თუ ლამარას მზრუნველი ხმა, შენთვის სიამოვნების მონიჭება რომ უნდოდა; შევდიოდი აფთიაქში და „ვიღაც“ თინას თვალებიდან სითბო და ღიმილი გამოკრთოდა; „ვიღაც“ თავისი საინტერესო ცხოვრებისეული ისტორიის მოყოლით კახელებს მაგუებდა ჯარო სკოლის დიდებულ კოლექტივში: ჩემს პატივსაცემ და მიზანმიმართულ კოლეგებსა და საყვარელ მოსწავლეებთან ერთად.

რამდენი წელი გასულა ამ საწყისიდან, მაგრამ ერთი წუთითაც არ გამწყდარა ჩემი ურთიერთობა გაზეთ „ყვარლის“ კოლექტივთან. დიდად ვემადლიერები ბატონ ალექსანდრეს, ღირსეულად რომ უძღვება ამ მნიშვნელოვან საქმეს. მან გაცნობისთანავე მიმიღო, როგორც თავისი კოლექტივის წევრი, თუმცა მე ჩემს საყვარელ საქმიანობასა და გაზეთს დიდი ხნის წინათ, „ავადმოსაგონარ 90-იანებში“, ქვეყანაში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, ჩამოვშორდი. მიუხედავად, ყველაფრისა, ახლაც ჩემთვის ძველებური სიყვარული და სითბო მხვდება ამ კოლექტივში.

მინდა, დიდი სითბოთი და სიყვარულით მივულოცო გაზეთის იუბილე ყვარლელებსა და გაზეთ „ყვარლის“კოლექტივს, ჩემს საყვარელ ადამიანებს, რომლებიც გაჭირვებით თუ დალხინებით, კვლავ აგრძელებენ ჟურნალისტურ საქმიანობას და ვუსურვო წარმატებები, რამდენადაც სწორედ მათ ყველაზე მეტად გაცნობიერებული აქვთ, რომ პრესა იყო და არის მნიშვნელოვანი წყარო ინფორმაციისა და განუყოფელი ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა!

**ქეთინო კვარაცხელია**

# ...გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობასა და გამძლეობას ძალიან რთულად სავალ გზაზე

ერთი ამოსუნთქვა იყო ჩემს ცხოვრებაში ის ექვსი წელი, გაზეთ „ყვარელის“ რედაციაში რომ გავატარე.

მაშინ თვრამეტი წლის ცოტა უხეში, გაუშალაშინებელი და თვითდაჯერებული გოგო ვიყავი მთელი ჩემი ნაკლოვანებებითა და გულწრფელობით.

მეამაყება, რომ იმ თაობების ნაწილი ვარ, ოთხმოცდაათი წლის მანძილზე რომ მოდიოდნენ დღემდე; ლოცვასავით გავიმეორებ პოეტ მუხრან მაჭავარიანის სიტყვებს „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“

ისე შევეთვისე და შევესისხლხორცე, რომ რედაქცია იყო ჩემი მეორე სახლი – სალოცავი, სადაც ხელახლა დავიბადე და გავიზარდე როგორც პიროვნება. აქ ჩვენ ერთმანეთს ვბაძავდით, ერთმანეთს ვავსებდით და ერთმანეთისგან ვსწავლობდით გამოცდილებას, კომპეტენტურობასა და სიყვარულს იმ ადამიანებთან ერთად, ერთი დიდი ოჯახი რომ ერქვა. პირველ რიგში ვაყენებდით ზნეობრივ და მორალურ ღირებულებებს, ვიცოდით, რომ თმენის დიდი ვალდებულება გვმართებდა.

ბედმა გამიღიმა და გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, რაზეც ოცნებაც არ შემეძლო. იმ პეროდში გაზეთის რედაქტორი ბატონი რაფიელ შავგულიძე კორექტორს ეძებდა, ცოტა ისეთს, წერაც რომ შეძლებოდა. დიდი შოთა რუსთაველი რომ ამბობდა, „დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“ – აი ასეთს.

ბატონ რაფიელს ჩემს შესახებ რეკომენდაცია მისცა იმ პერიოდში ყვარლის რაიონული ბიბლიოთეკის გამგემ მარიამ მამულაშვილმა (რისთვისაც სამუდამო მადლობელი ვარ მისი). თუმცა, ასე ნათლიმამობით მაინც არ მიმიღო სამსახურში. გამოცდა მომიწყო კი არა და გამწურა კითხვებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში. და საერთოდ ხშირად გვისვამდა ისეთ კითხვებს, რომლებსაც იცოდა ვერ ვუპასუხებდით, სწორედ იმიტომ, რომ ესწავლებინა. მაგალითად, რა არის კრედო, მრწამსი. მე, რა თქმა უნდა, ენავტლიკინებდი და ვპასუხობდი, ბატონო რაფიელ, რაში მჭირდება ასეთი სიტყვების ცოდნა, ფილოსოფოსი ხომ არ ვარ, – უნდა იცოდე, განათლება გაკლია“. დავალება მომცა, რედაქციაში სხვადასხვა ჟანრის სამი წერილი მომეტანა. არც მე და არც ბატონი რაფიელი ამ შედეგს არ ველოდით, გამოცდა ფრიადზე ჩავაბარე, როგორც მან მითხრა. ასე მასწავლა პასუხისმგებლობა იმ საქმისადმი, რომელსაც ვჭირდებოდი.

ტრადიცია გრძელდება და უნდა ითქვას, რომ გაზეთი დღესაც ამართლებს თავის დანიშნულებას. ამხელა გამოწვევების – ომების, პანდემიის, ეკომომიკური და სოციალური კრიზისების ფონზე, იგი ღირსეულად იბრძვის. ეს ყველაფერი ხომ მის არსებობაზეც აი-

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

# გაზეთი „ყვარელი“ – ჩვენი სიამაყე და ცხოვრების თანამგზავრი



ჩვენი საყვარელი გაზეთის იუბილე ყველა ყვარლელისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. როგორც რაიონული პრესის ფლაგმანი, გაზეთი „ყვარელი“ ყოველთვის ფართო საზოგადოებისა და ხალხის სამსახურში იდგა და მის საჭირბოროტო ინტერესებს გამოხატავდა, რეალურად და პირუთვნელად ასახავდა ჩვენი პოლიტიკური, კულტურული და სოცლიალურ-ეკონომიკური ცხოვრების ასპექტებს. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი გაზეთის პოპულარობის საფუძველი.

რაიონული გაზეთი „ყვარელი“ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დაფუძნდა და მას შემდეგ ჩვენი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. განვლილი 90 წლის განმავლობაში მის სათავეში ბევრი კოლორიტული და ნიჭიერი რედაქტორი მდგარა, რომელთა სახელები დღემდე შემორჩა ჩვენს ხსოვნაში. პირადად ჩემთვის გაზეთ „ყვარელის“ რედაქცია, ბავშვობის წლებიდან, ძალიან შინაურულ გარემოდ აღიქმებოდა, რადგან რედაქტორად ბიძაჩემი დავით ლაფაჩიშვილი მოღვაწეობდა, რაც, უნდა ითქვას, რომ მოსწავლეობის წლებში და შემდგომაც, ძალიან ვამაყობდი. მისი რედაქტორობის წლებიდან არაერთი ღირსშესანიშნავი მოგონება შემორჩა ხსოვნაში.

დავით ლაფაჩიშვილმა 50-იანი წლების დასაწყისში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. შემდეგ იგი მცირე ხანს მუშაობდა პედაგოგად, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად და სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ასაკში დაინიშნა რაიონული გაზეთის რედაქტორად, რომელსაც ათი წლის მანძილზე სახელიანად ხელმძღვანელობდა. დატოვა უნიჭიერესი და დიდი ერუდიციის მქონე პიროვნების სახელი. სხვათა შორის, საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, რომელთანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა, მას ქართული ენის სიწმინდისათვის მებრძოლ რაინდს უწოდებდა.

ხსოვნას ბევრი დაუვიწყარი მოგონება შემორჩა, რომელთა ერთ საგაზეთო სტატიაში მოყვანა შეუძლებელია, მაგრამ ორიოდე ღირსშესანიშნავი ეპიზოდის გახსენება ახალგაზრდა რედაქტორის ცხოვრებიდან, დღევანდელი საზოგადოებისათვის საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ.

1955-1956 წლებში ყვარელს სტუმრობდა დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც თავისი ცნობილი რომანის „ვაზის ყვავილობის“ შექმნა ჰქონდა განზრახული და კახეთს ამ მიზნით ეწვია. ყვარელი კი ალბათ იმის გამო ამოირჩია, რომ აქ დიდი ილიას სული ტრიალებდა. მისი სტუმრობისას იგი ყვარლის ცენტრში, რაიკომთან ახლოს, პირველი, ვისაც შეხვდა და დაელაპარაკა, ქუჩაში მიმავალი დავით ლაფაჩიშვილი გახლდათ: ახალგაზრდავ, რაიკომის შენობას ხომ არ მიმასწავლით, – ჰკითხა ბატონმა კონსტანტინემ. მან შეხედა თუ არა, მაშინვე იცნო დიდი მწერალი – თქვენ კონსტანტინე გამსახურდია არ ბრძანდებითო? მან დაუდასტურა. მობრძანდით ბატონო კონსტანტინე, მე რაიონული გაზეთის რედაქტორი ვარო, მიუგო დავით ილიჩმა და რედაქციაში შეიყვანა. გაცნობისა და გასაუბრების შემდეგ, რათქმა უნდა, საპატიო სტუმარი პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან ალიხან ავაზაშვილთან წაიყვანა.

ამის შემდეგ იყო სტუმრობა სოფელ შილდაში, რომელიც მწერალს ძალიან მოეწონა და თავისი რომანის მოქმედების ეპიცენტრად სწორედ შილდა აირჩია. რომანში მოყვანილი პერსონების სახელები (ნიორთავა, კანკრე და სხვა) სწორედ შილდიდან გახლავთ აღებული. სხვა არაერთი ტოპონიმი და ადგილმდებარეობის სახელწოდებებიც, რაც ამ რომანშია ასახული, სწორედ შილდას უკავშირდება. მეორე მნიშვნელოვანი პერიოდი ბიძაჩემის რედაქტორობის პერიოდიდან პატრიოტულ და აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ელფერს მიეკუთვნება. იმ პერიოდში ყვარელში თურმე ხშრად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, 1956 წელს პოეტმა ილო ბეროშვილმა წაიკითხა თავისი ცნობილი, დღევანდელი შეფასებით, დისიდენტური შინაარსის ლექსი „ფიქრები საქართველოზე“, რომელიც ასეთი ფრაზით ბოლოვდება: „ოღონდ მუმლი და კოღო მოსცილდეს საქართველოს“. დავით ლაფაჩიშვილმა პოეტს იქვე გამოართვა ხელნაწერი და მეორე დღესვე ლექსი რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნა. მაშინდელ ცენზურას, რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ გამოეპარა და ატყდა სკანდალი. საქმეს პოლიტიკური სარჩული დაადეს და საკითხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გაიტანეს განსახილველად. რასაკვირველია, რედაქტორმა სასჯელი მიიღო საყვედურის სახით და ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, მის შემდგომ კარიერულ წინსვლაზეც იმოქმედა. როგორც თავად ბიძაჩემისგან მომისმენია და ამას ბატონი ილო ბეროშვილიც ადასტურებდა, დადგენილების პროექტით უმძიმესი სასჯელები იყო გათვალისწინებული, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ლექსის დაბოლოებაში „ოღონდ მუმლი და კოღო მოსცილდეს საქართველოს“, კომუნისტური პარტია და რუსეთის იმპერია იგულისხმებოდა. მაგრამ განხილვის პროცესში დავით ლაფაჩიშვილმა საპასუხო არგუმენტად ამავე ლექსის ის სტრიქონი მოიშველია, რომელშიც ნათქვამია: „ხე ცხოვრებისა თითქოს ამოიძირკვა, გახმა, ავბედობისგან გვიხსნა, სვებედნიერმა ხალხმა!“ – ამ სვებედნიერ ხალხში ხომ რუსეთი იგულისხმებაო თავისი პარტიული ხელმძღვანელობით. ცეკას მაშინდელ პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს, რომელიც დიდად ჰუმანური და შემწყნარებლური ხასიათით იყო გამორჩეული, უთქვამს, რომ სწორად მსჯელობს ეს ახალგაზრდაო და საბოლოოდ ვითარებაც განიმუხტა, შესაბამისად კი გათვალისწინებული სასჯელიც შემსუბუქდა.

აი, ასეთი ეპიზოდებიც იყო ახალგაზრდა რედაქტორის დავით ლაფაჩიშვილის მოღვაწეობისას, რომლებიც თვალსაჩინოდ გამოხატავენ მის პიროვნულ სულისკვეთებას, კაცურ ღირსებას და მებრძოლ ხასიათს. რაც მთავარია, მან, როგორც რედაქტორმა, ღირსეულად ატარა ეს უმძიმესი ტვირთი და დატოვა შეუბღალავი, თვალსაჩინო მოღვაწისა და მამულიშვილის სახელი.

1965 წლიდან დავით ლაფაჩიშვილი სათავეში ჩაუდგა ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებას და 12 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურა განათლების ფრონტს. ნიჭიერი ჟურნალისტი შემდეგ დადუღდა, როგორც სანიმუშო პედაგოგი, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. მისი მთავარი პიროვნული ღირსება ისიც იყო, რომ ყოველ საქმეს, რომელსაც კი შეეჭიდებოდა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ბატონი ილო ბეროშვილის შეფასებით „გახლდათ უებრო მესიტყვე, ორატორი და მოპაექრე. მისი ყოველი სიტყვა და გამოსვლა აუდიტორიის წინაშე ყოველთვის დატვირთული იყო ცეცხლით, აზრითა და ემოციით“.

ამიტომაცაა აუცილებელი ჩვენი გაზეთის საიუბილეო დღეებში მისი გახსენება, მოგონება კაცისა, რომელსაც სიტყვაც უჭრიდა და კალამიც. ყოველთვის ცდილობდა, რომ დიდი ილიას მშობლიურ ყვარელში გამომავალი გაზეთი მოწოდებისა და ღირსების სიმაღლეზე მდგარიყო.

ახლა ჩვენი გაზეთი იუბილარია და ყველას სიამაყის გრძნობა გვეუფლება ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, ყველას, ვისაც ბევრი რამ გვაკავშირებს მასთან, ვისაც მთელი ცხოვრება გვივლია მასთან ერთად და ჯერ კიდევ არ ვაპირებთ კალმის ხელიდან გაგდებას. ჩვენ, განსაკუთრებით სტაჟიან გულშემატკივრებს და თანამებრძოლებს, კარგად გვახსოვს ის დრო, როცა ჩვენი საყვარელი გაზეთი მრავალათასიანი ტირაჟით თითქმის ყოველდღიურად გამოდიოდა და რაიონის ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი გახლდათ. თვით ჩვენთვის ესოდენ მძიმე და ფათერაკიან 90-იან წლებშიც კი გაზეთი ახერხებდა მაღალი ტონუსის შენარჩუნებას.

დღეს კი რა ხდება? გულსატკენია, რომ ერთ დროს ესოდენ პოპულარული და ყველასათვის საყვარელი გაზეთი „ყვარელი“ ძალიან მცირე ტირაჟით იბეჭდება და იშვიათი პერიოდულობით (ორ კვირაში ერთხელ, ზოგჯერ კი სულაც თვეში ერთხელ) გამოდის, ისე, რომ ჩვენი რაიონის მოსახლეობის უმრავლესობისათვის მისი ხილვა და წაკითხვა ერთობ ძვირადღირებულ სიამოვნებად არის ქცეული და ბევრს ალბათ, მისი არსებობაც კი ლამის დაავიწყდა უკვე.

მიგვაჩნია, რომ გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის ნორმალური დაფინანსების, მისი პერიოდულობისა და ტირაჟის გაზრდის საკითხის მოგვარება გადაუდებელ ამოცანად უნდა იქცეს ყველასათვის, ვისაც ჩვენი რაიონის ბედ-იღბალზე ფიქრი და ზრუნვა ავალია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეც იქნება და დიდი ილიას სამშობლო ყვარელში გამომავალი გაზეთი მტკიცედ ჩადგება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში. ხოლო რა კავშირია დიდი ილიას უკვდავ სახელსა და ქართულ ჟურნალისტიკას შორის, ეს ნამდვილად არ გვესწავლება!

ასე, რომ ყველას, მთელ საზოგადოებას, გილოცავთ ჩვენი საყვარელი გაზეთის იუბილეს და მოგიწოდებთ, ჩავდგეთ მის სამსახურში და ვიღვაწოთ იმისათვის, რომ გაზეთი რეალურად ამართლებდეს თავის მისიას და დანიშნულებას!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**



დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

სახება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე, დაბალი შრომითი ანაზღაურება თუ სხვა მიზეზების გამო რედაქციის კოლექტივი არ წუწუნებს, იტანს იმ საერთო გაჭირვებას, რაც დღეს ქვეყანაშია და ღირსეულად უწყობს ფეხს იმ ბრძოლას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დასაძლევად რომაა დაწყებული. გაზეთში შუქდება რაიონის მნიშვნელოვანი ამბები, ჩვენთვის, მკითხველებისათვის იწერება ისეთი წერილები, რომელბიც კარგად გვადგება ყოველდღიურ ყოფაში – სოფლის მეურნეობის, სამედიცინო თუ სხვა თემებზე.

მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომიწია გაზეთ „ყვარლისათვის“ წერილის მიწოდება, რისთვისაც მადლობას ვუხდი სარედაქციო კოლეგიას. იქ ხომ ჩემი ბავშვობაა, ადგილი, სადაც უფრო კარგად ვისწავლე სიყვარული და თანადგომა ადამიანებისადმი, სწრაფვა უკეთესი მომავლისათვის.

გილოცავთ რედაქციის თანამშრომლებს 90 წლისთავის იუბილეს, გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობასა და გამძლეობას ძალიან რთულად სავალ გზაზე. ვისაც სტამბა-რედაქციაში უმუშავია, მან კარგად იცის რა დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ გაზეთი მკითხველამდე ჯანსაღი, საინტერესო და სიცოცხლით სავსე მივიდეს.

როგორც დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: უცბად გაირბინეს წლებმა ათეულმა „როგორც ნაბდით დაჭედილმა ბედაურებმა“... მიუხედავად ამისა გაზეთ „ყვარელის“ რედაქცია ჩემთვის იყო, არის და იქნება ჩემი სალოცავი – ჩემი იერუშალაიმი.

**ნანი სეფაშვილი,**
**გაზეთ „ყვარლის“ ყოფილი კორექტორი**

# იუბილარს ვულოცავ! 90 წელი...



დაგვიბერდა ჩვენი „ყვარელი“, ჩვენი გაზეთი; საუკუნოვან მიჯნას მიუახლოვდა. აკეთა თავისი საკეთებელი მთელი თავისი არსებობის მანძილზე, კეთილსინდისიერად აკეთა, რაც ევალებოდა – მიჰქონდა ადამიანებამდე ქვეყნის ამბები, ცუდი თუ კარგი, აქტუალური თუ მეორეხარისხოვანი; ეხმარებოდა მათ ავისა და კარგის გარჩევაში. ასე აისახა მასში ჩვენი პატარა რაიონის ცხოვრება თავისი ჭირ-ვარამით. ამდენად ეს პატარა გაზეთი ჩვენი ისტორიაა, მატიანეა ერთი რაიონისა. ამისათვის მადლობა მას.

მადლობა კიდევ იმისათვის უნდა ვუთხრათ, რომ მის ფურცლებზე უამრავმა ახალგაზრდამ მიიღო წრთობა, – აქ აიდგა ფეხი, როგორც მომავალმა პროფესიონალმა. მათ შორის ვარ მეც. სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქ დავიწყე მუშაობა და გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ აქ მიღებული გამოცდილება შეუცვლელი იყო ჩემთვის შედგომში დიდ პრესაში საქმიანობის დროს.

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ პირველი ნაბიჯები განსაკუთრებულია ადამიანის ცხოვრებაში. იქამდე იყო მხოლოდ სწავლა: ჯერ სკოლა, შემდეგ – უმაღლესი სასწავლებელი, რომლის დასრულების შემდგომ იწყება საქმიანი ცხოვრება. ამიტომ არის ეგოდენ მნიშვნელოვანი, თუ სად და ვის გვერდით შეუდგები დიდ გზას, რომელზეც თეორიული ცოდნის შემდეგ უკვე იწყება უშუალოდ საქმეში დაოსტატება, პროფესიული ზრდა; როდესაც გასწავლის თავად საქმე, გასწავლის ყოველდღიური რუტინა, გასწავლიან ადამიანები, უფროსი თაობის პროფესიონალები, საქმეში ჭიპმოჭრილები.

იუბილე ისეთი მოვლენაა, როდესაც შენდაუნებურად უკან იხედები და თვალს ავლებ განვლილ წლებს, იგონებ გარდასულს-საქმეს, მასთან დაკავშირებულ ადამიანებს, სიტუაციებს... განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერების გრძნობით ვიგონებ იმ ადამიანებს, ვის გვერდითაც მომიწია პირველი ნაბიჯების გადადგმა პროფესიული საქმიანობის გზაზე. ესენი არიან რედაქტორები სხვადასხვა დროს-რაფიელ შავგულიძე, პროფესიონალისა და კოლორიტის ნაზავი; გივი ყოჩიშვილი, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო პარტიის რაიკომიდან რედაქტორად გადმოყვანილი, ჟურნალისტიკაში არანაირი გამოცდილება რომ არ ჰქონდა, მაგრამ ტაქტიანად და წინდახედულად უმოკლეს ხანში“კრიფა“გამოცდილ თანამშრომლებში მისთვის სრულიად უცხო საქმისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები; ვალერიან ზურაშვილი, დედაქალაქიდან რომ ჩამოვიდა იმაზე გაცილებით მეტი გამოცდილებითა და ცოდნით, რაიონულ გაზეთს რომ სჭირდებოდა. აქ რომ დამხვდა, ასეთი კოლექტივით“ნიუ-იორკთაიმსის“ გამოშვებაც კი შეიძლებაო, რომ ამბობდა.; რედაქციის თანამშრომლები-გურამ გურასპიშვილი, თავისი განუმეორებელი იუმორითა და რთული სიტუაციებიდან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მარიფათით გამოსვლის უნარით; მერი ჩიხიაშვილი, სიმართლის და სამართლიანობის მხოლოდ მოყვარული კი არა, უპირველესი დამცველი და აღმასრულებელი; ავთანდილ გაფრინდაშვილი, ყოველდღიურ მოსაწყენ საქმიანობაშიც კი პოეტური სხივის შემტანი; ბადრი კანანაძე, ჭკუადამჯდარი, განათლებული, სინდის-ნამუსიანობის ეტალონი არამხოლოდ რედაქციის თანამშრომლებისათვის; ნინო იმხანიძე, თავისი აკადემიური საუნივერსიტეტო განათლებით და ფართო თვალსაწიერით; ნანი სეფაშვილი და დალი ტატულიშვილი, სწორუპოვარიკორექტორები, მათ თვალს ტირე-დეფისიც რომ არ გამოეპარებოდა; ალექსანდრე გიგილოშვილი, დღევანდელი რედაქტორი, მაშინ კი თავადაც დამწყები მუშაკი, ძალზე ინტერესით და საკმაო წარმატებით რომ ითვისებდა საქმის სპეციფიკას. ვიგონებ ასევე რედაქციის მძღოლს, ალიოშას, არასოდეს რომ ეზარებოდა ნებისმიერი ჩვენგანის მომსახურება არათუ სარედაქციო საქმისათვის, არამედ პირადი საჭიროების დროსაც.

იუბილეს ვულოცავ ჩვენს საყვარელ გაზეთ „ყვარელს“!

ვულოცავ ყველას, ვისაც ოდესმე უთანამშრომლია მასთან!

მინდა სამარადისო ხსოვნა ჰქონდეთ მათ, ვინც ჩვენ გვერდით აღარ არის; მათ კი, ვინც ღმერთის წყალობით კვლავ საქმით არის დაკავებული, ასევე მათ, ვინც დამსხურებულად ისვენებს წლების ნამსახურეობით, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ; ვისურვებდი არ ჩამორჩენოდნენ წელთა სიმრავლეში იუბილარს.

**გალინა ხარებაშვილი**

# დაე, კვლავ ისმოდეს „ყვარელი“-ს იმედიანი სიტყვა ალაზნის ველზეც და სრულიად საქართველოს არემარეზეც!

სხვადასხვა ისტორიული ფორმაციის ჟამს, მედიას ხელთ ეპყრა საზოგადოებრივი მაჯისცემა. ქართული ჟურნალისტიკის არცისე შორეულ წარსულს თუ გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ ბეჭდური მედია იყო ერთად-ერთი, რომელიც მასობრივი მესიტყვის ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის იდეოლოგიურ და საინფორმაციო ასპარეზზე. ამ მხრივ, თავისი როლი ჰქონდა ადგილობრივ პრესას--რაიონულ და საქალაქო გაზეთებს. ამას იმიტომ ვამბობ,რომ საზოგადოებრივი აზრი და განწყობა განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ქვეყნისა და რეგიონის, ქალაქისა და სოფლის განვითარების მიმართულებებს, იქნებოდა ეს საბჭოთა პერიოდში, თუ იქნება დღევანდელ დემოკრატიულ პროცესებში.. ამიტომ, დღესაც ანგარიშგასაწევია ადგილობრივი მედიის მნიშვნელობა, მიუხედავად თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური ბუმისა. დიდი ილიას სამშობლოში გაზეთი „ყვარელი" (იმჟამინდელი სახელწოდებით „ლენინური გზით“) მაშინ დაიბადა, როდესაც არცთუ დიდი დრო იყო გასული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. 1932 წლის ივნისში შევიდა პირველად ყვარლელი კაცის ოჯახში და იმ დღიდან იქცა იგი ყვარლელთა ყოველდღიურობის, ლხინისა და ჭირის თანმდევად და მოზიარედ. დიახ, ჩვენი გაზეთი 90 წლისაა (სხვათა შორის, საქართველოს რადიოს თანატოლია), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დაგვიბერდა, არა, ის კვლავინდებურად, ახალგაზრდული პათოსით აგრძელებს მოღვაწეობასა და ყვარლელთა გულშემატკივრობას. მშობლიური კერაა ჩემთვის გაზეთი „ყვარელი", რომლის რედაქციაში ბავშვობიდან გავიზარდე, ამდენად, წარსულის მოგონებათა ემოციური გორგალი, მთლიანად დაკავშირებულია სტამბა-რედაქციასთან, იმდენად ძვირფასნი არიან ჩემთვის იქ მომუშავე ადამიანები, რედაქტორებიდან დაწყებული, სტამბის მუშებით დამთავრებული, რომ სენტიმენტების გარეშე, მათთან გატარებული წლების წარმოსახვა, ძალზე ძნელია. განსაკუთრებით გარდაცვლილი „ყვარლელები", უაღრესად წესიერნი, უბრალოებით შემკულნი, ნიჭითა და ადამიანური თვისებებით დაჯილდოებულნი, საკუთარ საქმეზე შეყვარებულნი, პროვინციელნი, მაგრამ დედაქალაქელ კოლეგებზე არაფრით ნაკლებნი, პირიქით, გახსნილნი, ალალები, ღიმილიანები, თანაგრძნობით სავსენი. ვერ ჩამოვთვლი ეხლა ყველას, რადგან, სამწუხაროდ, ბევრი არიან გაღმა გადასულნი, ჩვენგან დღენიადაგ ტკბილად მოსაგონარნი. ისინი ქმნიდნენ გაზეთ „ყვარელს", ქმნიდნენ რაიონის მატიანეს, საუბრობდნენ საზოგადოებასთან ავ-კარგზე, საზრუნავ-საკეთებელზე, ხალხთან ერთად ფიქრობდნენ, სტკიოდათ, უხაროდათ... გაზეთ „ყვარელს" არასდროს აკლდა რეპუტაცია და პრესტიჟი, სამართლიანად ამაყობდა კიდეც, რომ ყველაზე დიდი ქართველის მშობლიურ მიწაზე ამოყრილი გონებრივი ყლორტი იყო. მის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ საქართველოს კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნირების გამოჩენილ მოღვაწეთა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების წერილები. გაზეთის რედაქციიდან დაფრთიანდა და დაკვალიანდა არაერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რესპუბლიკური პრესისა და რადიო-ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რედაქცია ყოველთვის მაღალი პროფესიული დონისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა გუნდი იყო. ცალკე საუბრის თემაა ტრადიციები, წმინდა ადამიანური ურთიერთობები, დედმამიშვილური გარემო, ხალასი იუმორი, რომელიც სიცოცხლესა და ხალისს ჰგვრიდა საგაზეთო-საგამომცემლო საქმიანობას. დღეს, როდესაც მსოფლიოში და საქართველოში სულ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიო უბერავს, როდესაც ერი და სახელმწიფო თავგამოდებით იღვწის და იბრძვის რეალური თავისუფლების განსამტკიცებლად, ეკონომიკური განვითარებისა ევრო-

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე

# ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მჯერა ყველაფერი კარგად იქნება!

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**— ბატონო ირაკლი, გილოცავთ თქვენი წიგნის გამოსვლას „აისიდან-დაისამდე“, რომელშიც საინტერესოდაა მოთხრობილი თქვენი ცხოვრება დაბადებიდან დღემდე. სწავლა და მუშაობა მოგიხდათ ისეთ ლეგენდებთან, როგორებიც იყვნენ: მამია ხატელიშვილი, ჰამლეტ გონაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი და ა.შ. შექმენით მატიანე ანსამბლ „რუსთავის“. წიგნის გამოცემამდე გამიმხილეთ, რომ მემუარებში ვერ მოხვდა ბევრი ამბავი, რომელიც მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა. ხომ არ გაიხსენებთ ერთ-ერთ მათგანს?**

— ჩემი შემოქმედებითი გზის მანძილზე, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის, თუ საგასტროლო ტურნეებზე განვითარებულ მოვლენებზე თხრობისას მსმენელი ყოველთვის ინტერესს იჩენდა. დღიურები არასდროს მიწერია, მაგრამ ალბათ ასაკმაც იმოქმედა. გადავწყვიტე მემუარებისთვის წიგნად მომეყარა თავი. რამდენად საინტერესოა მკითხველი შეაფასებს.

დღეს 26 მაისია და ამ თარიღთან არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი და ძნელად გასახსენებელი ამბები, რომლებიც ისტორიამ შემოგვინახა. როგორი პატრიოტული ხალხის მხრებზე გადაიარა იმ საშინელმა სიმძიმეებმა და მართლაც რომ, აუარებელი სისხლი დაიღვარა სანამ 2002 წლის 26 მაისამდე მოვიდოდით.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს სანამდე პარლამენტი ხელს მოაწერდა ზვიად გამსახურდიამ სთხოვა თავის გუნდის წევრებს მოენახათ და მოეწვით უკვე საკმაოდ ხანში შესული ქართველი პატრიოტი ცუგრი — სოლომონ თევზაძე. „ცუგრის“ მას სიყვარულით ეძახდნენ მეგობრები. მას სურდა რომ ცუგრის პირველს მოეწერა ხელი დამოუკიდებლობის აქტზე. როგორც იქ დამსწრენი მიყვებოდნენ შემოყვანისთანავე ზვიად გამსახურდია ფეხზე წამოდგა,მივიდა მასთან, მკერდზე აკოცა და სთხოვა რომ, პირველს მოეწერა ხელი.

საქმე იმაში გახლავთ რომ, 1942 წელს როდესაც გერმანელები მიუახლოვდნენ კავკასიას და დიდი საშიშროების წინაშე დადგა საქართველო. თბილისში შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელსაც ერქვა „სეგო“ — საქართველოს განთავისუფლების ორგანიზაცია. ეს იატაკქვეშა ორგანიზაცია დაყოფილი იყო რამდენიმე რგოლად, სადაც თითო რგოლი აერთიანებდა 3-4 პატრიოტს. თითო რგოლს ყავდა თავისი ხელმძღვანელი. ერთ-ერთი რგოლის ხელმძღვანელი გახლდათ ცუგრი თევზაძე. ეს იყო 21 წლის უნიჭიერესი ბიჭი, რომელიც სწავლობდა უნივერსიტეტში და ძალიან დამეგობრებული იყო უნივერსიტეტში გერმანელ პროფესორთან (სახელი, გვარი არ მახსოვს) როგორც შემდგომში აღმოჩნდა ის პიროვნება იყო დიდი ხნის წინ ჩანერგილი გერმანელების აგენტი. ვინაიდან ცუგრი თევზაძე ძალიან სისხლხორცეულად წინააღმდეგი იყო ბოლშევიკური საქართველოსი, მიზეზიც ბევრი ქონდა. 1921 წელში ბევრი მისი შინაური გაწყდა მე-11 არმიასთან შეტაკების დროს. როგორც ეტყობა იდეურად ახლოს იყო ამ გერმანელ პროფესორთან, რომელიც გერმანულ ენას ასწავლიდა და იმდენად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან რომ, მან შესთავაზა თუ გერმანელები შემოვიდოდნენ თბილისში ცუგრი დაინიშნებოდა ქალაქის კომენდატად.

მაგრამ, მოგეხსენებათ როგორ მუშაობდა მაშინდელი უშიშროების კომიტეტი, ეს საქმე გამოაშკარავდა და სხვებთან ერთად მისი რგოლიდან მხოლოდ ცუგრი თევზაძე დაიჭირეს.

ხანგრძლივი წამების შემდეგ მას ვერაფრით ვერ ათქმევინეს ვინ იყო იმ რგოლიდან ის სამი წევრი. იმის გამო რომ, როგორმე რაიმე ეთქმევინებინათ მას საკუთარი დაც კი თვენახევრით შეუგზავნეს კამერაში. მას მაინც სიტყვა ვერ დააცდევინეს და მიუსაჯეს დახვრეტა, მაგრამ, 1944 წელს სტალინმა გააუქმა დახვრეტა. ამის შესახებ მას გვერდითა კამერიდან „მორზეს ანბანით“ კედელზე კაკუნით ვილაცამ შეატყობინა. მას მიუსაჯეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ აღმოსავლეთში. როგორც შემდგომში გაირკვა გვერდითა საკნის პატიმარი აღმოჩნდა ცნობილი დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც ანტი საბჭოთა მოღვაწეობისთვის იხდიდა სასჯელს.

როდესაც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სოლომონ თევზაძემ მას ჟურნალისტები ეკითხებიან. ბატონო სოლომონ გვითხარით როგორ გაუძელით ამ წამებას ისე რომ, სიტყვაც ვერ დაგაცდევინეს, სოლომონ თევზაძემ უპასუხა სიცილით — შვილებო — ჩემი სიჩუმით ჩვენს ქვეყანას სამი უდიდესი აკადემიკოსი გადავურჩინეო. ბატონო სოლომონ ვინ იყვნენ ეს აკადემიკოსები. ესენი იყვნენ თქვენთვის ყველასათვის ცნობილი ექიმი აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი. ასევე დიდი დასტაქარი რინინგოლოგი სიმონ ხეჩინაშვილი და დიდი ქართველი ფილოსოფოსი ნიკო ჭავჭავაძე.

მის დიდ პიროვნებაზე ისიც მეტყველებს, რომ როდესაც ლაგერში ყოფნისას შეატყობინეს დედა გიკვდებაო და შესჩივლა მან ლაგერის კომენდატს, რა დონეზე უნდა ჰყვარებოდა ეს პატიმარი ბიჭი ლაგერის კომენდატს რომ, დათანხმდა დროებით საიდუმლოდ ციხიდან გაშვებას თუ ის თავის დროზე ჩამოვიდოდა. თუ არადა, მას და მის ოჯახს დახვრეტა ემუქრებოდათ. დიდება იმ ვაჟკაც კომენდატს, რომელიც ენდო პატიმარ ბიჭს და დიდება იმ პატიმარ ბიჭს, რომელმაც სიტყვა არ გატეხა, ჩამოვიდა საქართველოში, დედა უკვე დაკრძალული დაუხვდა, გავიდა საფლავზე, დაიტირა, იმავე დღესვე დაჯდა მატარებელზე და დაბრუნდა იქ საიდანაც ჩამოვიდა. ცუგრი სტალინის გარდაცვალების შემდეგ სამუდამოდ დაბრუნდა საქართველოში.

მე არ ვიცი რამდენად სწორია ეს ამბავი, მაგრამ ვინც ეს ამბები მომიყვა მე იმ ხალხს იმდროს სრულიად ვენდობოდი.

**— ბატონო ირაკლი, როგორც ავღნიშნე, ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა წიგნი „აისიდან დაისამდე“. ვინც წაიკითხა ყველამ დადებითი შეფასება მისცა. თქვენ რას იტყოდით ამ წიგნის შესახებ?**

— მთელი ჩემი ცხოვრება ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მომიწია სხვადასხვა ცნობილ ხალხთან შეხვედრა. ბევრი საინტერესო ამბავი მომისმენია. საზღვარგარეთ მინახავს ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები. ამ სიბერეში გადახვეული ტელევიზორივით ვიხსენებ ბევრ რამეს.

ერთხელ ჩემთვის ვთქვი. მოდი ამ ყველაფერს ფურცელზე გადავიტან. თუ მოეწონებათ ხომ კარგი თუ არადა ჩემს შთამომავლობას მაინც დარჩებათ მოსაგონებლად და დავიწყე წერა. რა თქმა უნდა ბევრი პიკანტური ამბები ვერ გავაჟღერე, მაგრამ არც იყო საჭირო. მაგრამ, შეხვედრები იმ დროინდელ მოღვაწეებთან და სხვადასხვა მოგონებები ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა ვინც ამ წიგნს წაიკითხავდა.



განსაკუთრებით მეხსიერებაში აღბეჭდილი მაქვს ჩემი მასწავლებლის და მეგობრის დიდი ქართველი ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილთან და დიდი ქართველი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილთან ურთიერთობა და მეგობრობა.

წიგნის გამოსვლის შემდეგ ჩემი წიგნი ვაჩუქე გამოჩენილ ლიტერატორს პროფესორს ბატონ იოსებ ჭუმბურიძეს და ვთხოვე ყოფილიყო რაც შეიძლება კრიტიკული. აი, ახლახანს „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა იოსებ ჭუმბურიძის პოსტი, უნდა გითხრათ, რომ ცოტა გამაკვირვა კიდეც, რამეთუ ამხელა ლიტერატორის და კრიტიკოსის ყურადღების ღირსი გახდა ჩემი უბრალო ენაზე დაწერილი მემუარები და გამიხარდა კიდეც. ამ პოსტს პირდაპირ ვთავაზობ გაზეთის მკითხველს. მათთვის ასე უფრო საინტერესო იქნება.

ვფიქრობ რომ, ნორმალური შეფასება აქვს ბატონ იოსებ ჭუმბურიძეს, რისთვისაც მე მას ძალიან დიდ მადლობას ვუხდი.

„თქვენეული სიმკაცრით კი ნუ განსჯით, მე უბრალოდ აღვწერე ის, რაც სინამდვილეში იყო“, — მითხრა ბატონმა ირაკლი მათიკაშვილმა და თავისი წიგნი მაჩუქა.

წავიკითხე.

მკაცრად განვსაჯე.

და მომეწონა.

სწორედ უბრალოდ მოთხრობილმა სინამდვილემ მომხიბლა.

***

ამ წიგნს ყველა ვერ დაწერდა.

მეტიც, ეს წიგნი მხოლოდ ირაკლი მათიკაშვილს უნდა დაეწერა.

ანსამბლ „რუსთავის“ პირველი თაობის წარმომადგენელს.

კაცს, ვის აზრსა და რჩევას ჰამლეტ გონაშვილი ითვალისწინებდა.

ამ წიგნში, რა თქმა უნდა, არის ანზორ ერქომაიშვილი — დიდი და საკადრისი პატივით.

ანზორ ერქომაიშვილზე სხვებსაც და უფრო მეტიც დაუწერიათ.

კვლავაც დაწერენ.

ამ წიგნში კი მთავარი მაინც ჰამლეტ გონაშვილია.

და ეს ბუნებრივია:

წიგნს ის კაცი წერს, ვისთანაც დიდი მომღერალი ყველაზე მეტად იყო განდობილი, ვინც მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების მომსწრე და მონაწილეა, ვისაც ლომის წილი მიუძღვის ანზორისა და ჰამლეტის შეხვედრაში.

კი, ეს უთუოდ ზეცაში იყო გარდაწყვეტილი, კი, უფლის ნებით იყო, მაგრამ საქმეც ის არის, ამ ნების აღსრულებას უფალი ვის დააკისრებს.

ასე რომ, ირაკლი მათიკაშვილიც უფლის რჩეულია.

***

ამ წიგნში ჰამლეტის დედასაც შეხვდებით.

იტყვის, „ურმულს“ ჩემი შვილი ვანო სარაჯიშვილზე უკეთ ასრულებდაო და დავინახავთ, როგორ გაუბრაზდება დედის გამაღმერთებელი შვილი — ეს აღარასოდეს გაიმეოროო.

აქ ვნახავთ ჰამლეტ გონაშვილს, ბინას რომ ელოდება და როცა რიგი მოუწევს, ჩინოვნიკები მისთვის განკუთვნილი ბინის გაყიდვას დააპირებენ. ისე გაბრაზდება, რომ სიმღერისთვის სამუდამოდ თავის დანებებას გადაწყვეტს.

და მის მობრუნებაშიც მთავარ როლს ირაკლი მათიკაშვილი შეასრულებს.

***

წიგნები ყოველთვის ჰგვანან ავტორებს.

ეს წიგნიც ჰგავს იმ კაცს, რომელსაც შეუძლია, იმ სუფრას უთამადოს, სადაც პრეზიდენტი ზის და... პრეზიდენტის სადღეგრძელო არ დალიოს.

იმ დროში,ამგვარი რამ, ცხადია, დაუსჯელი არ დარჩებოდა.

ეს ნებისმიერმა თამადამ უნდა იცოდეს.

თუ ასე მოიქცევი, სასჯელსაც უნდა გაუძლო.

ირაკლი მათიკაშვილმაც გაუძლო.

სხვა შემთხვევაში, ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა.

***

„აისიდან — დაისამდე“ — ასე ჰქვია წიგნს.

აქ ტირე ნამდვილად ზედმეტია.

„დაისი“ — მით უფრო.

რა დროს დაისია?!

ირაკლი მათიკაშვილი დიდი გეგმებითაა ატაცებული.

უპირველესი კი ყვარლის თეატრის აღორძინება და მისთვის სახელმწიფო სტატუსის დაბრუნებაა.

მალე ასრულებოდეს.

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ გეკუთვნით ყვარლის სახალხო თეატრის აღდგენის იდეა. თქვენს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს წარსულის ფესვებზე აღმოცენებული კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული, კოტე მარჯანიშვილის ყვარლის სახალხო თეატრის დაარსება დღევანდლამდე მოყვანა. დასის შემოქმედებით მაყურებელმა არა ერთი სპექტაკლი იხილა.

ცნობილმა პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, კულტურის მინისტრის მრჩეველმა იოსებ ჭუმბურიძემ ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის პრემიერის შემდეგ გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ვკითხულობთ: „იმ დღეს ყვარელში, სახალხო თეატრის სპექტაკლი თითქოს სამართლიანად გავაკრიტიკე, მაგრამ „რაღაც“ მაინც დამრჩა დაუნახავი. უპირველესად, ეს დრამატურგიული მასალაა ძალიან სერიოზულ თემაზე. იმაზე, რო, ადრე თუ გვიან, ყოველი ჩვენგანი ღვთის სამსჯავროზე წარვდგებით და ჩვენ-ჩვენი ცოდვები აუცილებლად მოგვეკითხება. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს და ნებისმიერ ნაბიჯს ამის გაცნობიერებით უნდა ვდგამდეთ. სწორედ ასეთი სამსჯავროს წინაშეა სპექტაკლის მთავარი გმირი, რომელსაც ბოროტ არსებებად გარდასახული ანგელოზები „ასამართლებენ“, ანუ სხვადასხვა დროს ჩადენილ ცოდვებს ახსენებენ. ბოლოს ანგელოზები ტირიან და თვითონაც უკვირთ, მსახიობის როლები რომ ოსტატურად მოირგეს. მაგრამ მთავარია, ეს როლები „მართლა მსახიობებმა“ მოირგონ არა პიესაში, არამედ სპექტაკლში“. შემდგომ კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს მერაბ ჩხაიძის როგორც დრამატურგიულ მასალას, ასევე რეჟისორულ ნამუშევარს. პოსტის დასასრულს ვკითხულობთ: „მჯერა, გამოჩნდებიან ახალგაზრდა პროფესიონალი მსახიობები, რომლებიც მიხვდებიან, რომ დიდი სცენისაკენ მიმავალი გზა, ხშირად რეგიონულ თეატრზე გადის. იქ დაგხვდებათ ამ თეატრზე გადაგებული კაცი, ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი მომღერალი, ანზორ ერქომაიშვილის მეგობარი (ესეც სტატუსია) ირაკლი მათიკაშვილი. ბატონი ირაკლი მამობრივ მზრუნველობას არ მოაკლებთ და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ვიხილავთ აფიშას, რომლითაც მაყურებელს პრემიერაზე მიიწვევს ყვარლის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ამას იმსახურებს ილიას მშობელი კუთხე, რომელსაც აკაკიმ „საქართველოს ბეთლემი“ უწოდა და რომელმაც ქართულ თეატრის დიდი რეფორმატორი — კოტე მარჯანიშვილი აჩუქა. რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნება თუ ამ თეატრს, სახელმწიფო სტატუსს რომ დაიმსახურებს, ასევე სასიქადულო ყვარლელის, გამოჩენილი რეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელი მიენიჭება“.

**— თქვენი მიზანიც ხომ ამ შინაარსის აფიშაა? როგორ ხედავთ ამ თეატრის მომავალს, თუ შეიძლება გვითხარით რა გეგმები გაქვთ თეატრთან დაკავშირებით?**

— კარგი აზრია. უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა ბატონ იოსებს, მაღალი რანგის კრიტიკოსს რომელმაც დაგვაფასა, ჩამობრძანდა, ნახა ჩვენი სპექტაკლი რის შემდეგაც, გამოაქვეყნა ეს პოსტი. შევძელით და ჩვენი თეატრით დავაინტერესეთ კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ იოსებ ჭუმბურიძე. მომეცა საშუალება ბატონ სტუმარს პირადად გავსაუბრებოდი და მომესმინა გულწრფელი აზრი, კრიტიკა, რომელიც მე მჭირდება და დამეხმარება შემდგომ მუშაობაში, იმ საქმის კეთებაში რასაც, დიდი მონდომებით შევეჭიდე.

გარდა ამისა, მაქვს დიდი სურვილი, რომ ყვარელში აღსდგეს დიდი ქართველი რეჟისორის და ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის სახალხო დღესასწაული „კოტეობა“. ჩვენ არ გვაქვს უფლება რომ ყვარლელებმა დავივიწყოთ ამ დიდი რეჟისორის აქაურობა. ამ თემაზე მე უკვე ვესაუბრე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გივი ზაუტაშვილს, რომელმაც თანხმობა განაცხადა და გვერდში დგომა. იმედი მექნება რომ მომავალ წელს მთავრობის დონეზე მომზადებულები შევხვდებით ამ დიდ დღესასწაულს.

ასევე სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბატონ იოსებ ჭუმბურიძეს ვთხოვე გაეთვალისწინებინა, რომ ჩემს მიერ მოძიებული და შეკრებილი მსახიობები არაპროფესიონალები არიან და მირჩია, უპირველეს ყოვლისა პათეტიკა მოეშორებინათ, რომელიც ყალბ ემოციებს ბადებს. მეტი თავისუფლება საუბრისას, გმირის ემოციის და სულიერი მდგომარეობის ბუნებრივად გამოხატვა. მეც იგივე აზრის ვარ.

თეატრის არსებული ბიუჯეტი პროფესიონალი მსახიობების მოწვევის საშუალებას არ იძლევა. ყვარლელი და ზოგადად კახელი ხალხი განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. არაპროფესიონალი მსახიობი გახლდათ მანია მათიკაშვილი, რომლის ოთარაანთ ქვრივიც ვერიკო ანჯაფარიძემ აღიარა. კოტე მარჯანიშვილის მასტერ კლასებით იმდენად დაიხვეწნენ, რომ ნიკო ჟამუტაშვილს სახელმწიფო თეატრებიდანაც ჰქონია მიწვევა. 1938 წელს ყვარელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო თეატრის სტატუსი რომელიც, 15



წლის შემდეგ მოუხსნეს, ხოლო 1970-80-იან წლებში თეატრი სულს ღაფავდა, 80 იანი წლებისთვის შეიძლება ითქვას რომ როგორც თეატრალური დასი ის აღარ არსებობდა. (ამის შესახებ დაწვრილებით მაქვს აღწერილი ჩემს წიგნში). ამით იმის თქმა მინდა, რომ ნიჭიერ რეჟისორს შეუძლია ჩვენი დასის მსახიობებისაგან ჩამოაყალიბოს კარგი დასი. იმედს მერაბ ჩხაიძეზე ვამყარებ. დაჩი დავითაშვილი დავითანხმე თეატრალურ უნივერსიტეტში განაგრძოს სწავლა. იმედი მაქვს მის მაგალითს სხვა ახალგაზრდებიც მიბაძავენ.

მინდა სიამაყით ავღნიშნო რომ დღეს ყვარლის რაიონში სხვა სამსახურებთან ერთად კულტურის ყვარლის მერიის კულტურის სამსახური და ა. (ა)იპ კულტურის განვითარების ცენტრი ძალიან პროდუქტიულად მუშაობს. მე ამით ვამაყობ და ვამაყობ იმ თანამშრომლებით, რომლებიც გვერდში მიდგანან, რამეთუ თუ ვისმეს ებრძვიან დღეს ყვარელში არაკეთილმოსურნენი, ძირითადად ეს არის კულტურა, რამეთუ ეს არის ბურჯი ჩვენი სიძლიერის და მენტალობის.

არ შემიძლია არ ავღნიშნო კულტურის განვითარების ცენტრის უფროსის ქალბატონ მაია ზარდიაშვილის თავდაუზოგავი შრომა კულტურის ყველა სფეროში.

პირადად მე, როგორც სამსახურის ხელმძღვანელი მას მადლობას ვუხდი.

ჯერ კიდევ ანსამბლ „რუსთავის“ წევრს, იდეაში მქონდა ყვარლის თეატრის აღორძინება.

ველოდებით ქეთევან დუმბაძისაგან ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გამოგზავნას. რამოდენიმე მოთხრობის ერთ პიესაში გაერთიანებას ვაპირებთ, გვინდა კომედიური ჟანრის სპექტაკლი შევიტანოთ რეპერტუარში.

ვმუშაობთ ქეთევან წამებულის აღდგენაზე. ქეთევან წამებული — გმირი ქალი, ქართველთა დედა, რომლის ცხოვრება, მოღვაწეობა და მისი სარწმუნოება და რწმენისათვის თავდადება სამაგალითოა, მის წმიდა სახელსაც ვავედრებთ დღეს საქართველოს. ჩემთვის ქალის და დედის ეტალონია. როდესაც მისი წმიდა ნაწილი ჩამოაბრძანეს ილიას მუზეუმში მივეახლე და თვალზე ცრემლი მომადგა.

**— პირველმა ჩამოაყალიბეთ ყვარელში ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის სპეციალიზირებული ბავშვთა ფოლკლორული სკოლა და მის ბაზაზე შექმენით ანსამბლი „ხეურო“. თქვენი მემუარების დასკვნით ნაწილში წერთ: „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება იმ საქმეს ვემსახურე, რომელიც მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ერთ-ერთია რაც ქართულიდან მოდის, შესანიშნავად ასახავს წარსულს, ისტორიას, მამა-პაპის ტრადიციებს, ეროვნულ თვითმყოფადობას, კულტურას და ხელოვნებას. ხელი შევუწყვე ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას, სხვების გვერდით წარმოვაჩინე ეროვნული იდენტობა. შემიძლია ვიამაყო, რომ ჩემი აღზრდილები დიდი სიყვარულით აგრძელებენ ჩემს საქმეს“. ამ სიტყვებით თითქმის გაეცით იმ კითხვას პასუხი, რომელიც ახლა უნდა დაგისვათ. და მაინც, როდის და რატომ დაგებადათ საბავშვო ანსამბლის შექმნის იდეა?**

— ხუთიოდე წლის ჩამოყალიბებული იყო ანსამბლი „რუსთავი“, როდესაც ტელე სტუდიაში ერთ-ერთი კონცერტის ჩაწერისას შემომესმა ბავშვთა წკრიალა ხმები, რომლებიც მღეროდნენ ხალხურ სიმღერას, გვერდით სტუდიაში მიხეილ შავიშვილი გურული კრიმანჭულის ბრწყინვალე მთქმელი, რომელიც მღეროდა ჯანო კახიძის ანსამბლ „შვიდკაცაში“, რომლებმაც ჰელსინკის სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე მოიპოვეს ოქროს მედალი, 8-10 ბავშვისგან შემდგარ ანსამბლთან რეპეტიციებს გადიოდა, ისინი მღეროდნენ გურულ სიმღერებს. მეგობრებო, ეს ის დრო იყო როდესაც ჯერ კიდევ „მართვეს“ ხსენებაც არ არსებობდა და არსადაც არ მომესმინა რომ ბავშვებს ემღერათ ქართულ ხალხური სიმღერა.. უზომოდ მომეწონა ბავშვის ხმით აჟღერებული ხალხური სიმღერა და ჩემთვის ვიფიქრე ხომ შეიძლება იმას რასაც დიდები ვმღერით იმღერონ

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

ბავშვებმაც და გადავწყვიტე როცა დავბრუნდებოდი ყვარელში შემექმნა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი. მართლაც 2005 წელს ყვარელში დაბრუნებულმა 14 ბავშვი ძლივს შევკრიბე. ვინაიდან ბავშვების რეპეტიციაზე მოყვანა პრობლემა იყო, რადგან მაშინ ყოვლად არაპოპულარული იყო ხალხური სიმღერა და უსმენდნენ მხოლოდ ევროპულ მდარე სიმღერას ყურში გასაკეთებელი სასმენებით (ერთგვარი მოდა იყო ახალგაზრდებში), ვიფიქრე, ვიფიქრე და იძულებული გავხდი ჩემი ხელფასიდან, რომელიც შეადგენდა 400 ლარს მიმეცა 10-10 ლარი ყოველთვიურად წარმატებულ მოსწავლეებზე და საიდუმლოდ დავარქვი მას მერიიდან გამოყოფილი სტიპენდია. ეს გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ ბავშვებში არ გაჩნდა ხალხური სიმღერის დიდი სიყვარული. სამართლიანად უნდა ავღნიშნო რომ ილია მზექალაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანსამბლმა იგრძნო მეტი ყურადღება და დაინტერესება, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთნაირად ვაძლევდი ბავშვებს სტიპენდიას სანამ ილია მზექალაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. შემდეგ კი მე მას ავუხსენი სიტუაცია და ილიას დახმარებით ნიჭიერ ბავშვებს დაენიშნათ სტიპენდია. სტიპენდიის მიცემა დღესაც გრძელდება ნიჭიერ მოსწავლეებზე. სამართლიანად უნდა ავღნიშნო ილია მზექალაშვილის გვერდში დგომა, იგი ყოველთვის ყურადღებით მისმენდა და მეხმარებოდა თუ რამე მჭირდებოდა კულტურასთან დაკავშირებით. მისი დიდი მადლობელი ვარ. ასევე უნდა ავღნიშნო ბატონ გივი ზაუტაშვილის დიდი ყურადღება კულტურისადმი და ეს უკვე ბევრ საქმეში აისახება, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ასევე, ბავშვებს სიმღერის პარალელურად ვუყვები საქართველოს ისტორიას, ვაცნობ ქართველ მეფეებს. მინდა, გმირების და წმინდანების მაგალითზე ქართული სულისკვეთებით ტრადიციებზე და ღირებულებებზე აღიზარდოს მომავალი თაობა. ძირძველი სიმღერების: ჩაკრულო, შემოძახილები, ლაშქრული, მრავალჟამიერი, ტექნიკის გარდა, შინაარსს და ხასიათს სწავლობენ. მარტივი შესასრულებელი არ არის ქართული ხალხური სიმღერა. ამდენად, ურთულესია ბავშვებთან ლოტბარის მუშაობა. სიმღერის პარალელურად ეცნობიან ხალხური მუსიკის ისტორიას და შესანიშნავ შემსრულებლებს როგორებიც იყვნენ – ჰამლეტ გონაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი და ა.შ. მომავალში შესაძლოა ამ განხრით პროფესია არ აირჩიონ, სამაგიეროდ ჩამოუყალიბდებათ გემოვნება და კარგი მსმენელები იქნებიან.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ კატასტროფული მდგომარეობაა როგორც დემოგრაფიული, ასევე მიგრაციული თვალსაზრისით, ყოველი მესამე სახლი დაკეტილია. დასაწყისში 40 ბავშვამდე შევკრიბე, ამჟამად „ხეურო“ 18 ბავშვისაგან შედგება. რთულია, სოციალური ქსელების და გაჯეტების თაობის კონცენტრირება მოახდინო ხალხურ ფოლკლორზე. ანსამბლიდან ზოგი წავიდა, ზოგმა დაამთავრა სწავლა. დღეს, 6-დან 14 წლამდე გოგო-ბიჭებთან ვმუშაობ.

აქტიურად ვმონაწილეობთ კონცერტებსა და ფესტივალებზე. აღებული გვაქვს გრან-პრი, I და II საპრიზო ადგილები. მრავალჯერ გამოვსულვართ ტელევიზიით თუ რადიოთი. ამ ზაფხულს ქობულეთს ვესტუმრებით„სადაც ტარდება საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი.

ჩემი აღზრდილები ცნობილ ანსამბლებში მღერიან: ზაზა ზურიაშვილი – „ბასიანში“„„ერისიონში“ – მერაბ მაისურაძე, ანსამბლ „რუსთავში“ – ბადრი ჩიხიაშვილი, მე მინდა ერთი-ორი სიტყვით მის შესახებ გითხრათ. ის არის ძალიან ნიჭიერი ბიჭი, ის არის პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანი. აქვს არაჩვეულებრივი საოპერო ხმა და მივლინებულ იქნა იტალიაში სტაჟირებაზე, ახლა კიდევ წასულია კონკურსზე იტალიაში და იმედი მაქვს რომ წარმატებას მიაღწევს. მე ვამაყობ ამით, რომ ჩემი სკოლის აღზრდილები წარმატებული ბავშვები არიან და ასახელებენ თავის კუთხეს და არა მარტო კუთხეს.

**– როგორც გახდა ცნობილი 25 მაისს ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ლევან ბერძენიშვილი გეგმავდა სტუმრობას. ამბობენ რომ თქვენ შეუშალეთ ხელი.**

– ლევან ბერძენიშვილი სულით გაყიდული კაცია. ორპირი და სამშობლოს მოღალატე. ეს ის კაცია, ბევრმა შეიძლება არც იცით, რომელიც ახალგაზრდობაში დისიდენტობას იბრალებდა, შემდეგ უშიშროების კომიტეტმა დაიჭირა, ჩასვეს ციხეში და აიძულეს, რომ თავისი ძმა გაეცა. გასცა და გვერდით მიუჯინეს. და შემდეგ როდესაც გაანთავისუფლეს ის დანიშნეს ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორად. კომიტეტი ტყუილად იქ არავის არ ნიშნავს, იმის შემდეგ ის ეწევა ანტიქართულ მოღვაწეობას, ებრძვის ქართულ ტრადიციებს, ებრძვის ჩვენს წმინდანებს, გალანძღა ილია ჭავჭავაძე, გალანძღა ერეკლე მე-2 და დავით აღმაშენებელი, გალანძღა ძალიან ბევრი ქართველი პატრიოტი, ის ებრძოდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. 25 მაისს მოდიოდა კაცი ყვარელში და იმდენად მკრეხელურად იქცეოდა, რომ ილიას მუზეუმში უნდა ჩაეტარებინა რაღაც ლექცია „დემოკრატიაზე“, მე შემთხვევით გავიგე ამის შესახებ, მაშინვე მივხვდი, რომ ყვარელში 26 მაისისათვის სიტუაციის არევა უნდოდა და ყველაფერი გავაკეთე რომ, ის აქ არ ჩამოსულიყო. დიდი მადლობა ილიას მუზეუმის დირექტორს ქალბატონ შორენას. ეხლა თქვენთვის მომინდვია ანალიზი, ვის დავალებებს ასრულებდა ეს „მჭერმეტყველი“. მსგავსი მოღალატეები ქვეყნის ისტორიაში არა ერთი გვყოლია: შადიმან ბარათაშვილები, ყორღანაშვილები, სოციალ-დემოკრატები – ილიას მკვლელები და სხვა.

ამერიკის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ერთ დროს თქვა, „ამერიკას დაღუპავს, ლიბერალური ფაშიზმი“. ენჯეოების ლიბერალების მიერ დაფინანსებით, რომლებიც მთელ მსოფლიოს უპირებენ ერთ ტაფაში მოხრაკვას და რომლებიც ებრძვიან ყოველ გამოვლინებას ქართული ტრადიციებისას, სულიერებას, ეკლესიას, სარწმუნოებას. ქართველი ლიბერალური ფაშისტები ცდილობენ დღეს საქართველოს დაღუპვას და საქართველოს ომში ჩართვას, განა ამას დიდი მიხვედრა უნდა. მე მეცოდება ის ხალხი ვინც მათ მხარს უჭერს. ლევან ბერძენიშვილის მსგავსები და მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორია გაყიდა და დღეს, ქვეზის გროვას უწოდებს. ჩვენი ისტორიის გადაწერას რომ ცდილობენ, მაგრამ ვერ ეღირსებიან. დარწმუნებული ვარ, 25 მაისს ილია ჭავჭავაძის მუზეუმში სტუმრობით დიდი არეულობა იგეგმებოდა, დროულად აღვკვეთეთ. ყვარელში კი არა, კახეთში ველარ შემოადგამს ფეხს. ილიას და ერეკლე მეფის შეურაცმყოფელს პირადად მე აღვუდგები წინ. ჩემს უკან დგას მთელი ყვარლის ინტელიგენცია და საღად მოაზროვნე ხალხი.

ალენ დალესის დოქტრინას თუ ნახავთ, დღეს ერთიერთშია რაც მსიოფლიო პოლიტიკაში ხდება, თუნდაც საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა, რასაც ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის ნაცსექტა გვიკიჟინებს და არეულობის საქართველოს თავზე შემოხვევასაც ცდილობენ.

ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთ ომს ველარ გადაიტანს. ძალიან მომწონს ჩვენი პრემიერ მინისტრის გამიზნული პოლიტიკა, კახელები თუ ასწავლიან მაგათ ჭკუას (იცინის).

**– რაზე ოცნებობთ?**

– ბავშვობიდან კლასიკური მუსიკა მიყვარდა განსაკუთრებით. მუყაოს რადიოდან ნასწავლ არიებს ვმღეროდი ჩემებურად. გული მწყდება, რომ საოპერო მომღერალი ვერ გავხდი. ვოცნებობ მქონდეს იმდენი ფინანსური შესაძლებლობა, რომ ყვარლის ცენტრში ავაშენო სამუსიკო სასწავლებელი, სადაც მოსწავლეებს შეასწავლიან კლასიკურ ვოკალს. თუ ყვარელმა სასიმღერო ხელოვნებას შესძინა ისეთი მომღერლები, როგორებიც იყვნენ: დედას ლევანა, მერი შილდელი, შალვა ქვაჭრელიშვილი, ოსტატი ლევანი ელოშვილი და ა.შ. ხომ შეიძლება საოპერო თეატრის ვარსკვლავიც გვეჩუქებინა მსოფლიოს საოპერო ხელოვნებისთვის. ამიტომ ძალიან მახარებს ბადრი ჩიხიაშვილი წარმატება. მე ძალიან მწამს თუ ის შრომას არ დაიზარებს, მას შეუძლია გახდეს ევროპული დონის მომღერალი, სრული გულწრფელობით ვამბობ ამას.

და კიდევ, უდიდესი დანაშაული იყო წინა ხელისუფლების მხრიდან მესამე საშუალო სკოლის დანგრევა. მის ბაზაზე შეიძლებოდა პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის გახსნა, სადაც ჩვენი შვილები სხვადასხვა საჭირო პროფესიას დაეუფლებოდნენ. და საერთოდ ვფიქრობ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას, რამეთუ გაუნათლებელ ერს მომავალი არა აქვს. და ასევე ჩქარა დაიფერფლება როგორც ცაში მოწყვეტილი ვარსკვლავი. ჩვენი ერი კულტურული ერია. ამ პატარა ხალხმა შვა რუსთაველი, შვა ილია, ვაჟა-ფშაველა, გალაქტიონი, ფალიაშვილი, მუსხელიშვილი და სხვა დიდი კორიფეები, რომლებმაც თავისი სიბრძნით წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციაში. ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება!

ესაუბრა
**მაია დიასამიძე**



# ჯეჯილის გასაოცარი თვისებები

ჯეჯილი ხორბლის აღმონაცენია თავთავის დასხმამდე, შესახედავად ის უბრალო ბალახს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში, ერთ-ერთი უძლიერესი დეტოქსიკატორია. მისი სასარგებლო თვისებების გამო (დაწყებული მადის დაქვეითებით, დამთავრებული კიბოს პრევენციით) ჯეჯილის წვენმა აუცილებლად უნდა დაიმკვიდროს ადგილი თქვენს დიეტებში.

## ჯეჯილის წვენი

ჯეჯილის შემადგენლობაში 90-მდე მინერალია, მათ შორის კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი და ნატრიუმი. აგრეთვე, აუცილებელი ფერმენტები და 19 სახის ამინომჟავა. ქვემოთ გთავაზობთ მეთოდებს, რითაც შეგიძლიათ თქვენს ჯანმრთელობას ახალი შესძლებლობები შემატოთ ჯეჯილის მეშვეობით. სახლის პირობებში ხორბლის დასათესად ნუ გამოიყენებთ ბამბას, ვინაიდან მცენარე მიწიდან შეთვისებული მინერალებით მდიდრდება. სტატიის ბოლოს, ვიდეოში შეგიძლიათ ნახოთ, დასალევი სითხის მომზადების წესი.

**1. საკვების მოთხოვნილების დაქვეითება**

ჯეჯილი ისეა დატვირთული საკვები ნივთიერებებით, რომ უზმოზე მისი წვენის მიღება ჭამის მოთხოვნილებას გიკარგავთ და ზედმეტი საჭმლის მიღებისგან დაგიცავთ.

**2. სისხლის მიმოქცევის სტიმულირება**

ჯეჯილის სითხე სისხლში ჟანგბადის შემცველობას მოგიმატებთ, რაც თავის მხრივ, მიმოქცევას ასტიმულირებს. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ, ეს წვენი ბამბით სახესა და ყელზე წაისვათ სისხლძარღვების გასაფართოებლად. ცოტა ხანში მოიბანეთ სახე და ყელი და გაიმშრალეთ მშრალი პირსახოცით.

**3. საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება**

ჯეჯილში შემავალი ამინომჟავების და ფერმენტების კომპლექსი, მომეტებული მჟავიანობიდან დაწყებული, წყლულით დამთავრებული, სასიკეთოდ მოქმედებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობაზე.

**4. ართრიტის მკურნალობა**

ართრიტის სამკურნალოდ ქლოროფილი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც ჯეჯილი დიდი რაოდენობით შეიცავს

**5. დაღლილობის მოხსნა**

როცა იღლებით, იმუნური სისტემა ქვეითდება, ორგანიზმი მოსვენებას კარგავს. ქლოროფილი ხელს უწყობს უჯრედებში ჟანგბადის მოჭარბებას და მათ რეგენერაციას, რაც საგრძნობლად ამცირებს დაღლილობის სიმპტომებს.

**6. პირიდან და სხეულიდან უსიამოვნო სუნის მოშორება**

ჯეჯილის წვენი ბუნებრივი დეზოდორანტია. მისი ხშირი მოხმარების დროს პირის ღრუ და კანი სუფთავდება ტოქსინებისგან, რომლებიც უსიამოვნო სუნს იწვევენ.

**7. კანის ჭრილობის მოშუშება**

ჯეჯილი ხელს უწყობს დაზიანებული უჯრედების აღდგენას. დაასველეთ ბამბა წვენში და დაიდეთ ჭრილობაზე რამდენიმე წუთით, შემდეგ ფრთხილად შეიმშრალეთ სუფთა, მშრალი ნაჭრით.

**8. კარიესის მკურნალობა და პროფილაქტიკა**

პირში ჯეჯილის წვენის გამოვლებით თქვენ ხელს უწყობთ, მავნე ტოქსინებისგან პირის გამორეცხვას და კბილების ხელახალ მინერალიზაციას.

**9. ღვიძლის გაწმენდა**

ღვიძლის ტოქსინებისგან გასაწმენდად ჯეჯილი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. , ღვიძლი ამუშავებს იმას, რასაც სხეული შთანთავს, თუ მიაწოდებთ მას ჯეჯილის წვენს, მასში შემავალი მინერალები და ფერმენტები, დაეხმარებიან ღვიძლს ფუნქციონირებაში და გამოაცოცხლებენ მას.

**10. მზის დამწვრობის მკურნალობა**

ჯეჯილის წვენი ისევე,როგორც ჭრილობაზე, მზის დამწვრობაზეც კარგად მოქმედებს. ბამბით წაისვით სითხე მზისგან დაზიანებულ კანზე, რამდნიმე წუთის შემდეგ ფრთხილად მოიშორეთ მშრალი ნაჭრით.

**11. სისხლში შაქრის შემცველობის სტაბილიზირება**

ჯეჯილი სისხლში გლუკოზის დონეს მაღლა სწევს, ეს კი ნიშნაცს იმას, რომ მისი საშუალებით თვენ შეგიძლიათ, აკონტროლოთ შაქრის დონე.

**12. ხელს უშლის კიბოს წარმოქმნას**

ჯეჯილის ანტიტოქსიკური თვისებების გამო, სისხლი ყოველთვის გაწმენდილი, სუფთა და ჟანგბადით მდიდარია, ამიტომ მასში აღარ არის კიბოს უჯრედებისთვის ხელსაყრელი გარემო.

ამერიკაში მცხოვრები ბულგარელი პროფესორი, ექიმი და გენეტიკოსი, ქრისტო მერმერსკი, რომელიც 63 ქვეყნის 200-ზე მეტ უნივერსიტეტში ასწავლიდა, წლების მანძილზე იკვლევდა მარცვლოვნებს, მათ შორის ხორბალს. მისმა სამეცნიერო კვლევებმა სრულიად მოულოდნელი შედეგი მოგვცა – მათი წყალობით გამოვლინდა ჯანმრთელობის რეცეპტი, რომელიც უიმედო ავადმყოფებსაც კი ეხმარება.

რეცეპტის მთავარი ინგრედიენტი ახლად ამოსული ჯეჯილია.

ჯეჯილის საოცარ თვისებებზე ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო ცნობილი. სხვადასხვა კულტურებში მას იყენებდნენ უამრავი დაავადებისთვის. მერმერსკი ამტკიცებს, რომ ეს პროდუქტი ასუფთავებს არტერიებსა და სისხლძარღვებს, იცავს გულს დაავადებებისგან, აქრობს ქვებს თირკმლებში, აძლიერებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და კიბოს პროფილაქტიკასაც კი ახდენს.

ჯეჯილის საოცარ თვისებებზე წერს ასევე მკვლევარი ენი ვაგმორი: „ექსპერიმენტულმა მუშაობამ, რომელიც 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, მთლიანად დაამტკიცა ჯეჯილის – ამ სიცოცხლის ამ ბუნებრივი ელექსირის მასტიმულირებელი მოქმედების ეფექტურობა ადამიანის ორგანიზმის განვითარების კოორდინაციაზე ნებისმიერ ასაკში, ნივთიერებათა ცვლის ორგანიზაციასა და ნერვულ სისტემაზე“.

## ჯანმრთელობის რეცეპტი

400 გ. ხორბლის მარცვალი მოათავსეთ მინის ჭურჭელში. იმისათვის, რომ მარცვალმა აღმოცენება დაიწყოს, დაასხით წყალი ისე, რომ სითხის დონე ხორბალზე 3 სმ-ით მაღლა იყოს. დატოვეთ ხორბალი 12 საათით. შემდეგ გადაიტანეთ მარცვალი ცხაურაზე, გარეცხეთ, გაამშრალეთ და დატოვეთ. ამოსვლას დაიწყებს უკვე 24 საათში.

პროფესორი ამბობს, რომ ეს საუკეთესო რეცეპტია, ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, რომელიც დაგეხმარებათ მთელი ორგანიზმის მუშაობის გაუმჯობესებაში და შეგმატებთ ძალასა და ენერგიას.

**ინგრედიენტები:**

15 ლიმონი
12 კბილი ნიორი
1 კგ. ნატურალური თაფლი
400 გრ. აღმოცენებული ხორბალი
400 გ. ნიგოზი

**მომზადება:**

დააქუცმაცეთ აღმოცენებული ხორბალი, ნიგოზი, ნიორი და 5 ლიმონი (კანიანად).

ყველაფერი ერთად ჯამში აურიეთ. დარჩენილი 10 ლიმონიდან წვენი გამოწურეთ და დაამატეთ სხვა ინგრედიენტებს. კარგად აურიეთ. დაამატეთ თაფლი. ისევ კარგად აურიეთ და გადაიტანეთ ქილებში. მიღებული მასა შედეთ მაცივარში 3 დღით.

კიბოსა და სხვა დაავადებების პროფილაქტიკისათვის აღნიშნული ნაზავის რეგულარულად მიღებაა საჭირო – დღეში 3-ჯერ 2 სუფრის კოვზი, სასურველია ჭამამდე 30 წუთით ადრე.

# ღია წერილი გაზეთ „ყვარელი“-ს რედაქტორს – ბატონ ალექსანდრე გიგილოშვილს!

ღრმად პატივცემულო რედაქტორო, ბატონო ალექსანდრე! დამეთანხმებით, რომ ყველაფერს ვირტუალურ სივრცეში, ცოცხალს და არაცოცხალს, რაც გაჩენილა, შექმნილა, აქვს საკუთარი ისტორია – წარსული და მომავალი, რომელიც ყოველთვის გადაჯაჭვულია თანადროულ ეპოქასთან.

ასეა ჩვენი გაზეთი ყვარელი. მას უკვე 90 წლის ისტორია აქვს. ამ დროის განმავლობაში მას თითოეულ მკითხველთან მიჰქონდა ჩვენი რაიონისა და ქვეყნის გულის ტკივილი და სიხარული, მწარე სიმართლე და ტკბილი ოცნება.

პირველი გაზეთი 1932 წელს გამოვიდა, ჩემს დაბადებამდე 14 წლით ადრე. მიუხედავად ამისა როცა მაშინდელ ერთ ფურცლიან გაზეთს ვკითხულობ მესმის იმ დროის ექო, მაშინდელი ცხოვრების რიტმი, ადამიანთა გულის ძგერა და განწყობა. ვხედავ იმ კოლოსალურ შრომას რომელიც თითოეული გაზეთის გამოშვებას სჭირდებოდა, წარმოვიდგენ იმ ავტორების ენთუზიაზმს, უსახსრობას, უხელფასობას, უშუქობას, უბინაობას და მთელ სიდუხჭირეს, სადღაც პატარა ოთახში შეყუჟულ ადამიანთა დაღლილ თვალებს. ისინი ჯერ თვითონ განიცდიან ქვეყნისა და თავისი კარგსა თუ ცუდ ამბებს, შემდეგ კი გულწრფელად წერენ გაზეთისათვის და ჩვენც განგვაცდევინებენ ავს და კარგს.

რა აღარ გადაგვხდა: 1937 წელი, სამამულო ომი, 9 მარტი, 9 აპრილი, ძმათამკვლელი ომი, აფხაზეთის ჩამოგლეჯა, სამაჩაბლოს მიტაცება, 2008 წლის ომი რუსეთთან, მცოცავი ოკუპაცია, პანდემია და მაინც ვართ. ეს ყველაფერი ჯერ ჟურნალისტებს უთანაღრებს გულს და შემდეგ ისინი ხალხს აწვდიან უტყუარ ცნობებს.

90 წელია გაზეთი „ყვარელი“ ცხოვრობს თავისი ქალაქის ცხოვრებით და სუნთქავს.

უჭირს ქალაქს? უჭირს გაზეთსაც, პანდემია? გაზეთისთვისაც პანდემიაა, ომია? – გაზეთისთვისაც ომია. ხან ულხინს, ხან სულს ლაფავს, მაგრამ ყველა მოქალაქემ იცის, რომ ის არსებობს. მას ელოდებიან ყველა დაწესებულებაში, ყიდულობენ ჯიხურებში, რედაქციაში მიდიან და ითხოვენ, თქვენ წარმოიდგინეთ აგროვებენ კიდეც ნომრებს.

ათ წელიწადში ჩვენი გაზეთი საუკუნის ტოლი გახდება. მან გაუძლო ყველანაირ ქარტეხილს, შინაურ და გარეშე შფოთს. ის არსებობს, სუნთქავს.

ბატონო რედაქტორო! პირველი რედაქტორიდან დაწყებული თქვენი ჩათვლით და შემდეგ, ვინც იქნებიან ისინიც სიცოცხლეშივე ისტორიული პიროვნებები ბრძანდებით და შუბლს იმშვენებთ უკვდავების გვირგვინით. დიდი მამულიშვილობა იქნება, თუ ჩვენო გაზეთი „ყვარელი“ ტომებად გამოიცემა. ის ტომები შემდგომ ყველასთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, იქ ხომ საკუთარ პაპებზე, მამებზე, დედებზე, დებზე, მდინარეებზე, სოფლებზე იქნება ყველაფერი დაწერილი. ყველა ოჯახისთვის საგანძურის ტოლფასი გახდება.

გთხოვთ, ჩაუდგეთ ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში და წარმატებით დააგვირგვინოთ.

**დიდი პატივისცემით ყვარლის**
**N1 საჯარო სკოლის**
**უფროსი მასწავლებელი**
**ნინო იშხანიძე-კანანაძე**
**2022 წელი, 15 ივნისი**

# დაე, კვლავ ისმოდეს „ყვარელი“-ს იმედიანი სიტყვა ალაზნის ველზეც და სრულიად საქართველოს არემარეზეც!

დასაწყისი მე-5 გვ.-ზე

პული ინტეგრაციისათვის და დაძაბული პოლიტიკური რუტინის ფასად იცავს მშვიდობას, მასმედიას ობიექტურსა და სამართლიანს, მათ შორის ადგილობრივს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის თვალსაწიერზე. მეამაყება და მიხარია, რომ „ყვარელი" დღესაც ქართული ჟურნალისტიკის, ქართული ბეჭდვითი მედიის განუყოფელი ნაწილი და მფეთქავი ძარღვია. და აქვე, უნდა შევეხო ერთ არცთუ მეორეხარისხოვან გარემოებას. საქართველოში დემოკრატიის სახელით დღეს გაჩაღებულ მედიავაკხანალიაში, რომლის შემოქმედნიც დესტრუქციულ ძალებსა და ავისმოსურნეებზე მიყიდულ-მიკერძოებული ცალკეული მედიასაშუალებები არიან, მათი შემხედვარე ძნელია, გავრცელებული დეზინფორმაციისა და „ფეიკების" საფასურად, მატერიალური სარგებლის მიღების ცთუნებაზე უარის თქმა. ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრმა სძლია ამგვარ ცთუნებას, საქართველოში დარჩა ღირსეული, მოუსყიდავი მედიასეგმენტი, ილიას პუბლიცისტიკით ნასაზრდოები ჭეშმარიტი ჟურნალისტიკა, რომლის წიაღშიცაა გაზეთი „ყვარელი", თავისი მოკრძალებული შემოქმედებითი წვლილით. „ყვარელმა" ბოლო ჟამთა სიავეს ვაჟკაცურად გაუძლო, ამიტომაც ბარაქალა თქვენ, ჩემო თანამოკალმე სახლიკაცებო, ასე მოთმინებით, მამულიშვილური ერთგულებით რომ მოიყვანეთ გაზეთი 90 წლის გადასახედთან. გილოცავთ ამ სახელიან თარიღს, გისურვებთ წარმატებებსა და კეთილდღეობას, დაე, კვლავ ისმოდეს „ყვარელი“-ს იმედიანი სიტყვა ალაზნის ველზეც და სრულიად საქართველოს არე-მარეზეც!

**ოთარ გურასპიშვილი,**
**გაზეთ „ყვარლის" პასუხისმგებელი მდივანი 1987-1991 წლებში**

# როცა შენი საქმე გიყვარს, საწადელს აუცილებლად მიაღწევ

*მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი დედამ ოთხი წლის ასაკში შეამჩნია და თავისი ცხოვრებაც ამ გზით გააგრძელა. სწავლობდა თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა და პარალელურად მიანიჭეს კონცერტმეისტერის პროფესია. სასწავლებლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის სამუსიკო სკოლაში პედაგოგად. ჰყავს მეუღლე გია ჭიჭიბოშვილი, სამი შვილი და ორი შვილიშვილი. 7-8 საათი ფორტეპიანოსთან მეცადინეობას მოახმარო, არც თუ ისე მარტივია, მაგრამ როცა შენი საქმე გიყვარს და მოგწონს, საწადელს აუცილებლად მიაღწევ. ᲗᲐᲛᲐᲠ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐᲪ მიაღწია თავის საწადელს და დღეს რომ საუკეთესო მუსიკის პედაგოგია, მისი შრომის შედეგია. გადავწყვიტეთ თავად მოეთხრო ქალბატონ თამარს ჩვენი გაზეთისთვის თავისი მუსიკალური საქმიანობის შესახებ და რამოდენიმე კითხვით გავესაუბრეთ მას.*

**— რომელი მუსიკალური სკოლა დაამთავრეთ?**

— დავამთავრე ყვარლის სამუსიკო სკოლის შვიდწლედი.

**— ბავშვობისდროინდელი ამბავი, რომელიც დღევანდლამდე შემოგრჩათ.**

— ყვარლის სამუსიკო სკოლაში მისაღები გამოცდები ტარდებოდა, რომელშიც მე ვიღებდი მონაწილეობას. ვუკრავდი ჩემი ასაკისთვის რთულ პროგრამას. დაკვრის დროს მესმოდა ჟიურის წევრის საუბარი, რომ ამ ბავშვს მე ავიყვან, ეს რა ბავშვი ვიპოვე და აქ დავამთავრებინებ ყვარელში შვიდწლედსო. ჟიურის წევრი იმ დროს იყო სამუსიკო სკოლის დირექტორი, ქალბატონი იზა ავაზაშვილი. გამოცდის დამთავრების შემდეგ დერეფანში დამხვდნენ მასწავლებლები, რომლებიც გარედან ისმენდნენ ჩემს დაკრულს, ხელში ამიტაცეს, მკოცნეს, გულში ჩამიკრეს, კითხულობდნენ ეს ბავშვი ვისია და საიდან არისო. ყოველთვის სიხარულით ვიხსენებ ამ დღეს და არასდროს დამავიწყდება.

**— თქვენი პირველი მუსიკის პედაგოგი, რომელმაც გზა გაგიკაფათ ამ პროფესიისაკენ.**

— ჯერ იყო გულიზა ტორაძე, შემდეგ თამრიკო ბეროშვილი.

**— რა განცდა გქონდათ, როდესაც პირველად დადექით სცენაზე და ფორტეპიანოზე შეასრულეთ მუსიკალური ნაწარმოები?**

— ბავშვობიდან ვიყავი მორცხვი (მორიდებული), ემოციური და მოკრძალებული. ამიტომ განცდა ყოველთვის ქმონდა, მაგრამ უდიდეს სიხარულს და სიამოვნებას განვიცდიდი როცა ვუკრავდი და ვასრულებდი ნაწარმოებებს.

**— ამ ცოტა ხნის წინ ყვარლის მუსიკის სკოლაში ჩატარებულ კონცერტზე პედაგოგ გულიზა ტორაძესთან ერთად შეასრულეთ კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოები „საცეკვაო მოედანზე", რომელმაც სხვა შემსრულებლებთან ერთად მოწონება დაიმსახურა. მუსიკალურ ფესტივალებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა და გქონიათ წარმატება?**

— როგორც ყველას, მეც მეტის მიღწევა მინდოდა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ გავაგრძელე სწავლა კონსერვატორიაში, ამიტომ არ ვთვლი თავს წარმატებულად.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომლებიც ყოველთვის სიამოვნებას განიჭებთ.**

— ჩემთვის ყველა კომპოზიტორის ნაწარმოები სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ მაინც შოპენს გამოვყოფდი, რომლის დაკვრა და შესრულება ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**— მუსიკის სკოლაში შესვლამდე თუ უკრავდით ფორტეპიანოზე.**

— ოთხი წლის ასაკიდან ვუკრავდი საბავშვო სიმღერებს, რომელსაც მე თვითონ ვაწყობდი ერთი ხელით, რამაც შემდგომ მუსიკალურ სკოლაში შესვლის დროს გამიადვილა ნოტების შესწავლა.

**— როგორც მსმენია, პოეტი, ბატონი ილო ბეროშვილი თქვენი ბებიის ძმა იყო. რამე გენეტიკური ხომ არ არის თქვენში პოეზიის მხრივ? და როგორც ჩვენი დიდი მამულიშვილი იტყოდა, — „მუსიკა ჰგავს პოეზიას, პოეზია მუსიკას", — მუსიკასთან ერთად პოეზიაც ხომ არ გიტაცებთ?**

— პოეზია მიყვარს, მგრამ წერით არ ვწერ. შემიქმნია ლექსზე მელოდია. პოეზია და მუსიკა რათქმა უნდა, განუყოფელია. ანუ სიმღერა მუსიკითა და ლექსით იქმნება.

**— როგორც მუსიკის პედაგოგი, თქვენი სკოლის მოსწავლეთა წარმატებებზე რას გვეტყოდით?**

— ჩემი მოსწავლეებიდან გამოვარჩევდი თამარ ჭელიძეს, ნინო ხელაშვილს, მახარე აჭაიძეს, ეკო ვარდიაშვილს და სხვებს, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს მუსიკალური სკოლა, რამდენიმემ კი სასწავლებელიც.

დღეისათვის ახალსოფლის სამუსიკო სკოლაში ასამდე მოსწავლე ირიცხება.

**— წელს გაზეთ „ყვრლის" 90 წლის იუბილეა, როგორია თქვენი თვალით დანახული რაიონული გაზეთი?**

— რაიონული გაზეთის კითხვა ყოველთვის მიხაროდა მით უფრო, რომ ჩემი ბიძები ნუგზარ ღონიაშვილი და აწ გარდაცვლილი ბაკურ ბეროშვილი წლების განმავლობაში მუშაობდნენ და ბიძა ნუგზარი დღესაც აგრძელებს მუშაობას ყვარლის გაზეთში, რისი საშუალებითაც ვეცნობოდი მიმდინარე პროცესებს და ყვარლის საზოგადოებას. გაზეთი ყოველთვის სასიამოვნო მასალებითაა დახუნძლული და წაკითხვაც სასიამოვნოა. ვულოცავ გაზეთის მთელ კოლექტივს ამ შესანიშნავ იუბილეს და ვუსურვებ წინსვლას და წარმატებებს სარედაქციო საქმიანობაში.



**— ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ, თქვენი შვილებიც ხომ არ არიან დაჯილდოებულნი მუსიკალური ნიჭით? რას საქმიანობენ ისინი?**

— რაც შეეხება შვილებს — მყავს სამი შვილი. უფროსმა ქალიშვილმა დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მეორე ქალიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა. ამჟამად მუშაობს საბანკო სისტემაში, ხოლო ვაჟიშვილი კომერციულ საქმიანობას ეწევა ამჟამად.

**— მუსიკის გარდა სხვა რა საქმიანობით ხართ დაკავებული?**

— ამ ეკონომიკური გაჭირვების ფონზე გულხელდაკრეფილი ვერ ვიჯდებით და მივდევთ სოფლის მეურნეობას, მევენახეობას, რაც მუსიკისგან განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაცაა.

**— გწყალობთ უფალი?**

— კი, მწყალობს. მადლობა და დიდება უფალს.

**— მომავალი, რომელიც სიხარულს მოგიტანთ და რას უსურვებდით დამწყებ პედაგოგებს?**

— ცუდზე არასდროს არ ვფიქრობ და ყოველთვის სიხარულის მოლოდინში ვარ. ჩემს კოლეგებს ვუსურვებდი წარმატებას მიაღწიონ აუცილებლად თავის პროფესიაში და უამრავი ნიჭიერი და წარმატებული მუსიკოსი აღეზარდოთ საქართველოსთვის.

ყოფილიყოს მშვიდობა და გაერთიანებულ საქართველოში გვეცხოვროს ყველა ადამიანს.

**ესაუბრა**
**ᲓᲐᲚᲘ ᲢᲐᲢᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# ყვარლის ციხე-გალავანი



*გაზეთ „ყვარელი"-ს 2020 წლის 9 აგვისტოს ნომერში (№10) დაიბეჭდა ოთარ დავითაშვილის წერილი ისტორიულ თემაზე – „ყვარლის ციხე-გალავანი".*

*ქ. ყვარლის ისტორიული წარსულით დაინტერესებული საზოგადოების გარკვეული ნაწილის თხოვნით განმეორებით ვბეჭდავთ აღნიშნულ წერილს.*

„აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს".

**ილია**

ძველ თუ ახალ სამყაროში, დიდ და პატარა ქვეყნებს შორის ძირითადად ის განსხვავებაა, რომ პირველი სულ თავდასხმასა და მიტაცებაზე ფიქრობს, ხოლო მეორე თავდაცვასა და გადარჩენაზე.

მრავალტანჯული საქართველო, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და მიეკუთვნება ახლაც, მტრულად განწყობილი მეზობლები კი ყოველთვის მრავალნი და აგრესიულნი იყვნენ. ამ უთანასწორო ბრძოლის საბოლოო შედეგი კი ქვეყნის ნგრევა და გაპარტახებაა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო–სამთავროებად დაშლის შემდეგ, ვინ იცის, რამდენი სოფელი, ქალაქი და მხარე გაუკაცრიელებულა. ნასოფლარ–ნაქალაქარები მრავლდებოდა, მატულობდა სისხლი და ცრემლი.

არც ერთ დიდ მტაცებელ სახელმწიფოს მაშინ აზრად არ მოსვლია ეფიქრა იმის შესახებ, რომ საქართველო დამოუკიდებელი არსებობისთვის იბრძოდა. მათი წარმოდგენით ჩვენი ქვეყანა მეომარი მხარეებიდან რომელიმე ერთის კერძი უნდა გამხდარიყო. საერთოდ, ძლიერ სახელმწიფოთა მგლური მორალი პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას გამორიცხავს.

ღვთის წყალობით არსებული ქართული მებრძოლი სულის პარალელურად გვიანფეოდალურ საქართველოში წარმოიშვა თავდაცვის განსხვავებული და განსაკუთრებული სისტემა. ჩნდება ციხე-გალავანი, ახალი ტიპის სიმაგრე, რომელიც ახლა უკვე მთის წვერზე და ძნელად მისადგომ ადგილებზე კი არ შენდება, არამედ შიგ სოფელში ან მის მიმდებარედ.

ასეთი ციხის უპირატესობა ის იყო, რომ მტრის გამოჩენისთანავე მთელი მოსახლეობა იხიზნებოდა აქ თავისი მოძრავი ქონებით. ამიტომაც მას აუცილებლად დიდი ტევადობის ეზო და ტრანსპორტისათვის გამოსადეგი ჭიშკარი უნდა ჰქონოდა.

ასეთ ციხე–გალავნებში, ჩვეულებრივი ციხისგან განსხვავებით, გარნიზონი არ იდგა. საჭიროების შემთხვევაში მის გარნიზონს თვით შეხიზნულები ქმნიდნენ.

კახეთის ტერიტორიაზე ციხე-გალავნები უხვადაა. ყვარლის ციხე-გალავანი კახეთში აგებულ სიმაგრეთაგან ერთ-ერთი დიდი ციხეა. მისი აშენების თარიღი უცნობია, მაგრამ იგი ტიპიურია XVIII საუკუნის შუახანებისათვის. გეგმით თითქმის კვადრატულია, ვაკეზე დგას და ყოველ მხარეს ერთნაირი მისადგომი აქვს. ციხის ოთხივე მხარე მხოლოდ დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ციხე გარედან მონუმენტური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაღალი კედლები და კოშკები ნაგებია რიყის ქვით, „თევზისფხური" წყობით. აგური მცირე რაოდენობითაა გამოყენებული, ისიც მხოლოდ კოშკების ექსტერიერებში. როგორც სხვა ციხეები, ესეც უმნიშვნელოდაა მორთული. შესასვლელები აქცენტირებულია აგურის წყობით გამოყვანილი რომბებითა და ჯვრებით.

ციხის კუთხეებში ცილინდრული კოშკები დგას. მათ შუა, გარდა სამხრეთისა, კიდევ კოშკებია ჩადგმული. შუა კოშკებიდან ჩრდილოეთისა და დასავლეთის – ნახევარწრიული ფორმისაა, აღმოსავლეთისა – სწორკუთხა. ციხის მთავარი ჭიშკარი აღმოსავლეთის სწორკუთხა კოშკის ქვედა სართულში ყოფილა მოთავსებული. ჭიშკრის თაღოვანი შესასვლელი დაბალი და განიერია. სართული გადახურულია ისრული კამარით. მეორე და მესამე სართულების კედლებში სხვა ელემენტებთან ერთად სათოფეებიც ყოფილა განლაგებული.

კუთხის კოშკები თითქმის ერთი ტიპისაა. თითოეულ სართულს შესასვლელი ცალ-ცალკე ჰქონია ეზოდან. პირველ და მეორე სართულებს შორის გადახურვა ხის ყოფილა. მესამე სართული კი, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ კოშკებისა, სფერული გუმბათით არის გადახურული. კედლებზე ერთ ჰორიზონტზე განლაგებული თითო და ორმაგი სათოფეებია. კოშკები ბანით მთავრდება.

ციხის შუა კოშკების პირველი სართული სფერული გუმბათითაა გადახურული. კედლებში კი ღრმა ნიშებია სათოფეებით. პირველი სართულიდან კედლის კიბეები მიემართება გალავნის შიგნით არსებულ საბრძოლო ბილიკებზე და ბილიკებიდან მეორე კარით მეორე სართულზე.

ციხის მაღალ გალავანში ირგვლივ ცალმაგი და შეწყვილებული სათოფეებია ჩარიგებული. ციხის კედლების მთელ პერიმეტრზე, უკოშკებოდ, თავისუფლად შეეძლო ერთდროულად ემოქმედა ათასამდე მეთოფეს. ამას თუ დავუმატებთ შვიდი კოშკის სათოფეებს, მივიღებთ სათოფეთა ისეთ რაოდენობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ციხის ძლიერი გარნიზონი.

ამჟამად, ქალაქი ყვარელი ისე მჭიდროდაა შემორკალული ციხე–გალავანს, რომ ციხის ხუროთმოძღვართა ჩანაფიქრის მთლიანი აღქმა შეუძლებელია. მოსპობილია ციხის მეორე გალავანი და მის ირგვლივ გამავალი წყლის არხი.

ციხის მეორე გალავანი ოციოდე მეტრით ყოფილა დაშორებული პირველს. ამ გალავნის ფრაგმენტები ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი ციხის დასავლეთით. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე დამატებით გალავანსაც პირველის მსგავსი სათოფეები ექნებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხეს ირგვლივ გარშემორტყმული ჰქონია წყლის არხი, რომელიც საქართველოს ციხეებისათვის არაა დამახასიათებელი და გამონაკლისს წარმოადგენს. საქართველოში ციხეები ვაკეზე იშვიათად შენდებოდა და თუ ააშენებდნენ, ისეთ ადგილს შეარჩევდნენ, სადაც წყლით მომარაგება რთული არ იყო. ასეთ შემთხვევაში თხრილის ამოღება და შიგ წყლის გაშვება უდავოდ კარგი გადაწყვეტა იქნებოდა.

ციხის მეორე გალავნისა და წყლის არხის თავდაპირველი ზომების დადგენა ამჟამად შეუძლებელია. ამის გარკვევა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შედეგადაა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, ყვარლის ციხე–გალავნის შესახებ ბევრი რამ არ ვიცით, მაგრამ არსებობს რამდენიმე საყურადღებო ცნობა, რომელიც კარგად განსაზღვრავს მის დანიშნულებასა და გამძლეობას.

ყვარლის ციხეზე საინტერესო მასალებს ვხვდებით იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელ ნაშრომში – „კალმასობა". ავტორი მოგვითხრობს: „იოანე წავიდა ციხისკენ და თან გაჰყვა ალავერდის სალთხუცესი. რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა გალავანი შემორტყმული და გალავანს გარე არხი. იოანეს დია მოეწონა ეს სიმაგრე და ჰკითხა სალთხუცესს: ეს სიმაგრე ვინ გაგიკეთათო? მან უთხრა: იოანე ბატონიშვილმან, რომ მეფე ირაკლიმ აქ უბრძანა ყოფნაო, ოდეს ომარხან მოვიდოდა ოცდახუთი ათასის კაცით ამ ყვარელზედ, მაშინ ეს სიმაგრე გაგვიკეთა ბატონიშვილმან, შიგნით გალავანში დედაკაცნი და ყმაწვილნი დააყენა და ბურჯებში თოფაჩნი და მეთოფენი და თვითონ ჯარით და ჩვენ აქ ვიდექით. და ესრედ მაგრად ვიყავით, რომ მოვიდნენ მტრის ჯარნი, ბურსას ვერლა გასცილდნენ"...

მეტად საყურადღებო და სანდო ინფორმაციას გვაწვდის ყვარლის ციხე–გალავანზე XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე პაპუნა ორბელიანი. მას ეკუთვნის ისტორიული თხზულება „ამბავნი ქართლისანი", რომელიც ფაქტიურად 1740-1750-იანი წლების საქართველოს ისტორიას წარმოადგენს.

არაერთი ისტორიული წყარო ადასტურებს, რომ XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაღესტნელთა შემოსევები შედარებით გახშირდა ქართლსა და კახეთში. ასეთ შემოსევებს ადგილი ჰქონდა 1754-1755 წლებშიც, მჭადისჯვარსა და ყვარელში, ავარია–ხუნძახის ბატონ ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წელს მჭადისჯვართან ქართველებმა ღირსეული მეფეების – თეიმურაზისა და ერეკლეს მეთაურობით უთანასწორო ომში გაიმარჯვეს. დაღესტნელთა მრავალათასიანი ლაშქარი დამარცხდა და უკუიქცა. ერეკლეს ამ დღეს უბრძანებია: „ეს არის დღე ვაჟკაცობისა, სიყვარული რჯულისა და სამშობლოისა".

დამარცხებული დაღესტნელები მეორე ომისათვის უფრო უკეთესად მოემზადნენ. 1755 წელს მათი მრავალრიცხოვანი ჯარი კახეთს გადმოვიდა და ყვარლის ციხეს შემოადგა. აი რას გადმოგვცემს მემატიანე: „შემოსაფრეს ყვარელის ციხე ლეკთა, იყო ომი დღედაღამ, კარგად, კაცურად და მამაცურად ებრძოდნენ მყოფნი ციხისანი. მაგრამ ასეთი მაღალი საფრები შეუკრეს გარედან, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ".

ყვარელს სასწრაფოდ უნდოდა შველა. ერეკლეც გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამზადებულიყო. ქართლისა და კახეთის სამეფოები საკუთარი შესაძლებლობებით, გარედან დახმარების გარეშე იცავდნენ თავს.

უფლის ნებითა და ქართველების თავგანწირული ბრძოლის შედეგად ავარიის ხანი და მისი მოკავშირეები ამჯერადაც სასტიკად დამარცხდნენ ყვარლის ციხის კედლებთან.

ყვარლის ციხის მნიშვნელობაზე მიუთითებს თავის ნაშრომში პაპუნა ორბელიანი: „თუ მტერი იმ ციხეს აიღებს, გაღმა მხარი ხელთ დარჩება და რახან გაღმა მხარს იშოვნიან, კახეთის შოვნაც გაუადვილდებათო, მერე დასუსტებულს ქართლს რითღა შევიმაგრებთო".

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" ქაიხოსროს ათქმევინებს: „...ავარიის ხანი ოცდაოთხი ათასის კაცით ყვარელის ციხეს შემომდგარი იყო, სამასი კაცი წავედით და შევედით ციხეში და გავაცქიეთ ეგეოდენი ჯარი"...

ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია კახეთისათვის ყვარლის ციხეს. ეს ციხე პირდაპირი გასაღები ყოფილა ქვეყნისათვის. მისი აღება კახეთის სამეფოსათვის კარის ჩამოხსნას უდრიდა.

საქართველოს ძნელბედობა თითქოს თან დაჰყვაო, კარს მომდგარი მტერი არ დალევია. სამშობლოს დასაცავად საჭირო იყო შინ და გარეთ შენება, ეკლესია–მონასტრებისა და ციხე–სიმაგრეების აგება.

ციხე–სიმაგრეებში ჩამჯდარი ქვეყანა თავს უფრო ძლიერად გრძნობდა. შრომა და ომი, ისევე როგორც ჭირი და ლხინი, ერთიმეორეს შეეთავსა და ერთმანეთს ცვლიდა.

აბჯარასხმულ ქართველს ხმლით ხელში თავიც უნდა დაეცვა და ეშენებინა კიდეც. ასეთი ხალხი თუ აშენებდა, კარგადაც აშენებდა. ამიტომაც ითვლება საქართველო კულტურის ძეგლების კლასიკურ ქვეყნად. მის პატარა ტერიტორიაზე თავმოყრილი ხუროთმოძღვრების ათასობით ნიმუში საქართველოს მშვენებასა და სიამაყეს წარმოადგენს.

საკამათო არ არის, რომ ეს უდიდესი ნაღვაწი, ქვეყნის კულტურის მაღალი დონის მაუწყებელია. ჩვენი მოვალეობაა შევისწავლოთ, მოვუაროთ და დავიცვათ წარსულის დიდებული ძეგლები, უამისოდ ღირსეულ მომავალს ვერ შევქმნით.

უფალო ღმერთო, დაიფარე და გააძლიერე სრულიად საქართველო და ქართველი ერი, ამინ!

**ᲝᲗᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ლოკოკინასთან ბრძოლის ბიოლოგიური, მექანიკური და ქიმიური საშუალებები



### ლოკოკინა

ლოკოკინა თავფეხიანი მოლუსკია, რომელსაც გააჩნია სპირალური ნიჟარა. ნიჟარას ლოკოკინა ზურგით ატარებს და საფრთხის ან არასასურველ პირობებში შიგ იმალება.

ნიჟარა ცხოველთან ერთად იზრდება და იხვევა. მისმა ზომამ 60 მმ-ს და წონამ 30 გრამს შეიძლება მიაღწიოს (არსებობს გოლიათი ლოკოკინა ახატინაც, რომლის ზომებიც ბევრად დიდია).

ლოკოკინას სხეული ასიმეტრიულია და იყოფა 3 ნაწილად: თავი, ფეხი და შიგნეულის ტომსიკა (პარკი), რომლიდანაც გამოდის მანტიის ნაკეცი. ლოკოკინები გადაადგილდებიან ფეხის ქვედა ზედაპირით, კუმშავენ და შლიან რა კუნთებს მის მთელ სიგრძეზე ტალღისებურად.

ფეხის ეპითელიუმი გამოყოფს დიდი რაოდენობით ლორწოს, რაც ეხმარება უკეთესად მოძრაობაში, სრიალებს რა სუბსტრატის ზედაპირზე. არასასურველი პირობების დადგომისას ან ზამთრის სიცივეებში გამოყოფილი ლორწოს აფსკი მჭიდროდ ხურავს შესასვლელს და იცავს სხეულს. შიგნეულის ტომსიკა მოთავსებულია კირის სპირალურ ან თალფაქისებურ (წყლის ნიჟარა) ნაჭუჭში.

ლოკოკინას თავზე გააჩნია ერთი წყვილი გრძელი და ერთი წყვილი მოკლე საცეცი. გრძელი საცეცების ბოლოებზე მოთავსებულია თვალები. ყბები რქოვანია, ხახაში მოთავსებულია ენა რამოდენიმე რიგად განივად გაწყობილი წვრილი კბილებით, რითაც მოლუსკი ფხეკს საკვებს.

ლოკოკინების უმრავლესობა ჰერმაფროდიტია. ისინი ფეხებით მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს და ხდება სპერმატოფორების გაცვლა. შემდეგ განაყოფიერებული ლოკოკინები ნიადაგის ჩაღრმავებებში, მცენარეთა ძირებში, ჩამოცვენილ ფოთლებქვეშ დებენ 30-60 კვერცხს, საიდანაც სამი კვირის შემდეგ გამოდის ახალი თაობა, რომელიც მხოლოდ ზომებით განსხვავდება ზრდასრულისაგან.

ზამთრობს ძირითადად კვერცხის სახით ნიადაგის კოშტებქვეშ. ეს ცხოველი კარგად უძლებს ზამთრის სიცივეს. მას შეუძლია დიდ ყინვებს გაუძლოს და ყინულში ჩაყინული მიეცეს ზამთრის ძილს.

ლოკოკინა ბაღის სანიტრის როლს ასრულებს, მაგრამ მისი მავნეობა ბევრად სჭარბობს მისგან გამოწვეულ სიკეთეს, რადგან ის აზიანებს ხეებს, ბუჩქებს, ვენახს, ბოსტანეულს, ბაღჩეულსა და დეკორატიულ მცენარეებს, იკვებება რა მათი ფოთლებით, ნორჩი ყლორტებით, კვირტებითა და ყვავილებით.

გარდა ამისა ლოკოკინები არიან უძიმესი დაავადებების შისტოსომოზისა და ოპისტორქოზის გადამტანები, თუმცა საქართველოში ეს დაავადებები ჯერ არ დაფიქსირებულა.

### ლოქორა

ეკუთვნის თავფეხიან მოლუსკებს. მას არ გააჩნია ნიჟარა, ან აქვს რუდიმენტის სახით (გადაგვარებული). ისინი იკვებებიან როგორც ბოსტნეულით, ისე ხის და ვაზის ფოთლებით (ძირითადად ჩამოცვენილით), გაუმერქნიანებელი ყლორტებით და სოკოებით (მათ შორის შხამიანით).

ზოგიერთი ლოქორა მტაცებელი ან ნეკროფაგია, იკვებება ნიადაგის ცოცხალი უხერხემლოებით, მაგ. სხვა თავფეხიანი მოლუსკებით და ჭიაყელებით. ლოქორებს არ გააჩნიათ გაუწყლოებისაგან დამცავი ეფექტური საშუალებები, ამიტომ ისინი ცხოვრობენ ტენიან ბიოტიპებში.

ლოქორების სხეული წაგრძელებულია, ისინი სხეულის ფორმას იცვლიან და მოძრაობენ კუნთების შეკუმშვის ხარჯზე. სხეული ორმხრივსიმეტრიულია. კანის ეპითელიუმი გამოყოფს დიდი რაოდენობით ლორწოს, რომელიც იცავს სხეულს გამოშრობისაგან, უადვილებს მოძრაობას და აფრთხობს მტაცებლებს.

სხეული შედგება თავის, ფეხისა და ვისცერალური მასისაგან. თავზე მოთავსებულია 1 ან 2 წყვილი საცეცი რომლებზეც განლაგებულია გრძნობათა ორგანოები. თავს უკან ზურგის მხარეს მოთავსებულია მანტია, რომლის ზედაპირზეც მარჯვენა მხარეს არის სასუნთქი ხვრელი.

ბევრი სახეობის ლოქორას შენარჩუნებული აქვს ნიჟარის რუდიმენტი, რომელიც წარმოადგენს კალციუმის მარილების მარაგს და ხშირადდაკავშირებულია საჭმლის მომნელებელ ჯირკვლებთან.

### ბრძოლის ღონისძიებები ლოკოკინების წინააღმდეგ

ლოკოკინები ძალიან ბევრ პრობლემას უქმნიან მცენარეებს, მათ შორის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მცენარეებს, იკვებებიან რა მწვანე მასით. მათ წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, თუმცა არსებობენ ისეთი მექანიკური მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია საგრძნობლად შევამციროთ მათი რაოდენობა და აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგები.

**მექანიკური და ბიოლოგიური მეთოდები:**

- ნარგაობის (ხეების, ბუჩქების ან ბოსტან-ბაღჩის) გარშემო დანაყილი ზღვის ლოკოკინების ნიჟარების ზოლის ან კვერცხის ნაჭუჭთან და დაფქვილ კაკლის ნაჭუჭთან შერეული მსხვილი ქვიშის ზოლის ბარიერის შექმნა;
- მცენარეთა ან ბოსტანისა და ბაღჩის გარშემო ნაძვისა და ფიჭვის ტოტების შემოწყობა. ის ქმნის ბარიერს ლოკოკინებისათვის და ამავე დროს, სასუქიც იქნება;
- პრაქტიკაში გამოიყენება გამხმარი ჭინჭრის დაყრა მცენარის ირგვლივ;
- ნიადაგის მულჩირება ნახერხით;
- ხეების და ბუჩქების ძირში ნიადაგზე მშრალი ხის ნახშირის, ცარცის ან თამბაქოს მტვერის მოფრქვევა, (ეს მეთოდი კარგად მოქმედებს მშრალ ამინდში, წვიმის შემდეგ კი ეს მასა ლბება და ეფექტი მცირდება).

ზემოთ აღწერილი ყველა მეთოდი განიზიდავს ლოკოკინებს, რადგან მათ ამ ბარიერების გადალახვა არ შეუძლიათ.

- რიგთაშორის სველი ფანერების ან სველი ტომრების დალაგება (ლოკოკინები შედიან მათ ქვეშ და შემდეგ ავკრეფთ და მექანიკურად გავანადგურებთ);
- ლოკოკინას მოსაცილებლად მცენარეები შეგვიძლია შევასხუროთ ყავის ნაყენით შემდეგი პროპორციით-ყოველ ერთ ჭიქა წყალში უნდა გაიხსნას 2 ჩაის კოვზი ყავა;
- ნივრის ნაყენი-100 გრამ გახეხილ ნიორს დავასხათ ცოტა წყალი, გავაჩეროთ ერთი დღე და ღამე, შემდეგ მიღებული ხსნარი გავაზავოთ არსებულ ნაყენზე 3-4-ჯერ მეტი წყლით და დავამუშავოთ მცენარეები;
- გამოიყენება მწარე წიწაკა ან მდოგვი. 50 გრამი მშრალი მასა იხსნება 300 მლ წყალში, აყოვნებენ 1 საათს, შემდეგ 3-4 ჯერ მეტ წყალში ხსნიან და ასხურებენ.
- ლოკოკინები გაურბიან დაფნას, ამიტომ კარგ შედეგს იძლევა მცენარეთა შესხურება დაფნის ნახარშით;
- კონსერვის ქილებში, რომელთაც პირები ჩაკეცილი აქვთ ასხამენ ლუდს და დგამენ ნიადაგში ისე, რომ ქილის პირი მიწის პირის დონეზე იყოს. ლოკოკინები ეტანებიან ლუდს, ჩადიან ქილაში და იღუპებიან. პერიოდულად ქილის შიგთავსი უნდა განახლდეს, განსაკუთრებით წვიმის შემდეგ;
- ყველასთვის ცნობილია რიგთაშორის მარილის მოყრა, რადგან ლოკოკინა მასზე გადაცოცებისას კვდება, მაგრამ არ შეიძლება ამ მეთოდის ხშირად გამოყენება, რადგან ნიადაგს დავამლაშებთ.

ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდია აგრეთვე: ლოკოკინების წინააღმდეგ პარაზიტული ნემატოდას გამოყენება, საწარმოო დასახელება-nemaslug. ტენიან ამინდში ამ მიკროორგანიზმების წყლიანი ნაზავით უნდა შეიწამლოს მცენარეები.

თუმცა ამ პრეპარატს აქვს უარყოფითი მხარეც, პრეპარატი გამოყენებული უნდა იქნას გამოშვებიდან 3-4 კვირაში და ინახება სიცივეში.

ქიმიური საშუალებებიდან გამოიყენება:

- მეთალდეჰიდი – საწარმოო დასახელებით მეტადექს პელეტი, გრაზა, მეტა ან სხვა. ამ პრეპარატის გრანულები უნდა განლაგდეს შემდეგი პროპორციით: 40 გრ. პრეპარატი ყოველ 10 კვადრატულ მეტრზე. ეს მასა უნდა განაწილდეს ყოველ 10-15 სმ-ზე ერთმანეთისაგან. ამ შემთხვევაში დაკრეფილი ხილი და ბოსტნეული კარგად უნდა გაირეცხოს;
- წვრილად დაფქვილი რკინის ძაღა (რკინის შაბიამანი) შერეული ქვიშასთან ან ჩამქრალ კირთან. ეს ნარევი უნდა მოიყაროს საღამოს ან ნესტიან დღეს ნიადაგზე. შეიძლება გაიჟღინთოს ნიადაგზე შაბიამანში დასველებული თოკები ან დალაგდეს რიგთაშორისებში ამ ხსნარში დასველებული ძველი ნაჭრის ნახევები ან ბამბის ფთილები;
- რიგთაშორისებზე მოეფრქვიოს სუპერფოსფატი ან ჩამქრალი კირი 2-ჯერ 15 წუთის გამოშვებით, ზედიზედ 2 დღის მანძილზე ამ პროცედურის განმეორებით მნიშვნელოვნად შემცირდება ან მოისპობა ლოკოკინები.

ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია აგროტექნიკური ღონისძიებების დროული ჩატარება: ნიადაგის გაფხვიერება მთელი სეზონის მანძილზე, მცენარეული ნარჩენების გატანა და განადგურება, რიგთაშორისებში სარეველების დროული მოსპობა.

**სურსათის ეროვნული სააგენტო**

# ფოსფორისა და აზოტის ნაკლებობა მცენარეებში



ფოსფორი მონაწილეობს მცენარეში მიმდინარე მრავალ ქიმიურ რეაქციაში და წარმოადგენს ენერგიის მთავარ გადამცემს. ის შედის ფოსფოლიპიდების, ნუკლეინის მჟავების, მრავალი კოფერმენტისა და ნუკლეოპროტეიდების შემადგენლობაში.

ფოსფატები ასრულებენ აგრეთვე ქიმიური ბუფერის როლს, რომლებიც ინარჩუნებენ უჯრედის შიგთავსის რეაქციას შესაბამის დონეზე.

ფოსფორისა და აზოტის ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია და ამ ორი ელემენტის ნაკლებობის სიმპტომები შეიძლება იყოს მსგავსი.

ფოსფორი მონაწილეობს აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაში და თამაშობს მნიშვნელოვან როლს ისეთ პროცესებში, როგორებიცაა – თესლის გაღივება, აღმონაცენის განვითარება, ფესვების ზრდა და თესლისა და ნაყოფების მომწიფება.

ნიადაგში არსებობს ფოსფორის როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნაერთები, მაგრამ ხშირად ისინი წყალში არ იხსნებიან და ხსნად ფორმაში გადადიან მხოლოდ ქიმიური ან მიკრობული ფაქტორების მოქმედებით. ხსნადი ფოსფატები ნიადაგში საკმარისი არაა და ისინი ნაკლებ მოძრავია, განსაკუთრებით მძიმე თიხნარ და რკინით მდიდარ ნიადაგებში.

ფოსფორის ნაკლებობის ზოგიერთი სიმპტომები მსგავსია აზოტის ნაკლებობის სიმპტომებისა. მაგ., ფესვების, ყლორტებისა და ფოთლების შენელებული ზრდა, სუსტი ყვავილობა, ფოთლების ნაადრევი ცვენა და მოსავლის შემცირება.

მაგრამ ფოსფორის ნაკლებობის შემთხვევაში ფოთლები არის მოლურჯო-მომწვანო ფერის, ყავისფერი ლაქებით. ნაყოფები რბილია და მჟავე.

ფოსფორის ნაკლებობის პირველი ნიშნები ჩნდება ხნიერ ფოთლებზე, ის იწვევს ფოთლების ხმობას, რაც ყოველთვის ფოთლის ფირფიტის კიდიდან იწყება.

ფოსფორის დეფიციტი (მცენარისათვის მიუწვდომელი ფოსფორი) დამახასიათებელია მჟავე ნიადაგებისათვის, ასევე ძლიერ ტუტე, ღარიბ თიხნარი და რკინით მდიდარი ნიადაგებისათვის.

ფოსფორის ნაკლებობის თავიდან აცილება შეიძლება ნიადაგში შესაბამისი ფოსფორიანი სასუქების შეტანით, რომლებიც შეტანილი უნდა იქნას რაც შეიძლება ახლოს მცენარის ფესვებთან. ზოგჯერ სასუქები შეაქვთ უშუალოდ თესვის დროს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს არა იმდენად ნაკლებობას, არამედ მის მიუწვდომელ არსებობას, მაშინ შეიძლება მდგომარეობა გამოსწორდეს ნიადაგის ხსნარის pH-ის ცვლილებით.

აზოტი შედის ცილების, ამინომჟავების, ალკალოიდებისა და ქლოროფილის შემადგენლობაში. პროტოპლაზმის მშრალი წონის თითქმის ნახევარს შეადგენს აზოტოვანი ნივთიერება. ამიტომ, აზოტი აუცილებელია ყველა მცენარისათვის დიდი რაოდენობით.

აზოტის ზოგიერთი ნაერთი თავისუფლად გადაადგილდება მცენარის ხნიერი ქსოვილებიდან უფრო ახალგაზრდა ქსოვილებში, რომელთათვისაც ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამის გამო აზოტის ნაკლებობის სიმპტომები პირველ რიგში ვლინდება მცენარის ხნიერ ნაწილზე, ხოლო ყველაზე ძლიერი ნაკლებობის შემთხვევაში ემჩნევა ზრდის წერტილს.

აზოტის ნაკლებობა ვლინდება ფესვების, ყლორტების და ფოთლების ზრდის შენელებაში. ფოთლები ხდება ქლოროტული, ხო¬ლო ყველაზე ხნიერი ფოთლები ღებულობენ მოწითალო-მეწამულ შეფერვას და ზოგჯერ ნაადრევად ცვივიან.

კვირტები შეიძლება დაიღუპოს, ყვავილობა და ნაყოფიანობა სუსტდება იმდენად, რომ ხშირად ძალიან ცუდი მოსავალი მიიღება. აზოტის ნაკლებობით ხეხილოვან კულტურებს უვითარდებათ წვრილი, მაგარი, მკვეთრი შეფერვის ნაყოფები.

აზოტის დეფიციტის შემთხვევაში ბალის ფოთლები ხდება მცირე ზომის, ხოლო ფოთლის ფირფიტა ძარღვებს შორის ყვითლდება. ზოგიერთ შემთხვევებში ფოთლებზე ვლინდება ნარინჯისფერი, მოწითალო ან მეწამული ლაქები.

აზოტის ნაკლებობის დროს მცენარის ფოთლებში ქვეითდება ფოტოსინთეზის ინტენსივობა და პროდუქტიულობა, მცირდება მზის ენერგიის გამოყენების კოეფიციენტი და ეცემა მოსავალი.

აზოტის ნაკლებობით გამოწვეული მცენარის დაავადება ვლინდება ყველაზე მეტად ნიადაგის მაღალი ტენიანობის დროს, განსაკუთრებით ძლიერი წვიმების შემდეგ, როდესაც აზოტის ადვილად ხსნადი ნაერთები გამოირეცხება ნიადაგის ღრმა ფენებიდან.

გარდა ამისა, აზოტის ნაკლებობა ვლინდება ხანგრძლივი სიცივის ან გვალვიანი ამინდის პირობებში, როდესაც ნიადაგში ნიტრიფიკაციის პროცესები ნელდება და მცენარე (მაგ. შაქრის ჭარხალი) ზარალდება აზოტის ნაკლებობით, რაც გამოიხატება ფოთლების მასობრივი სიყვითლით.

აზოტის ნაკლებობით გამოწვეული სიმპტომები კარგად ჩანს მოუვლელ ბაღებში და იმ მინდვრებში, სადაც სარეველების ინტენსიური ზრდა იწვევს ამ ელემენტის მარაგის ამოწურვას ნიადაგში.

ნიადაგში დიდი რაოდენობით ნახშირბადის (ორგანული ნივთიერებების სახით) შეტანის დროს აქტიურდება ნიადაგის მიკროფლორა. ამის გამო ხდება ნიადაგში არსებული აზოტის მნიშვნელოვანი ნაწილის „ბლოკირება“, ე.ი. მცენარისათვის მიუწვდომელი ხდება და ისევ ადგილი აქვს მისი ნაკლებობის სიმპტომებს.

მიკრობიოლოგიური ფაქტორები, როგორებიცაა მანიტრიფიცირებელი და მადენიტრიფიცირებელი ბაქტერიების შეფარდებითი რიცხოვნობა და აქტივობა, გავლენას ახდენს ნიადაგში აზოტის შემცველობაზე.

ნიადაგის ხსნარის მჟავიანობის ამაღლებამ ან ზედმეტმა ტენმა შეიძლება დააქვეითოს მანიტრიფიცირებელი ბაქტერიების მოქმედება და გამოიწვიოს აზოტის დეფიციტი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთი და იმავე ადგილზე ხანგრძლივი ყოფნის დროს, აზოტის მარაგის შეუვსებლად, განსაკუთრებით მსუბუქ სილნარ, ორგანულ ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგში, ადგილი აქვს აზოტის ნაკლებობით გამოწვეულ სიმპტომებს.

აზოტის ნაკლებობა ნიადაგში შეიძლება შევსებულ იქნას აზოტიანი სასუქების შეტანით, ასევე თესლბრუნვაში პარკოსნების ჩართვით და ნიადაგის პირობების შეცვლით იმ მიზნით, რათა გაძლიერდეს ნიტრიფიკაცია (ნიტრიფიკაცია – ზოგიერთი ბაქტერიის მიერ ამონიუმის მარილების ნიტრატებად გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფს მცენარის აზოტოვან კვებას – აგროკავკასია) და შესუსტდეს დენიტრიფიკაცია.

აზოტის მწვავე დეფიციტის დროს მცენარეები შეიძლება შესხურდეს (განსაკუთრებით ხეხილოვანი კულტურები და ბუჩქები) აზოტ-შემცველი ნაერთების განზავებული ხსნარით.

ამასთან გაითვალისწინეთ:

ზედმეტი აზოტის შედეგად მცენარე მიმღებიანი ხდება დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი; გრძელდება სავეგეტაციო პერიოდი; შენელებულია ყვავილობის დაწყებისა და ნაყოფების განვითარების პერიოდი. მარცვლოვან კულტურებს აზოტის სიჭარბის შედეგად უვითარდება გრძელი წვნიანი ღერო, რომელიც ადვილად იმტვრევა.

**შაქრო ყანჩაველი**

**მცენარეთა პათოლოგიის საფუძვლები**



# ქეთინო რუსიაშვილის ხსოვნისადმი



ზაფხულის მშვენირი დღე გათენდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების შემოდგომა მაინც არ გვანებებს თავს. არ არსებობს დღე, რომ მას არ მოსწყდეს ნორჩი, ზოგჯერ კი დიდი ფოთოლი. ასე მოხდა ამჯერადაც.

ცხოვრების შემოდგომის ფოთოლცვენის შედეგია ქეთინო რუსიაშვილის ამ ქვეყნიდან წასვლა.

ჩვენ ვწერთ ამაგდარ ქალზე, რომელმაც უანგაროდ თესა სიკეთე.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ცისფერთვალა, სასიამოვნო გარეგნობის მქონე ლაბორანტი, რომელიც ყველას ეიმედებოდა.

ქეთინოს, როგორც ყვარლის რაიონული პოლიკლინიკის ლაბორანტს, მუშაობა უხდებოდა ისეთი ცნობილი ექიმების გვერდით, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე გამსახურდია, ვალერიან რუსიაშვილი, ლილი ჩიტრეკაშვილი, დავით კანდელაკი, ტელმან პიტიურიშვილი, მერი მათიკაშვილი, დავით მჭედლიშვილი, ვაჟა ერგემიძე და სხვები. ეს ექიმები ხშირად ხუმრობით ეტყოდნენ ხოლმე ქეთინოს, ავადმყოფს, ანალიზის პასუხს რომ დაუწერ, იქვე მკურნალობისთვის დანიშნულებაც მიუწერე ხოლმე, შენ ხომ არაფერი გამოგეპარებაო. სიკვდილამდე ასეც ხდებოდა.

მცხოვრებლებიც ხშირად სტუმრობდნენ, სჯეროდათ მისი პროფესიონალიზმის. ვინ იცის რამდენს მოემსახურა უფასოდ. ეცოდებოდა გაჭირვებული ადამიანი, აკეთებდა სიკეთეს და გამორჩენას არასოდეს ელოდა. სანთელ-საკმელი კი თავის გზას მაინც არ კარგავდა. ამისი დასტურია ის გლოვა, რაც გამოიწვია მისმა გარდაცვალებამ.

ქეთინო ყველა საქმეში მისაბაძი იყო. მისი ხელით მოქარგულები გამოფენებზეც არაერთხელ მოხვედრილა და საყოველთაო მოწონებაც დაუმსახურებია.

## აკეთებდა სიკეთეს და გამორჩენას არასოდეს ელოდა

ქეთინო ახალგაზრდა ასაკში გახდა სიკო სეფაშვილის დიდი ოჯახის რძალი. იგი გამოირჩეოდა როგორც რძალი, როგორც მეუღლე, დედა და მეგობარი.

ორი საუკეთესო შვილი აღზარდა მან – გელა და ეკა. ახლა უნდა გაეხარა რძლებში, სიძეებში, შვილიშვილებსა და მათ შვილებში, მაგრამ... ასე ინება არსთა გამრიგემ.

ბოლო წლებში სახლში მუშაობდა ქეთინო. საიდან არ მოდიოდნენ მასთან. ყვარლის რაიონის გარდა სხვა რაიონის



იგი კულინარიაშიც დიდოსტატი იყო. ყველა საქმეს პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ასრულებდა.

ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული ნაირნაირ ყვავილებს უვლიდა. უყვარდა თქმა: ესენი ჩემი უტყვი მეგობრები არიან და სიმშვიდეს მანიჭებენო. გასაოცარი ის იყო, რომ პოეზიისთვისაც პოულობდა დროს. მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას და ახალ-ახალი ლექსების წაკითხვას.

რა არ გადახდა თავს. ემიგრანტის ცხოვრებაც იმწვნია, საყვარელ ადამიანებთან ერთად მეუღლის გარდაცვალებაც მწვავედ განიცადა. ეგონა, ამით დამთავრდებოდა გულზე მიყენებული ჭრილობები, მაგრამ ბოლოს სიძის – კახას მოულოდნელმა სიკვდილმა მის სულს დარდის კვალი დაამჩნია, ჩვენთან ხშირად იტყოდა ხოლმე, ბედი გვქონია, ასეთი კარგი სიძე რომ შეგვხვდაო. ჩვენო ქეთინო, შენი და შენი სიძის სახით ღმერთსაც კარგები რომ უნდა, ეს ყველამ კარგად ვიცით. გვჯერა, რომ იმ ქვეყანაშიც ისეთივე კეთილშობილები იქნებით, როგორებიც აქ იყავით.

და ახლა, ავადმყოფობისაგან დაღლილი, ვალმოხდილი მიდის იმქვეყნად წასულ საყვარელ ადამიანებთან. ჩვენ კი გვიტოვებს სევდასა და მოგონებებს ქალზე, რომელმაც სულს წინ წარუმძღვარა „ხორცთ ნაქნარი“.

ჩვენო ქეთინო, მსუბუქი იყოს ყვარლის მიწა შენთვის, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა.

„ზოგი მოგონება ფრთხიალებს, ზოგიც დაჭრილივით ბღავის“. შენ ჩვენთვის ყოველთვის დარჩები აბღავლებულ მოგონებად და, სანამ ცოცხლები ვიქნებით, მუდამ ვილოცებთ შენი მართალი სულისათვის.

**მეგობრების სახელით**
**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი, დალი ტატულიშვილი**

# ყვარლისმუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნითაცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე:

| ლოტის N | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილ. ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ს. საბუე | 2234 | – | 57.09.57.121 | 24527 | 4905 | 1226 | 50 |

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის**
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ბრძანება:ბ88.8822178001
თარიღი:27/06/2022

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად

**. ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

GEORGIA. CITY HALL OF KVARELI MUNICIPALITY 241578574

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2022 წლის 29 ივლისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2022 წლის 30 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი: № 599 472 067; № 577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# ნანა გოგინაშვილის მონატრება



22 ივნისი შენი დაბადების დღე იყო. 55 წლის გახდებოდი. გავიდა ტანჯვით აღსავსე სევდიანი წლები. რაც დრო გადის, მით მეტია შენი მონატრება. უშენოდ ძნელია ჩვენი ცხოვრება. ძალიან გვაკლიხარ.

ნათელი ედგას შენს სამუდამო სასუფეველს. ჩვენ კი აქედან სანთლებს აგინთებთ და ყოველთვის ვილოცებთ შენთვის.

**თემურ,**
**ჟენია გოგინაშვილები**

# დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდული მოდელი (DRG)

**ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

**დღეის მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცულია მოსახლეობის 94.7%. თითქმის ხუთჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები (2012 წელი – 450 მლნ ლარი, 2022 წელი – 2 მლრდ 541 მლნ ლარი).**

**ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ და სერვისების ეფექტიანმა დაგეგმვამ წარმატებით შეამცირა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ფინანსური ბარიერები და, შესაბამისად, გაზარდა მომსახურებით სარგებლობა. მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდები 2012 წელს არსებული 73.4%-იდან 2021 წელს 43.5%-მდე არის შემცირებული.**

**ასევე, გრძელდება მუშაობა სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდისათვის. ამისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდული მოდელი (DRG), რომლის დანერგვის პილოტური პროექტი უკვე დაიწყო შერჩეულ კლინიკებში, წლის ბოლომდე კი სისტემა მზად იქნება სრულად ასამოქმედებლად.**

# სიმართლე კვერცხის შესახებ, ანუ თეთრნაჭუჭა სჯობს თუ ყავისფერი?

კვერცხს ხშირად ემდურებიან იმის გამო, რომ დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს: ერთ ცალ კვერცხში დღიური ნორმის ნახევარზე მეტი ქოლესტერინი შედის. თუმცა, იმავდროულად პროდუქტში ასევე არის ფოსფოლიპიდები (რომლებიც სისხლში ქოლესტერინის კონცენტრაციას ამცირებს), სასარგებლო ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

დიეტოლოგები ახალგაზრდა და ჯანმრთელ ადამიანებს ურჩევენ, ყოველდღიურად 1-2 კვერცხი მიირთვან, ხოლო ხანში შესულებს ან ათეროსკლეროზით დაავადებულებს ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით ერთი ცალის ჭამა შეუძლიათ.

თუ ქოლესტერინის დონე მაღალია, მაშინ კვირაში 2-3 კვერცხზე მეტის მიღება რეკომენდებული არ არის.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერების თქმით, ერთი კვერცხის მიღება ყოველდღიურად 12%-ით ამცირებს ინსულტის რისკს.

უნდა გაირეცხოს თუ არა კვერცხი?

სალმონელოზის საფრთხე კვერცხის ნაჭუჭზე რეალურია. ამიტომ გამოყენების წინ ის აუცილებლად უნდა გაირეცხოს თბილი წყლითა და საპნით.

გაითვალისწინეთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: თუ ნაჭუჭი ოდნავ მაინცაა გაბზარული, გარეცხვა უკვე ველარ დაგიცავთ სალმონელისგან. ასეთ შემთხვევაში ჯობს თერმოდამუშავებას მიმართოთ, ანუ ხარშოთ კვერცხი 15 წუთის განმავლობაში მაინც, ხოლო თუ ომლეტის გაკეთება გსურთ, მაშინ ორივე მხრიდან საგულდაგულოდ შეწვათ.

**უმი თუ მოხარშული?**

მართალია თუ არა, რომ უმი კვერცხი უფრო სასარგებლოა? არა!

უმი კვერცხის მიღებით, გარდა იმისა, რომ იზრდება სალმონელოზით დაავადების რისკი, ის ასევე კრავს ბიოტინს და, შესაბამისად, კუჭი ძნელად ამუშავებს.

რა თქმა უნდა, კვერცხის კვებითი ღირებულება თერმოდამუშავებისას იკლებს, მაგრამ არა მნიშვნელოვნად – ზოგი ვიტამინის რაოდენობა სულ რაღაც 10%-ით მცირდება.

**რით განსხვავდება თეთრნაჭუჭიანი და მუქი კვერცხი?**

არსებობს მოსაზრება, რომ ნაჭუჭის ფერი განსაზღვრავს, რამდენად სასარგებლო, ნატურალური და მაგარია კვერცხი.

სინამდვილეში ნაჭუჭის ფერი არანაირ გავლენას არ ახდენს გემობრივ თვისებებზე.

კვერცხის შეფერილობა მხოლოდ და მხოლოდ ქათმის ჯიშზეა დამოკიდებული: თეთრბუმბულიანი ქათმები ძირითადად თეთრნაჭუჭიან კვერცხებს დებენ, ხოლო ყავისფერ-მოწითალო ქათმები – მოყავისფრო-მოწითალო კვერცხებს.

ნაჭუჭის სიმტკიცე ქათმის ასაკზეა დამოკიდებული: რაც უფრო ახალგაზრდა ქათმის დადებულია კვერცხი, მით მაგარი ნაჭუჭი აქვს მას.

რაც შეეხება გემოს, ამას უკვე კვერცხისმდებელი ქათმის რაციონი განსაზღვრავს.

**რატომ ღირს მუქნაჭუჭიანი კვერცხი თეთრზე ძვირი?**

იმიტომ რომ მუქი კვერცხების მდებელი ასევე მუქი დედლები დიდი ზომისანი არიან და, შესაბამისად, მეტი საკვები სჭირდებათ. სწორედ მათ საკვებზე დახარჯული თანხის გათვალისწინებით ადებენ მათ შედარებით მაღალ ფასს მწარმოებლები.

**რომელი კვერცხი ჯობს: შინაური თუ ფერმისა?**

რა თქმა უნდა, ფერმისა!

მოსაზრება, რომ სუფთა ჰაერზე, ბალახზე და გაშლილ სივრცეში გაზრდილი ქათმის კვერცხი ბევრად სასარგებლოა, ვიდრე ფერმაში გამოკეტილისა, ზედაპირულია.

დიეტოლოგები ნამდვილად გვირჩევენ ე.წ. სოფლის კვერცხის ჭამას, თუ რაღაც წარმოდგენა მაინც გაქვთ მის გამყიდველ გლეხზე. იქნებ ის ისეთ ადგილზე და ისეთ პირობებში ცხოვრობს, რომ მისი ქათმების მიერ დადებული კვერცხი სასარგებლო კი არა, პირიქით, საშიშიცაა?!

## კვერცხის შენახვის წესი

კვერცხის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა 0-2 გრადუსია და ასეთ შემთხვევაში მაცივარში სამი თვის განმავლობაში შეგიძლიათ შეინახოთ. თუ ტემპერატურა უფრო მაღალია, კვერცხის შენახვის ვადა 25 დღემდე მცირდება.

შეინახეთ კვერცხი მძაფრი სუნის პროდუქტებისგან შორს – ნაჭუჭი საკმაოდ იოლად ატარებს სუნებს.

ნუ ჩაალაგებთ კვერცხებს მაცივრის კარზე სპეციალურ „ჯიბეში“. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ყველაზე მეტად თბილი ადგილია მაცივარში და, მეორეც, კარის გაღება-დახურვისას კვერცხი შეინჯღრევა.

# სექტემბრიდან თითოეულ ბაღში კვლავ გაგრძელდება ეზოებში ფუნქციური სივრცეების განახლება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე



**– კონკრეტულად რა ეტაპზეა პროცესი?**

– მუნიციპალიტეტის 22 საბავშვო ბაგა-ბაღიდან ეზოების ფუნქციურად მოწყობის პროცესი 17 საბავშვო ბაგა-ბაღში დასრულებულია, დანარჩენ ბაღებში, ეზოების მოწყობის პროცესი განახლდება სექტემბრიდან.

**– რა როლი აკისრიათ მშობლებს და როგორია მათი ჩართულობა ამ პროცესში?**

– მრავალი კვლევის თანახმად, ბავშვები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან ბაღის ცხოვრებაში, უკეთესად სწავლობენ, უკეთეს სოციალურ უნარებს ავლენენ, ნაკლებად პრობლემურები არიან.

საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებული საკონსულტაციო საბჭოები, ზოგიერთ ბაღში აქტიურად იყო ჩართული ეზოს მოწყობის პროცესში. ყველა მონაწილე მშობელს მადლობას ვუხდით შემოთავაზებული იდეებისთვის და დახმარებისთვის.



**– უშუალოდ ვისი რეკომენდაციებით და რჩევებით კეთდება ეს საქმე?**

– კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი „Vorid vision Georgia“-ს დიდ მადლობას ვუხდით ამ შესანიშნავი პროექტის გაზიარებისთვის, ასევე მადლობას ვუხდით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს და თითოეული ბაღის თაანამშრომელს გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტი ითვალისწინებს გარემოს მოწყობას ყველა ბავშვის საჭიროებებზე, როგორც ჯგუფის ოთახში, ასევე საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოში.

**– როდის დასრულდება ეს პროცესი?**

– ეს ხანგრძლივი პროცესია. სექტემბრიდან თითოეულ ბაღში კვლავ გაგრძელდება ეზოებში ფუნქციური სივრცეების განახლება.

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# შეხვედრა მწერალთან

2 ივნისს ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში გამორჩეული ღონისძიება გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც ყვარლის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო იშხანიძე იყო. ღონისძიება ეძღვნებოდა ლიტერატული პრემია – „საბას“ წლევანდელ გამარჯვებულს ნანა აბულაძეს, რომელმაც ეს პრემია დაიმსახურა, ნომინაციაში – წლის საუკეთესო დებიუტანტი, რომანით“ აკუმი“.

ნანა წარმოშობით ყვარლელია და მისი წარმატებები რათქმაუნდა ყვარლელებისთვის ძალიან სასიხარულოა. ამიტომ ნინო მასწავლებელმა, ახალგაზრდა შემოქმედის უკეთ გაცნობის მიზნით ამ ღონისძიებას „შეხვედრა მწერალთან“ დაარქვა და ძალიან საინტერესო, განსხვავებული საღამო შემოგვთავაზა.

ნანა აბულაძესთან და მის ახლობლებთან ერთად მოწვეული იყვნენ ყვარლის საზოგადოების ღვაწლმოსილი ადამიანები., რომლებიც დაინტერესებულები არიან მისი შემოქმედებით.

ღონისძიება, ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოძღვარმა, დეკანოზმა ბენიამენმა გახსნა და ამაღლების დღეასწაული მიულოცა აუდიტორიას. ღონისძიების ავტორმა, ნინო იშხანიძემ ახალგაზრდა მწერალი წარუდგინა ყვარლელებს და მისი შემოქმედების შესახებ ისაუბრა. ღონისძიება გააგრძელეს ყვარლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს სცენები და გააცოცხლეს პერსონაჟები ქართველი კლასიკოსების შემოქმედებიდან.

ღონისძიების დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ, ღვაწლმოსილმა ყვარლელებმა არ დაიშურეს თბილი სიტყვები ახალგაზრდა მწერლის მიმართ და კვლავაც მრავალი წარმატება უსურვეს. თავის





მხრივ, ახალგაზრდა მწერალმა უახლოეს გეგმებზე და ახალ ნაწარმოებებზე ისაუბრა, ამასთანავე აუდიტორიისთვის საინტერესო კითხვებსაც უპასუხა.

გაზეთ „ყვარელი“-ს მკითხველს შეიძლება ახსოვს ნანას პატარა მოთხრობები, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა. მაშინ ის, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. თავიდან წერა ნანასთვის უბრალოდ ჰობი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, მწერლობა მის პროფესიად იქცა. ავტორის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა სადებიუტო რომანით“ აკუმი“. რითაც მან მოიპოვა მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემია – „საბა“.

რაც შეეხება ლიტერატურულ პრემია „საბა „– ს, იგი 2002 წელს დაარსდა.

ის უკვე ოცი წლისაა და საიუბილეო თარიღი 22 აპრილს აღინიშნა.

პრემია ყოველწლიურად გაიცემა და მისი მიზანია გასული წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა ცხრა კატეგორიის მიხედვით. პრემიის დამფუძნებლები არიან თიბისი ბანკი და პოეტი რატი ამაღლობელი.

უკვე წლებია „საბა“ ყველაზე ავტორიტეტული პრემიაა ლიტერატურის დარგში. დაარსების დღიდან „საბამ“ არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა.

ოცწლიანი ისტორია ლიტერატურული პრემიისთვის თითქმის მთელი ეპოქაა. რაც მთავარია, ეს ისტორია გრძელდება და ყოველ წელს თავის ახალ ფურცელს წერს.

ვულოცავთ ნანას კიდევ ერთხელ და კვლავ მრავალ წარმატებას ვუსურვებთ!

**ია გიგიაშვილი**

# ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი 85 წლის იუბილარია



მიმდინარე წელს ილიას მუზეუმის დაარსებიდან 85 წელი შესრულდა და ეს წელი ილიას მუზეუმისთვის საიუბილეო წელია.

მუზეუმის დაარსების შესახებ, როგორ მოემზადა საიუბილეოდ, ვინ არის ჩართული ამ პროცესში, კიდევ რა იგეგმება წლის ბოლომდე, რა სიახლეები და გამოწვევები არსებობს დღეისთვის ილიას მუზეუმში, ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება მუზეუმის დირექტორი შორენა სეფაშვილი.

– 2022 წელი მეტად მნიშვნელოვანი თარიღია ჩვენთვის – სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 და გარდაცვალებიდან 115 წლისთავი. მოგეხსენებათ, ილიას მუზეუმის მთავარი მისიაა მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთების, ხელნაწერების, ფოტო-დოკუმენტური და სხვა მასალების შეკრება, შეძენა და გამომზეურება; ჩვენს ფონდებში დაცული საინტერესო ნივთების ფართო საზოგადოებისთვის წარმოჩენა. ამ მიმართულებით მუშაობა, რასაკვირველია,კვლავაც გაგრძელდება.ამის გარდა,დაგეგმილია ბევრი საინტერესო ღონისძიება და აქტივობა:ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტისა და რესურსცენტრის ჩართულობით განხორციელდება ერთობლივი პროექტები; აღდგება "ხუთშაბათობები", ყვარლის ევროკლუბის მხარდაჭერით გაიმართება შეხვედრა მწერალთან – „ვსაუბრობთ ილიაზე“; გაგრძელდება საგანმანათლებლო ღონისძიებები, პერიოდული გამოფენები, მხატვრული, დოკუმენტური, შემეცნებითი და სხვა საინტერესო თემატიკის ფილმების ჩვენება,დაგეგმილია,აგრეთვე,გამოფენის მოწყობა ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმში...

რა თქმა უნდა, ამ პროცესებში აქტიურად გვიჭერს მხარს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისრტო, ყვარლის მუნიციპალიტეტი, რესურსცენტრი და კულტურის განვითარების ცენტრი. მუზეუმი თანამშრომლობს ყვარლის ევროკლუბთან, რომლის დახმარებითაც მოწესრიგდა და მოეწყო სივრცეები მემორიალურ ეზოში.

სისტემატურად გვაქვს კონტაქტი ყვარლის რესურსცენტრთანაც: გაზაფხულიდან მუზეუმში ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. შემოდგომიდან მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს უფრო მრავალფეროვან პროგრამებს შევთავაზებთ,დაგეგმილია ვიქტორინებისა და კონკურსების ჩატარებაც.

ცნობილია, რომ ილიამ სიცოცხლეშივე თავისი სახლი და მამული ანდერძით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებად გადასცა, მისი სიკვდილის შემდეგ კი ერთ ოთახში სამკითხველო გახსნეს.

1937 წლის 6 ივლისის ყვარლის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ეზოში ახლადგაშენებულ ბაღს ეწოდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბაღი; სახლში კი გაიხსნა მისივე ბიბლიოთეკა-მუზეუმი, გაკეთდა მემორიალური დაფაც.

1943 წლიდან ილია ჭავჭავაძის მუზეუმი გადაკეთდა სახელმწიფო მუზეუმად,მის დაარსებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

წლევანდელი წელი სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი ჩვენთვის:18 მაისს აღვნიშნეთ როგორც მუზეუმების საერთაშორისო დღე,ასევე,ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დაარსების 85 წლისთავიც. ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა – „მუზეუმი დაარსებიდან დღემდე“.

პანდემიის პერიოდმა მუზეუმის მუშაობაზეც იქონია გავლენა: მოგვიწია დაკეტვა, რეგულაციების შესრულება; იკლო დამთვალიერებელთა რიცხვმა, რაც უარყოფითად აისახა დაწესებულების შემოსავალზე. მიუხედავად ამისა, მუზეუმში არ შეჩერებულა ფონდების მუშაობა, უწყვეტ რეჟიმში იტვირთებოდა ექსპონატები საქართველოს ერთიან საკოლექციო სისტემაში, სოციალური ქსელიდან კი დამთვალიერებელს შევთავაზეთ ვირტუალური ტურები.

ილიას საიუბილეო წელი ბევრს გვავალებს თითოეულ ჩვენგანს.

არის პრობლემებიც,თუმცა ვფიქრობ, რომ ზემდგომი ორგანოების, ჩვენი მეგობრებისა და გულშემატკივრების, აგრეთვე,ყველა იმ ადამიანის თანადგომითა და დახმარებით შევძლებთ ყველა პრობლემის დაძლევას და მუშაობის ისე წარმართვას, როგორც ეს დიდ ილიას ეკადრება.

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმება აქტიურად მიმდინარეობს

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში უკვე დასაქმებულია 10272 სოციალური შემწეობს მიმღები შრომისუნარიანი პირი.

პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის გზით. ამ პროცესში ხდება მოსარგებლის პროფილირება და მისთვის გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ, ხოლო თუ შრომისუნარიანი პირი არ არის თანახმა შეთავაზებებზე, უარის თქმის თვიდან ერთი წლის შემდეგ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

პროგრამის განხორციელება დაიწყო 2022 წლის 1 მარტს და 2022 ივნისის მდგომარეობით, დასაქმებულია 10 272 სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირი.

## უკვე დასაქმებულია 10272

საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიის ან შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიის შეთავაზება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში – დასაქმების ფორმალიზება. თუ შრომისუნარიანი პირი თანახმაა ერთ-ერთ შეთავაზებაზე, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი

13 ივნისის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს ჯამში 31 647-მა მოქალაქემ მიმართა, აქედან 14 024 ადამიანი საზოგადოებრივი სამუშაოების ვაკანსიაზე გადამისამართდა, საიდანაც 10 272 ადამიანი დასაქმდა. გარდა ამისა, მიმართვის საფუძველზე, ღია შრომის ბაზარი ან/და საქმიანობის ფორმალიზება 4 505 მოქალაქემ აირჩია.

# სასკოლო ასაკის ბავშვებს, გოჩა ტყეშელაშვილის საავტორო წიგნი – „პირველკლასელთა აკადემია“ საჩუქრად გადასცეს



წიგნის ავტორმა, გოჩა ტყეშელაშვილმა ამ ფაქტს ისტორიული მოვლენა უწოდა, დეტალურად ისაუბრა წიგნის შესახებ და წარმატებები უსურვა ბავშვებს.

წიგნი არის თანამედროვე, ინოვაციური. izrune.ge-ს მეთოდით შექმნილი, რომელიც მოსწავლეთა ტესტირების ინოვაციური ინტერნეტ საიტია და რომლის მთავარი მიზანია მშობლის ჩართულობის გაზრდა შვილის აღზრდა-განათლება-წახალისების პროცესში. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ყოველდღიურად ივარჯიშონ მათთვის სპეციალური ალგორითმით შექმნილ უნიკალურ ტესტებში, გაიმეორონ და გაამყარონ განვლილი მასალა, ხოლო თავის მხრივ მშობლებს, აქვს საშუალება თვალყური მიადევნონ ბავშვების განვითარებას, მონაწილეობა მიიღონ მათი აღზრდა-განათლების და წახალისების პროცესში, იამაყონ შვილების მიღწევებით.

**ია გიგიაშვილი**

ულამაზესი ღონისძიება გაიმართა 23 ივნისს ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში, საბავშვო ბაღების დამამთავრებელი ჯგუფის ბავშვებისთვის.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, ზურაბ ნემსაძემ, ბაღების გაერთიანების დირექტორმა ნონა დავითაშვილმა და „ეტალონის“ პროექტის ხელმძღვანელმა გოჩა ტყეშელაშვილმა სასკოლო ასაკის ბავშვებს გოჩა ტყეშელაშვილის საავტორო წიგნი – „პირველკლასელთა აკადემია“ საზეიმოდ გადასცეს.

როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტი მერმა გივი ზაუტაშვილმა აღნიშნა: ეს წიგნი არის ძალიან მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი, ინტერაქტიური, რითაც ბავშვებს შეუძლიათ მოემზადონ და გაეცნონ იმ უნარ-ჩვევებს რაც სკოლაში სჭირდებათ.



# ეს კონცერტები ერთგვარი წარმოჩენაა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის



როგორც წესი, ეს კონცერტები ერთგვარი წარმოჩენაა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლებში გაწეული საქმიანობის. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, როგორც საფორტეპიანო, ასევე საგუნდო და სავიოლინო კლასებიდან. შესრულდა როგორც ქართული, ასევე უცხოური კლასიკური საგუნდო და მუსიკალური ნაწარმოებები.

კონცერტს ესწრებოდნენ: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მერის მოადგილე ზურა ნემსაძე და თვითმართველობის სხვა წარმომადგენლები. კონცერტის დასასრულს სიიპ ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ნათია სეფაშვილმა კონკურსებზე მოპოვებული დიპლომებით დააჯილდოვა მონაწილენი.

**ია გიგიაშვილი**

ყვარლის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლებში სასწავლო წელი წარმატებებით დასრულდა. პანდემიისგან შექმნილი ვითარების მიუხედავად, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა მთელი წლის განმავლობაში ნაყოფიერად იმუშავეს, რაც გამოიხატა ჯერ საქართველოს ხელოვანთა კავშირის – „ხელოვანები მომავლისთვის“ მე-14 ეროვნული კონკურს-ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავებში“ წარმატებული გამოსვლით, სადაც ყვარლის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა (ხელმძღვანელი: გულიზა ტორაძე. კონცერტმეისტერი: თეა თეთრაშვილი) და ფესტივალის დიპლომები დაიმსახურა, შემდეგ კი თელავში, შალვა დავითაშვილის სახელობის მუსიკოსთა კონკურს – ფესტივალზე, სადაც ყვარლის და შილდის გაერთიანებული გუნდი მონაწილეობდა და მოიპოვა დიპლომი საუკეთესო შესრულებისთვის.

სასწავლო წელი ტრადიციულად დასრულდა, წლის შემაჯამებელი ღია აკადემიური კონცერტით, რომელიც ყვარლის და ახალსოფლის სამუსიკო სკოლებში გაიმართა.



# დიახ, ამ წლების განმავლობაში ვცდილობთ, ვშრომობთ, ზოგჯერ ვიბრძვით კიდეც, რომ გაზეთი აქტიურად იყოს ჩართული ყვარლის ცხოვრებაში



...და აი უკვე 90 წელი გავიდა გაზეთ „ყვარელი“-ს დაბადებიდან. თითქმის საუკუნეს ითვლის ყვარლის ცხოვრების მატიანე – ჩვენი გაზეთი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში, გაზეთმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ყვარლის და ყვარლელების ცხოვრებაში. შექმნა საუკუნოვანი ისტორია ჩვენი პატარა ქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამას მოწმობს, უკვე საარქივო მასალად გადაქცეული გაზეთის ფურცლები, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს უამრავ საინტერესო ფაქტს და მოვლენებს გაახსენებს.

ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო რედაქციაზე. აქ გატარებულ თვრამეტწლიან პროფესიულ საქმიანობაზე და ჩვენს მეორე ოჯახზე. მითუმეტეს, რომ პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ჩემი პირადი ცხოვრებაც რედაქციას დაუკავშირდა. ამ ფაქტმა უფრო ნათლად დამანახა – თუ რა დიდი პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და დაუღალავი ბრძოლა სჭირდება გაზეთის არსებობას.

უახლოეს წარსულში იყო პერიოდი, როდესაც ცარიელი ენთუზიაზმით, თუმცა დიდი მონდომებით ვმუშაობდით გაზეთის თითოეულ ნომერზე. იმ პერიოდში რაიონული პრესა თითქმის აღარ არსებობდა. მაგრამ ჩვენ, მრავალი პრობლემის მიუხედავად, რედაქციისთვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსის გარეშე, საკუთარი ძალისხმევით შევძელით, ის, რომ გაზეთი არსებობდა, იბეჭდებოდა და დღევანდლამდე მოვიდა. ამით, რედაქციელები ძალიან ამაყები ვართ და ვთვლით, რომ რედაქტორთან ერთად, რომელიც მრავალი „გატეხილი“ ღამის, თავდაუზოგავი შრომის ფასად აკეთებდა გაზეთს, ჩვენც მიგვიძღვის გარკვეული წვლილი.

დიახ, ამ წლების განმავლობაში ვცდილობთ, ვშრომობთ, ზოგჯერ ვიბრძვით კიდეც, რომ გაზეთი „ყვარელი“ აქტიურად იყოს ჩართული ყვარლის ცხოვრებაში. მოვამზადოთ მრავალფეროვანი მასალა, არ დავტოვოთ ყურადღების მიღმა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ოპერატიულად და ობიექტურად ავსახოთ მიმდინარე მოვლენები.

რაც ყველაზე აღსანიშნავია და მახარებს, ეს არის ჩვენი ერთგული მკითხველი და გულშემატკივარი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ უფროსი თაობის ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომელთა მხრიდანაც მუდმივად ვგრძნობთ სიყვარულს, ყურადღებას და პატივისცემას. ჩვენ კი მათ წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ვატარებთ და მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იყოს მკითხველების ინტერესები. ისინი ხომ თითოეული ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელიან და ყველაზე უკეთ იციან გაზეთის ფასი.

გასაკვირი კი ნამდვილად არ არი, თუ ჩემ სურვილებში ერთ-ერთი მთავარია – გაზეთი „ყვარელი“ მუდამ არსებობდეს. ვულოცავ იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებ კიდევ მრავალი წელი!

**ია გიგიაშვილი**
**გაზეთი „ყვარელი“-ს პასუხისმგებელი მდივანი**

## მადლობა

ჩემს შვილს, ივანე მათიკოშვილს, რამდენიმე თვის წინ დაემართა ინსულტი, რომელიც კატასტროფის მანქანით გადაიყვანეს თელავის საავადმყოფოში. თელავში ცხრა დღის განმავლობაში უტარებდნენ პაციენტს მკურნალობას, შემდგომ ყვარელში ბინაზე გააგრძელა მკურნალობა ექიმ ნევროპათოლოგ ლირა მამუკიშვილთან, რომელმაც ორი თვის მანძილზე ავადმყოფი მდგომარეობიდან გამოიყვანა.

დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ექიმ ქალბატონს, ლირას ასეთი ყურადღებისთვის, ვუსურვებთ კარგად ყოფნას და სამედიცინო საქმიანობაში წარმატებებს.

**დედა ლუიზა მათიკოშვილი**

# ნიკალა ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმი



მეეზოვე! ლომი! – ვინ დახატა? იკითხავენ, – ნიკალა მხატვარმა!

დაიბადა კახეთში, მირზაანში.

თბილისი თავისი ნახატებით მოხატა თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკალამ. იცნობს საქართველო და მსოფლიო, ფიროსმანი დიდებული მხატვარია! – ნიკალა ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმი – ამბობენ ამაყად. ნიკალამ ნახატები, ცხოვრება, სიბრძნე დაგვიტოვა, გვლოცავს ღმერთთან: – იმრავლეთ! მიყვარხართ! მადლობა! გფარავდეთ ღმერთი.

– მადლობა ნიკალა, გვიყვარხართ! ვამაყობთ! უკვდავია, – ამბობენ ხმამაღლა, თავისუფლად, ლაღად, ამაყად, აღფრთოვანებით – ხალხი.

ნიკალას ნახატები წიგნია და ვსწავლობთ. დაბეჭდილია ჟურნალ-გაზეთებში მსოფლიოსი, იღებენ ფილმს. შთაბეჭდილებათა წიგნში ნიკალას სახლ-მუზეუმის მნახველები წერენ: – მხატვარმა თვითნასწავლმა ნიკალამ სიცოცხლე, ცხოვრება გაგვილამაზა, იგი ჩვენს გულშია, ჩვენც ნიკალას გულში ვართ! იგი უკვდავია!

**მერი პატარქლიშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86